ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოსებ ირემაშვილი

1932 ბერლინი



სტალინი და საქართველოს ტრაგედია

უცნობი
ირემაშვილი

2006
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

K298.476
3

რედაქტორი: **დარეჯან კუხიანიძე**

თარგმანი **მაია ბადრიძის** და **რუსუდან ზექალაშვილისა**

ISBN 99928-69-19-4

**ასოციაცია „ქართული კულტურა საქართველოში
და მის საზღვრებს გარეთ“**

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა
შპს „ფავორიტი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

Stalin

und die Tragödie Georgiens

Erinnerungen fon seinem langiährigen Freund Dr.J. Jremaschvili

Berlin 1932

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორისაგან:

„სტალინი და საქართველოს ტრაგედია“ 1932 წელს გერმანულ ენაზე გამოიცა ბერლინში, პოლიტემიგრანტის, სტალინის ბავშვობის მეგობრის, შემდეგ კი მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგის, დოქტორ იოსებ (სოსო) ირემაშვილის მიერ.

1918-21 წლებში, დამოუკიდებელ საქართველოში, იოსებ ირემაშვილი სხვადასხვა დროს პარლამენტის დეპუტატი, მინისტრის „ამხანაგი“(მოადგილე) და დუშეთის კომისარი იყო.

საგულისხმოა, რომ მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა აკაკი წერეთელთან და იაკობ გოგებაშვილთან.

თავის მოგონებებში ირემაშვილი იხსენებს იოსებ ჯუღაშვილის ბავშვობისა და ჭაბუკობის ხანას, მისი პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისს და ბრალს სდებს მას 1921 წლის ტრაგიკულ მოვლენებში — ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციასა და ანექსიაში.

50-იან წლებში, რეპრესიების ახალი ტალღა რომ დაიწყო, ი. ირემაშვილის ოჯახი გააფრთხილეს: დაჭერებია მოსალოდნელი, თუ რაიმე გაქვთ სოსოსაგან უცხოეთიდან გამოგზავნილი ან აქ დატოვებული, გაანადგურეთო. ამიტომ არ შემორჩა საქართველოში მისი ყოფნისა და საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, პირადი თუ ოფიციალური მიმოწერა, სხვა ნაწერები. გადარჩა მხოლოდ ბერლინიდან გამოგზავნილი რამდენიმე წერილი და ერთი წერილის ფრაგმენტები.

„სტალინი და საქართველოს ტრაგედია“-ს, როგორც სანდო წყაროს, ეყრდნობა სტალინის ბიოგრაფიით დაინტერესებული ყველა უცხოელი ავტორი, ქართველ მკითხველს კი პირველად ეძლევა შესაძლებლობა, გაეცნოს წიგნის სრულ ვარიანტს.

წიგნს ახლავს მეორე ნაწილი — „უცნობი ირემაშვილი“, სადაც მოთხრობილია ი. ირემაშვილისა და მისი ოჯახის ცხოვრებაზე. აქვე გამოქვეყნებულია ი. ირემაშვილის შვილიშვილების მიერ მოძიებული მცირე საარქივო მასალა და ფოტოალბომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესავალი

ჩვენს საზოგადოებრიობას სულ ახლახან დაუბრუნდა კიდევ ერთი, თითქმის მივიწყებული პიროვნების, სახელი. ეს გახლავთ წარსულში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე იოსებ (სოსო) გიორგის ძე ირემაშვილი (1879-1944). ივი სტალინის ყმაწვილობისდროინდელი მეგობარი იყო, შემდგომში კი მისი მოწინააღმდეგე და ოპონენტი გახდა.

სოსოები ერთად სწავლობდნენ გორის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში, ერთადვე დაეწაფნენ სოციალ-დემოკრატიულ იდეებს. კარგა ხანს გრძელდებოდა ასე, ვიდრე მომავალი სტალინი, იმჟამად კობა ჯუღაშვილად ცნობილი, საბოლოოდ ბოლშევიკების ბანაკში არ აღმოჩნდა, ვითარცა მათი ერთ-ერთი თავკაცი.

იმთავითვე იოსებ ირემაშვილი – მენშევიკი, ბოლშევიკების იდეური მტერი გახდა. საერთოდ მას მთელი სიცოცხლე აწუხებდა ის, რომ სწორედ სოციალ-დემოკრატია, სადაც თავიდანვე ქართველი ახალგაზრდები სამშობლოს განთავისუფლების იდეებს ეძებდნენ, შემდგომში, ბოლშევიზმის წყალობით, საზარელ ხერგილად აღიმართა ამ თავისუფლების გზაზე, კობა-სტალინი კი ბოლშევიზმის ერთ-ერთი ლიდერი და ინსპირატორი გახდა.

1921 წლის თებერვლისათვის, XI წითელმა არმიამ დემოკრატიული საქართველოს საზღვრები რომ გადმოლახა, ი. ირემაშვილი წერდა:

„ზოგი ჭირი მარგებელიაო, უთქვამთ ძველებს.

ჩვენ კი შეგვიძლია თამამად ვაღიაროთ, რომ ჩვენი ერის მუდმივი გასაჭირი და მისი არსებობისათვის განუწყვეტელი ისტორიული განსაცდელი ყოფილა სამჭედლოს ის დაუნელებელი ქურა, სადაც მტკიცედ იჭედებოდა მისი ეროვნული სიბრძნე, მდიდარი კულტურა, გაფოლადებული ნებისყოფა.

აბა, გადახედეთ თუგინდ ამ ჩვენს ახალს, მოკლე, მაგრამ უმდიდრეს ისტორიას. განა განვლილის საბედისწერო მომენტები არ წარმოადგენენ იმ ეროს ცემას, რომელიც რბილ რკინას აფოლადებს და აყალიბებს?!

განა ამ გასაჭირის მომენტებმა არ გამოაფხიზლეს ქართველი ერი.

განა მათ კვლავ სწრაფად არ გაათვითცნობიერეს ის და ერთ ცოცხალ არსებად ქცეული თავის შესაფერ დემოკრატიულ სახელმწიფოში არ ჩამოაყალიბეს?!.

და, აი, ეს დიდი ჭირიც, უსინდისო, ვერაგი მტრისაგან კარზე მომდგარი, ახლავე დიდ საშვილიშვილო ნაყოფს იძლევა, რომლის უტყუარი ნიშნები უკვე ჩანს...

მუხანათი მტერი ვერაგულად დაგვესხა თავს, – და ისიც იმ დროს, როდესაც საქართველო თავის საერთაშორისო ოჯახში დაბადებას დღესასწაულობდა, ზეიმობდა.

დიდს განსაცდელში ჩავარდა მისი თავისუფალი არსებობა, მაგრამ ამ დიდმა განსაცდელმა დიდი სასწაულიც მოახდინა; მან აღაგზნო, აღაფრთოვანა მთელი ერი; მან გამოამჟღავნა დაფარული მისი ფოლადისებური ნებისყოფა და აი, ეს პატარა საქართველო ჭეშმარიტად რომ ჯარასავით დატრიალდა.

მთელი ერი ერთი კაცივით ფეხზე დადგა. მრისხანედ წელში აღიმართა და ბრძოლის ველზე კვლავ რაინდულად გამოდის. ის დღეს იბრძვის მხოლოდ თავისუფალი არსებობისათვის და ამიტომაც ზღაპრულად ლომკაცდება.

ნაადრევი რომ არის მის მტერთა გველური სისინი, რომელიც ნეტარობს და ელის მის დამარცხება-განადგურებას, ამაში ის ჩქარა დარწმუნდება. რომ გამარჯვების მოყვარული და გამარჯვებასვე ჩვეული საქართველო კვლავ დიდი, სამაგალითო გამარჯვების დაფნის გვირგვინს დაიდგამს, ამისი თავდებია ის ცეცხლის მფრქვევი, გმირული ბრძოლის ყიჟინა, რომელიც საქართველოს ყველა კუთხიდან მრისხანედ მოისმის და ეს ყიჟინა გაპირიფნებული ქართველი ერისა, ომახიანად გაისმის ძველ აზიასა და ახალ ევროპის ზღაჯვარედინზე...

როგორც ჰარმონიული მრავალჟამიერის დიადი სიმღერით, რომელშიც ჩაქსოვილია ქართველი ერის საერთაშორისო სიყვარულით აღგზნებული გული და სული, თავის სიცოცხლესთან ერთად შეჰნატრის ყველა ერების სიცოცხლესაც, – ისე ამ თავისებური ბრძოლის ყიჟინით ის კვლავ უყივის ყველა ერებს:

„მოსვენებით, თავისუფლად მაცოცხლეთ და მაცხოვრეთ ჩემს ცის

ნაჭერის ჭერქვეშ, ჩემს მიწა-წყალზე, რომელიც სისხლით და ოფლით არის გაპოხიერებული; მაცხოვრეთ ჩემებურათ, დემოკრატიულათ, და თქვენც იცხოვრეთ, იხარეთ, ინეტარეთ. მე არ მინდა ვისიმე დამონება, მაგრამ ნურც მე დამიმონებენ, მომსპობენ, გადამაშენებენ... თორემ ბევრი მტერი მომიგერებია, მომინელებია და კვლავაც მოვიგერიებო".

და ვინ იტყვის, რომ ამ ახალი დროის და ქვეყნის გარიჟრაჟზე, ქართველი ერის ასეთი ისტორიული ყიჟინა საკაცობრიო, საერთაშორისო, კეთილშობილური ყიჟინა არ არის?!

და აი ამიტომაც დღეს მთელ საქართველოს სწამს, რომ მისი ასეთი სამართლიანი ბრძოლის ყიჟინა მთელ მსოფლიოს მოეფინება, ყველგან გამოიწვევს ის სათანადო გამოხმაურებას და სამაგალითო გამარჯვებითაც დაგვირგვინდება".

(ი. ირემაშვილი. „ბრძოლის ყიჟინა", გაზ. „ერთობა", 23.II.21).

1922 წელს ბოლშევიკთა საბჭოთა ხელისუფლებამ სხვა „არასაიმედო ელემენტებთან" ერთად ირემაშვილი საზღვარგარეთ, გერმანიაში, გადაასახლა. დაიწყო პოლიტემიგრანტის მძიმე ცხოვრება, რომელსაც წერტილი დაესვა 1944 წელს. ოჯახის წევრებისადმი გამოგზავნილი და შემთხვევით გადარჩენილი წერილებიდან კარგად ჩანს ირემაშვილის მძიმე, ნოსტალგიური განწყობილება. დროდადრო გერმანიაში ჩასული საბჭოთა საქართველოს მესვეურები მას ჰპირდებიან დააბრუნონ სამშობლოში, თუ ივი საჯაროდ დაგმობს ემიგრაციაში მყოფი ქართველი მენშევიკების პოლიტიკურ საქმიანობას, მაგრამ ირემაშვილი უარობს. ივი იმ აზრისაა, რომ იქნება მას ბევრი რამეც ჰქონდეს სადავო მენშევიკი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკასთან, მაგრამ არა სხვისი დავალებით, და იმ კუთხით, როგორც მას ბოლშევიკები სთავაზობენ.

1932 წელს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას დაემსგავსება და შემდგომში დიდად გახმიანდება ბერლინში გერმანულ ენაზე ი. ირემაშვილის წიგნის გამოცემა. წიგნს ჰქვია „სტალინი და საქართველოს ტრაგედია (მისი ძველი მეგობრის, დოქტორ ი. ირემაშვილის მოგონებები)".

ი. ირემაშვილი ცდილობს ევროპულ, კერძოდ კი გერმანულ საზოგადოებრიობას, განუმარტოს სტალინის ფენომენი. არ დაგვავიწყდეს, ეს

ის დროა, როცა ვაიმარის რესპუბლიკის უკანასკნელ წლებში გერმანიაშიც საკმაოდ დიდ გავლენას აღწევენ კომუნისტები, რომლებსაც მოსკოვიდან სტალინი და, საერთოდ, ბოლშევიკები წარმართავენ.

ი. ირემაშვილი ევროპულ საზოგადოებას აფრთხილებს, რომ ბოლშევიზმის ლიდერი, სტალინი, ჰუმანიზმისა და დემოკრატიის მესვეური კი არაა, როგორც ამას კომუნისტური პროპაგანდა ირწმუნება, არამედ მეთაური იმ სისტემისა, რომელსაც საერთო არაფერი აქვს დემოკრატიასთან.

ამ მიზნით ი. ირემაშვილი ცდილობს, მისთვის უმთავრესად პირადად განცდილი ფაქტებით აჩვენოს სტალინის დესპოტური ხასიათის ფორმირება, ხასიათისა, რომელმაც, მისი აზრით, დიდი როლი შეასრულა ბოლშევიზმის ისედაც ტირანული პოლიტიკური სისტემის შექმნაში, იმ უკიდეგანო პოლიტიკური ჯოჯოხეთის აგებაში, რომელშიც, სხვა ხალხებთან ერთად, ქართველებიც იქნენ გამომწყვდეულნი.

მკითხველებს უნდა შევახსენოთ, რომ ი. ირემაშვილის ნაწერი არა მარტო მემუარული ნარკვევია, რაც, ცხადია, ავტორის ჭარბ სუბიექტივიზმსაც გულისხმობს (ასეთია საერთოდ თითქმის ყველა მემუარული წყარო), არამედ მკაცრი პოლიტიკური პამფლეტიც, რის გამოც ზოგიერთი ფაქტი ან გაზვიადებულია, ავტორის პირადი თვალთახედვითაა დანახული, ან, რიგ შემთხვევაში, პრობლემატურია.

ერთ-ერთი ასეთი დეტალია, მაგალითად, ი. ირემაშვილის კატეგორიული განცხადება, რომ 1907 წელს კობა-სტალინი არაპირდაპირ იდგა ი. ჭავჭავაძის მკვლელობის უკან. ჩვენს ნარკვევში („წიწამურის ტრაგედიის გამოცანები“ იხ.: გაზ. „სახალხო განათლება“, 30.VIII.90). ჩვენ ვრცლად გავარჩიეთ ი. ირემაშვილის ეს ცნობა და დავასკვენით, რომ ავტორის მიერ ლიტონად გადმოცემული ეს ცნობა საკმარისი არაა სტალინის დასადანაშაულებლად წიწამურის აქციაში, თუმცა სოციალდემოკრატების, კერძოდ, ბოლშევიკების მონაწილეობა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში უეჭველია და ეს სხვა ფაქტებით დგინდება. ჩვენ ისიც შევნიშნეთ, რომ ი. ირემაშვილისეული ბრალდების ერთ-ერთი წყარო შესაძლებელია ის ფაქტია, რომ 1906-1908 წლებში კობა-სტალინი ამიერკავკასიის ბოლშევიკი ტერორისტების ექსებს ხელმძღვანელობდა, რაც კარგად არის ცნობილი.

ი. ირემაშვილის მონათხრობიდან არარეალურია მისი ჩვენება სტალინის მამის, ბესო (ბესარიონ) ჯუღაშვილის, არაქართული წარმომავლობის შესახებ, – ოსი იყოო ეროვნებით. ეს აღნიშვნა უნდა მომდინარეობდეს სტალინის მოწინააღმდეგეთა წრიდან, რაც შემდგომში ატაცებულ იქნა ქართველი პოლიტემიგრანტების მიერაც, რომლებიც ცდილობდნენ სტალინის ვითომცდა არაქართული გენეალოგიით ეჩვენებინათ მისი ტირანობისა და პირადი სისასტიკის ერთ-ერთი წყარო და ამნაირად უცხოელები დაერწმუნებინათ, რომ ბოლშევიზმის ცოდვებში დამნაშავეა ამ შემთხვევაში სტალინის არაქართული გენი და, მაშასადამე, ქართველ ერს სტალინის ცოდვებში წილი არა აქვს. სტალინის ფენომენის ამგვარი ახსნა ერთობ მარტივია, ვინაიდან სტალინიზმი ბოლშევიკთა გენსეკის წარმოშობით და ხასიათით კი არ იხსნება, არამედ გრანდიოზული მასშტაბის სოციალური და პოლიტიკური ფაქტორების ერთობლიობით, მაგრამ თუ რამდენად პოლიტიკური ჟღერადობა ჰქონდა მაინც სტალინის გენეალოგიის საკითხს, კარგად ჩანს, თუნდაც, იქიდანაც, რომ თავის დროს ბორის სუვარინი ფრანგულ ენაზე გამოცემულ სტალინის ბიოგრაფიაში აღნიშნავდა, რომ არაქართველი, კერძოდ, ოსი იყოო სტალინის დედა ეკატერინე (კეკე) გელაძე, რაც, ცხადია, აბსურდია. ეს ცნობაც სუვარინისთვის, ცხადია, მიცემული აქვთ სტალინის მტრებს. სტალინის ოსური გენეალოგიის „ვერსიას“ იმთავითვე ხალისით ავრცელებდნენ (და ეს ახლაც გრძელდება) არა მარტო ქართველი პოლიტემიგრანტები, არამედ ბაყათარული იდეოლოგიის ადეპტებიც – ოსი ნაციონალისტები და ექსტრემისტებიც, რომლებიც ამ მეთოდით ქართველებზე ოსი ხალხის პოლიტიკური უპირატესობის დემონსტრირებას ისახავენ მიზნად. აქვე აღვნიშნავთ, რომ ივ. ჯავახიშვილს თავის დროზე დაწერილი აქვს ნარკვევი ჯუღაშვილთა გენეალოგიაზე, მათ ქართულ წარმომავლობაზეც.

ასეთი სადავო დეტალების მიუხედავად, ი. ირემაშვილის ნაშრომს მაინც საერთოდ მაღალი წყაროთმცოდნეობითი ღირებულება აქვს სტალინის თავგადასავლის აღსადგენად. აი, რას წერს ამის შესახებ ლევ (ლეიბა) ტროცკი, რომელსაც ი. ირემაშვილის პიროვნების მიმართ არც რაიმე სიმპათია აქვს მისი მენშევიკობისა (ალბათ, პირველ ყოვლისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმიტომ, რომ იგი ქართველი მენშევიკი იყო) და მით უმეტეს, როგორც ტროცკი ამბობს, ი. ირემაშვილის **ნაციონალისტ-სოციალისტობის გამო.**

ლ. ტროცკი შენიშნავს: „განსაკუთრებული დეტალურობით გამოირჩევა... ი. ირემაშვილის მოგონებები სათაურით „**Stalin und die Tragoedie Georgiens**".

ავტორის, ყოფილი მენშევიკის, პოლიტიკური ფიგურა, შემდეგში რაღაც ნაციონალ-სოციალისტი რომ გახდა, თავის თავად დიდ ნდობას არ იმსახურებს. მიუხედავად ამისა, ამ ნარკვევისათვის გვერდის ავლა შეუძლებელია. მისი ზოგიერთი გვერდი უეჭველი შინაგანი დამაჯერებლობით გამოირჩევა. ერთი შეხედვით საეჭვო ეპიზოდებიც კი პირდაპირ ან ირიბად დასტურდება რამდენიმე წლის შემდეგ გამოქვეყნებული ოფიციალური მოგონებებით. ეგების იმაზე მითითებაც საჭირო იყოს, რომ ცალკეულმა მიხვედრებმა, რომლებამდეც წინამდებარე ნაშრომის ავტორი მივიდა საბჭოთა ლიტერატურის დუმილისა, ან თავის არიდებათა გათვალისწინებით, თავისი დადასტურება ჰპოვოს ირემაშვილის ნაშრომზე, რომელსაც ჩვენ სულ უკანასკნელ მომენტში გავეცანით. შეცდომა იქნებოდა ვარაუდი, რომ ირემაშვილი, ვითარცა განდევნილი და პოლიტიკური მტერი, ცდილობს დაამციროს სტალინის ფიგურა, ან ზედმეტად გააშავოს. პირიქით, იგი თითქმის აღტაცებით და აშკარა გადაჭარბებით ხატავს მის ნიჭს, აღიარებს მის მზადყოფნას, საკუთარი იდეალებისათვის პირადი მსხვერპლიც კი გაიღოს, არაერთხელ აღნიშნავს მის სიახლოვეს დედასთან და თითქმის გულის ამაჩუყებლად ხატავს მის პირველ ქორწინებას. ტფილისის გიმნაზიის ამ ყოფილი მასწავლებლის მოგონებათა უფრო დაკვირვებული განხილვა ისეთი დოკუმენტის შთაბეჭდილებას ახდენს, რომელიც სხვადასხვა დანაშრევისაგან შედგება. ძირითადი, უეჭველია, შორეული ბავშვობის მოგონებებია, მაგრამ ამ ძირითადმა სტალინის გვიანდელი ბედისა და თვითონ ავტორის პოლიტიკური შეხედულებების გავლენით მეხსიერებისა და ფანტაზიის რეტროსპექტული ცვლილება განიცადა. ამას უნდა დაემატოს მოგონებებში საეჭვო, თუმცა კი არსებითად წვრილმანი დეტალები, რაც უნდა მიეწეროს გარკვეული კატეგორიის მემუარისტების ეგზომ გავრცელებულ იმ სწრაფვას, რომ თავის ნარკვევებს მიანიჭონ „მხა-

ტვრული“ სისრულე და სისავსე. ამ გაფრთხილებების შემდეგ ჩვენ სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია შემდგომისათვის ირემაშვილის მოგონებებს დავეფუძნოთ“ (Л. Троцкий, Сталин, **I Chelidze Publications** 1985. გვ. 23-24).

ზემოთ აღნიშნული შეფასება ი. ირემაშვილის ნაშრომისა იმის ერთ-ერთი მიზეზია, რომ მას საერთოდ ფართოდ იყენებენ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უცხოელი მკვლევარები. ი. ირემაშვილს ხშირად იმოწმებენ არა მარტო ლ. ტროცკი, არამედ რობერტ ჰეინი („სტალინი), ტაკერი („სტალინი. ბრძა ხელისუფლებისაკენ“, ახლახან გამომცემლობა „პროგრესმა“ ამ წიგნის სრული რუსული თარგმანიც გამოაქვეყნა), ა. ანტონოვ-ოვსეენკო და სხვები.

ი. ირემაშვილის წიგნი საინტერესოა არა მხოლოდ სტალინის ბიოგრაფიულ წყაროდ, არამედ როგორც ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის წრიდან გამოსული საპოლემიკო ნაშრომიც, რომელშიც ავტორი ცდილობს პასუხი გასცეს მაინც ერთ მთავარ კითხვას: რა მოუტანა სოციალისტური იდეებით გატაცებამ ქართველებს – ჭეშმარიტი თავისუფლება, რაზედაც ისინი ასე ოცნებობდნენ უკვე **XIX-XX** საუკუნეების მიჯნაზე, თუ ეროვნული იდეალების მსხვრევა,. ი. ირემაშვილის აზრით, შედეგი მსხვრევა იყო და ამაში ყველაზე მეტად სტალინია დამნაშავე.

ჩვენი თაობისათვის, რომლის წინაშეც ზემოხსენებული კითხვა ახლაც მთელი სიმწვავით დადგა, ი. ირემაშვილის ნაშრომი უთუოდ თავისებურად მძაფრ ყურადღებას დაიმსახურებს, როგორც პოლემიკური და ისტორიოგრაფიული ძეგლი...

ვფიქრობთ, ი. ირემაშვილის ნაშრომის გაცნობა ქართულ საზოგადოებას კიდევ ერთხელ ჩააფიქრებს საქართველოს უახლესი ისტორიის ტრაგიკულ ფურცლებზე და საშუალებას მისცემს ზოგჯერ ეჭვითაც შეხედოს სტალინიზმის კრიტიკოსთა ამა თუ იმ დებულებას, თუ საამისოდ მეცნიერული არგუმენტები გამოიძებნება.

შოთა ბადრიძე
1991 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტალინი და საქართველოს ტრაგედია

თბილისი
2006

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე წარვუდგენ მოგონებებს სტალინზე საზოგადოებას. სტალინი სიყრმიდანვე ჩემი მეგობარი იყო, შემდეგ — დაუძინებელი მტერი, მას ედო ბრალი ჩემი სამშობლოს, საქართველოს, ტრაგედიაში. .

როგორ უყურებდა მსოფლიო თვეობითა და წლობით იმ საშინელ მოვლენებს რუსეთსა და საქართველოში, როცა ბოლშევიკი უზურპატორების სისხლით გიჟური თრობა ბატონობდა უზარმაზარ ქვეყანაში?!

ჩემი ბედი მხოლოდ ერთ-ერთია მრავალი მილიონი ადამიანის, - ძმისა და დის, ბედს შორის.

ყველაფერი ეს ვატარე, რათა ვყოფილიყავი ბოლშევიზმის უტოპიისა და არაადამიანობის ცოცხალი მოწმე და მამხილებელი.

ნებისმიერ ადამიანზე უკეთ ვიცნობ სტალინის ბიოგრაფიასა და მისი ხასიათის თვისებებს და ამიტომ უფლება მაქვს გავბედო და დავუხატო მისი ჭეშმარიტი სურათი ყველას, ვინც სტალინს აღმერთებს, კაცობრიობის მხსნელად და კაცობრიობის ბედნიერებისაკენ გზის გამკვალავად თვლის. სტალინი ასეთი სულაც არ არის — ის მოძალადე დესპოტია.

სტალინთან ჩემი ურთიერთობების გახსენებით და საქართველოს უახლესი ისტორიის მიმოხილვით მინდა დაგიმტკიცოთ, რომ ბოლშევიზმსა და თანამედროვე დემოკრატიის სისტემებს შორის გადაულახავი უფსკრულია, მათ შორის დამაკავშირებელი ბილიკიც კი არ არსებობს. ადამიანური ცხოვრების ღირებულებათა შეფასებით ისინი ისე მკვეთრად განსხვავდებიან და შორდებიან ერთმანეთს, როგორც შუა საუკუნეები — თანამედროვეობას.

ადრე თუ გვიან ბოლშევიკების ძალმომრეობის ეს სისტემა დაინგრევა.

ფოტოგრაფიული სიზუსტით გიამბეთ მხოლოდ მცირე ნაწილი სტალინისადმი ჩემი დამოკიდებულებისა და საქართველოს ტრაგედიის შესახებ. სიმართლით აღვწერე თავდადებული, მეამბოხე ხალხის ტრაგიკული ბედი, რომელიც თავისი მამულისა და კაცობრიობის თავისუფლებისათვის იბრძოდა, ეწამებოდა და ახლაც ენით გამოუთქმელად იტანჯება...

ბერლინი, 1931 წლის 1 ივლისი

სოსო ირემაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ეს ნაშრომი უდიდესი ინტერესით წავიკითხე.

ორი ადამიანი — შემაძრწუნებლად ტრაგიკული ორი ბედი. სიყრმის მეგობრები, თანამებრძოლები, შემდეგ მტრები.

სტალინი — ტრიუმფატორი! მასთან ერთად გამარჯვებას ზეიმობს არა სოციალიზმი, არამედ მისი დაუძინებელი მტერი: დესპოტიზმი!

ირემაშვილი — მეცნიერი, არც დამარცხებული და არც რწმენაშერყეული ადამიანი.

სტალინი — ასოციალური, საზოგადოების მიმართ მტრულად განწყობილი; მონა, რომელმაც ბორკილი დაამსხვრია; სიძულვილითა და შურისძიების წყურვილით აღსავსე პიროვნება, ფეხქვეშ გათელილ, ღირსებაშელახულ, მსხვერპლად შეწირულ ადამიანთა შორის ძალაუფლებით მთვრალი!

ირემაშვილი — თავისუფალი ადამიანი, რომელსაც საკუთარი თავისთვის კი არ სურს რამე, არამედ ყველასათვის იღვწის. სოციალისტი, რომელმაც იცის, რომ სოციალიზმი ვერ გაიმარჯვებს ძალმომრეობითა და ტერორით, რადგან მისი სული უკვე დაუძლეველია.

ეს ნაშრომი საშუალებას გვაძლევს ღრმად ჩავიხედოთ ისტორიული მნიშვნელობის ორი ადამიანის იდუმალ სამყაროში.

ამ ორ ადამიანს თავიდან ერთნაირი პოზიცია ჰქონდა, შემდეგ კი იდეური მოწინააღმდეგენი გახდნენ და ურთიერთსაპირისპირო მხარეზე დადგნენ.

ჩვენ ვხედავთ, როგორ აყალიბებს საზოგადოებრივი ყოფა ადამიანის ხასიათს, როგორ განსაზღვრავს მის ქცევას, როგორ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანები ისტორიაზე.

ჩვენთვის სარწმუნო ხდება, რომ ჩვენი აწმყოდან გამომდინარე, არსებობს სხვადასხვა გზა: გზა სიკეთისა და გზა ბოროტებისა! სადაც გზა ბოროტებისკენ მიდის, იქვეა მოსახვევი სიკეთისკენ, რომელსაც ის ადამიანები მიუყვებიან, რომლებიც შეგნებულად და მტკიცედ იბრძვიან და თავს დებენ კეთილი იდეისათვის.

ასე რომ, ეს ნაშრომი არის ერთდროულად მხილებაც, აღსარებაც, გაფრთხილებაც, ფიციც, ვალდებულებაც და პასუხიმგებლობაც!

სოციალისტურ სოლიდარობაში ჩვენ ყველასთან დაკავშირებული ვართ, ვინც ძალმომრეობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ იბრძვის.

და შენც, საქართველოვ, უბედურებით ტანჯულო და სისხლით გაჟღენთილო, მიუხედავად ყველაფრისა, თავისუფლებაში ამაყად აღდგები!

ბერლინი, 1932წ. კრისპიენი

1. სოსო – სკოლის მოწაფე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასკოლო რვეულებში 1890 წელი ჩავწერეთ. უცბად გორის სასულიერო სემინარიის ეზოში უცნობი სახე შევნიშნეთ. ჩვენს პატარა ქალაქში უცხო ადამიანის გამოჩენა 10 წლის ყმაწვილებში ნამდვილ სენსაციად იქცეოდა ხოლმე.

მასწავლებელმა მისი სახელი დაფაზე დაწერა: „სოსო ჯუღაშვილი". ის ჩვენ გვგავდა და ქართულსაც ჩვენსავით ლაპარაკობდა. მისმა თავხედურმა გამომეტყველებამ და საუბრის ძუნწმა, ყველაფრის უარმყოფელმა მანერამ თავიდანვე ანთიპათიურად განგვაწყო მისდამი. ფიზიკურად ყველას გვჯობნიდა. თავიდან გვეშინოდა მისი და ვერიდებოდით კიდეც, ისე კი, ძალიან გვაინტერესებდა.

ერთ დილას სკოლის ეზოში კავკასიურ ჭიდაობაში ვვარჯიშობდით. „ჯუღაშვილი მოერევა" — ყვიროდნენ წრეში ჩამდგარი ბავშვები და კამათობდნენ, როდესაც მე და სოსო ერთმანეთს ვეძიძგილავებოდით. აქამდე მე დაუმარცხებელ ფალავნად ვითვლებოდი. ასე იოლად ხომ ვერ დავანებებდი ვიღაც ახალმოსულს ჩემს შესაშურ (ფალავანის) სახელს? დაკაპიწებული სახელოებითა და გაოფლილი სახეებით ისევ ერთმანეთს დავეძგერეთ. ორივენი დავიღალეთ. გულშემატკივრებმა ბრძოლა ყაიმად გამოაცხადეს. ტანსაცმლის სწორებით ამხანაგებისკენ შევტრიალდი. უეცრად მეტოქე ყელში მწვდა, ჰაერში გადამატრიალა და ბალახზე ისე დამცა ზურგით, რომ თავდაცვაც კი ვერ მოვახერხე, მერე კი გამარჯვებულის სახით ხელი ჩამომართვა. სოსოს ახლად შეძენილმა თაყვანისმცემლებმა ტაში დასცხეს და ყიჟინით ულოცავდნენ გამარჯვებას, ჩემები კი ილანძღებოდნენ და აპროტესტებდნენ. ჩემი დაუმარცხებლობის მითი გაჰქრა. სოსო ახალ ფალავნად იქცა. ჩვენი ტრადიცია კი მოითხოვდა, რომ ერთმანეთისთვის ხელი ჩამოგვერთმია და გადაგვეკოცნა. ჭიდაობა სკოლის ეზოში ჩვენი ხანგრძლივი მეგობრობის დასაბამად იქცა.

სოსოს მოგრძო, ჭორფლიან სახეზე ბევრი ნაიარევი ემჩნეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

K 298,476

გამხდარი იყო, მაგრამ ძლიერი აღნაგობისა. სიცოცხლით სავსე, მუქ თაფლისფერ თვალებში შეუდრეკელ ხასიათს ამოიკითხავდით. ეს თვალები მნახველს ნდობას არ უღვიძებდა. მოძრაობები ნაკლებად ბავშვური ჰქონდა. სიარულისას გამხდარ, არწივივით გაშლილ მკლავებს იქნევდა და უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

ჩემს მეგობრებთან ერთად ხელიხელჩაკიდებული ხშირად ავდიოდი ხოლმე „გორიჯვარზე". ზემოთ ასულებს თვალწინ ზღაპრული სამყარო გადაგვეშლებოდა ხოლმე. მთის კონუსისებრ მწვერვალზე ძველი ციხე-სიმაგრე იდგა. პატარა ეკლესიას მაღალი, სიძველისაგან გაყვითლებული გალავანი ერტყა. ზურმუხტისფერ ზეცაზე გაბრწყინებული სამხრეთული მცხუნვარე მზე ხშირი ტყით შემოსილ მთებს თვალისმომჭრელი სილამაზით ანათებდა. ჩვენ თვალწინ დაკიდებული ციცაბო კლდეები და მთიდან მორაკრაკე რუ თავისი მშვენიერებით გვატყვევებდა.

ოდესღაც „გორიჯვარი" ჩვენი სეირნობის მიზანი იყო. შორს მოჩანდა კავკასიონის მარად თოვლიანი მწვერვალები, საიდანაც ლიახვი იღებს სათავეს და საქართველოს ყველაზე დიდ მდინარეში „მტკვარში" ჩაედინება. ორივე მდინარე ისე შფოთავდა და ბობოქრობდა, გეგონებათ ერთმანეთს ეჯიბრებიანო. შემდეგ ისინი დაბლობს აღწევდნენ, მშვიდდებოდნენ და გორის ხის ხიდის ქვეშ ერთმანეთს საბოლოოდ უერთდებოდნენ. სოსო ძალიან უყვარდა ბუნება და შეეძლო მისი ცქერით დიდხანს დამტკბარიყო.

კლდეებზე ფორთხვა ძალიან გვიზიდავდა, რადგან ის გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული. სოსო სკოლის ბავშვებში გამოირჩეოდა. ჯერ კიდევ მაშინ იმგვარი აზრები ებადებოდა, რაც ჩვენი ბავშვური უზრუნველობისაგან ძალიან შორს იდგა. თუკი ის რაიმე მიზანს დაისახავდა, ან კიდევ რაიმეს გაკეთებას მოისურვებდა, მაშინ იგი უსაზღვროდ ჯიუტ, ჟინიან ბუნებას ავლენდა ხოლმე. მაღალ მწვერვალებზე ასვლა, გამოქვაბულებსა და ხეობებში ძრომიალი იმ წლებში მას ყველაზე დიდ სიამოვნე-

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას ანიჭებდა. თუკი თავის წადილს ვერ აისრულებდა, მაშინ მარტო მიდიოდა ხოლმე და იმდენს ვარჯიშობდა, სანამ მიზანს არ მიაღწევდა. მთელი დღეები საათობით მდინარის პირას იდგა და ქვებით მიზანში სროლაში ვარჯიშობდა. ხშირად მის ვარჯიშს ცაში მონავარდე ჩიტებიც ეწირებოდნენ. ამ დროს შეეძლო არ დაენდო არავინ და არაფერი. ცხოველთა და ადამიანთა შებრალება-თანაგრძნობა მისთვის უცხო იყო. თანასკოლელების სიხარული და ტანჯვა მასში მხოლოდ სარკასტულ ღიმილს იწვევდა. მტირალი სოსო არასოდეს მინახავს. გამარჯვება და სხვების დაშინება მას ტრიუმფალურ სიხარულს განაცდევინებდა.

ერთადერთს, ვისაც აღიარებდა და თაყვანს სცემდა — ეს დედამისი იყო. თუკი მის მბრძანებლურ, ძალაუფლებისმოყვარეობას დაემორჩილებოდით, მაშინ იგი საუკეთესო მეგობარი ხდებოდა.

2. სოსო – პატარა მეამბოხე

იმავე 1890 წელს ჩვენი სკოლის ქართველი მასწავლებლები და ზედამხედველები რუსებმა შეცვალეს. საქართველოში დაწყებულმა რუსიფიკაციამ სკოლას ბევრი რამ დაატყო. პირველი და ჩვენთვის ყველაზე უსიამოვნო ღონისძიება ქართული ენის რუსულით შეცვლა იყო. უცხო ენის ათვისება ჩემთვის ადვილი იქნებოდა, მშობლიურ ენაზე რომ აეხსნათ, მაგრამ უცბად ქართულ ენას სალაპარაკო ფუნქციაც წაართვეს და მშობლიურ ენაზე ლაპარაკის შემთხვევაში მკაცრი სასჯელი გველოდა.

თავდაპირველად ბავშვები უმწეოდ და დამუნჯებულებიც კი ვიდექით მასწავლებლებთან. პირის გაღებაც კი გვიჭირდა, რადგან რუსულად ვერც ერთ სიტყვას ვერ ვამბობდით. მაგრამ ლაპარაკის სურვილს ხშირად ახალი ბრძანებაც ვერ გვიზღუდავდა და თავს უამრავი სასჯელი გვატყდებოდა, რისგანაც არც საუკეთესო, ბეჯითი მოწაფეები იყვნენ დაზღვეულნი. სახაზავით, ჯოხითა და მუშტით ცემას ძველი მასწავლებლისგან მიჩვეულები

ვიყავით და წინათ ამგვარ სასჯელს ვაუკაცურად ვუძლებდით. რუსი მასწავლებლები კი განსაკუთრებული სიმკაცრით გვცემდნენ. ქართველებს ისინი დაბალი კულტურის ადამიანებად მიიჩნევდნენ და რუსული განათლების სიკეთეს ცემა-ტყეპით ამკვიდრებდნენ. რა უსულოდ უნდა მოჰკიდებოდნენ ხალხის ეს აღმზრდელები ჩვენს ძეგლებს, ისტორიასა და ლიტერატურას! ყველაზე შეურაცხმყოფელი შიშველი ფეხებით ორი საათი წვრილ კენჭებზე, ანდა კუთხეში დგომა იყო. დასჯილს ხელში ხის ოთხკუთხედი ფირფიტა იმდენ ხანს ეკავა, სანამ სხვას არ შეაჩეჩებდა. და ვისაც ბოლოს ერგებოდა, კარცერში ამწყვდევდნენ. განსაკუთრებული სიმკაცრით ვისჯებოდით მშობლიურ ენაზე ლაპარაკის შემთხვევაში. ყველაზე საშინელი კი იყო კარცერი, სადაც გვიან ღამემდე უსმელ-უჭმელებს წყვდიადში გვკეტავდნენ.

1890 წლიდან სკოლა კატორღად გვექცა. მისგან თავის დაღწევა კი ჩვენი ერთადერთი სურვილი გახდა. სკოლის გარეთაც ზედამხედველობის, მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ვიყავით. ბინაზე გვამოწმებდნენ, ვმეცადინეობდით თუ არა რუსულ მართლწერაში, მშობლების თანდასწრებით კარცერითა და ცუდი ნიშნებით გვემუქრებოდნენ.

ჩვენ და ჩვენს მშობლებს სამშობლო და ქართული ენა ძალიან გვიყვარდა. მშობლების მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდით. რუსი მასწავლებლებისადმი ზიზღი კი იმდენად დიდი იყო, რომ მათზე შურისძიება ერთადერთ მოთხოვნილებად გვექცა.

სოსო ჯუღაშვილი საუკეთესო, მაგრამ უწესო მოწაფედ ითვლებოდა. ის ჩვენი შურისძიების წამქეზებელი და მოთავე იყო. განსაკუთრებით გვძულდა სკოლის ინსპექტორი. ერთ დილას სკოლის დერეფანში გავმწკრივდით და ინსპექტორის გამოჩენაზე სტვენა და ღრიანცელი მოვრთეთ. ის აქეთ-იქით გაცხარებით იქნევდა მუშტებს. მასწავლებლებმა ძლივს შეძლეს ჩვენი დამშვიდება. ეს სოსოს მიერ მოწყობილი პირველი აჯანყება იყო. მასწავლებლებმა სოსო ამბოხების მოთავედ ცნეს და, მიუხედავად მისი მაღალი

აკადემიური მოსწრებისა, მათი რისხვა სკოლის დამთავრებამდე მუდამ თან სდევდა. სოსოს ხშირად, თითქმის ყოველდღე, ჯდნენ. მეც, როგორც მის ამფსონს, ასეთივე რისხვა მატყდებოდა ხოლმე თავს.

ზაფხულის არდადეგებზე სოსო ხშირად ისვენებდა ჩემს სოფელში, გორთან ახლოს. მამაჩემის ვენახში ბევრი მხიარული დღეები მახსოვს. ეკლესიაში ჩემთან და კიდევ ერთ ბიჭთან სიმღერა დიდად ეამაყებოდა. რელიგიას არც მაშინ მოუხდენია მასზე რაიმე გავლენა. სოსოს ისეთი იდეები ჰქონდა, რომელიც ჩვენ ან აზრადაც არ მოგვდიოდა, ან უბრალოდ გაუგებარი იყო ჩვენთვის.

3. სოსო ჯუღაშვილის მშობლები

გომბორის ქუჩაზე პატარა, ძველი ჭუჭყიანი სახლი იდგა. ხის ღობე და უსწორმასწორო ქვები მფლობელის სიღატაკეზე მიუთითებდნენ. ბედის ანაბარა მიტოვებული სილის ბანი ქარსა და წვიმას იოლად ატარებდა. პატარა ოთხკუთხა ეზოს ხის ღობე ერტყა. ფარღალალა კარებით, გაღებისას რომ ჭრიალებდა, ბნელ სახლში, უფრო სწორად, პატარა ოთახში მოხვდებოდით. ოთახში აგურის იატაკი ეგო, კარების ორივე მხარეს პატარა ფანჯრები იყო დატანებული. ოთახში მუდმივად ბნელოდა. წვიმით, ნესტიანი ტანსაცმლითა და საჭმლის სუნით დამძიმებული ოთახი ვერასოდეს ნიავდებოდა.

ოთახის მორთულობას ოთხუჯრიანი ძველი კომოდი და რამდენიმე ძველი ავეჯი შეადგენდა. კომოდის თავზე, ხელით მოქსოვილ გადასაფარებელზე, მრგვალი სარკე იდგა. უბრალო მაგიდასთან სამფეხა მერხი და სკამის მაგივრობას სწევდა. მაგიდის ცისფერი გადასაფარებელი დიასახლისის სისუფთავეზე მეტყველებდა. კედელთან კარადა იდგა, მის პირდაპირ კი უზარმაზარი ტახტი, რომელიც ოთახის ნახევარს იკავებდა და მთელი ოჯახისათვის იყო განკუთვნილი. დღისით ზედ თხელ, ძველ სპარსულ ხალიჩას აფარებდნენ. ერთი კუთხე იმდროისთვისაც კი ძველმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დურ საკერავ მანქანას ეკავა, მეორე კუთხეში კი მუცელგამოშვერილი თიხის ჭურჭელი იდგა სასმელი წყლის შესანახად. ნის ჯამში ჭერიდან ჩამოსულ წვიმის წყალს აგროვებდნენ. „ეკატერინე“ — მოფერებით „კეკე“ — როდესაც ჩემს მეგობართან მივდიოდი, თავის „მეორე სოსოს“ მეძახდა. სოსო მისი ერთადერთი შვილი იყო. ჩემდამიც დედობრივ სითბოს იჩენდა. მას ძალიან უყვარდა თავისი შვილი და ყველა, ვისაც სოსო უყვარდა. ასე რომ, ამ ღარიბულმა, უღიმღამო სახლმა მშობლიურად მიმიღო.

კეკე დღესაც ცოცხალია და პატარა პირქუში ქოხიდან თბილისში დიდ სასახლეში გადავიდა საცხოვრებლად.

კეკეს შვილივით ჭორფლიანი სახე ჰქონდა. ის ყოველთვის სიღარიბეში ცხოვრობდა. მთელი დღეები ხმაურიან საკერავ მანქანასთან იჯდა და აღებული კაპიკებით ცდილობდა შვილისათვის მეწაღის ხელობა შეესწავლებინა. ოთახის სიბნელემ და საკერავ მანქანასთან ჯდომამ მხედველობა დაუქვეითა და ახლომხედველობის გამო ადრიდანვე სათვალეს ატარებდა. ყველა ქართველი ქალის მსგავსად, ისიც ღრმადმორწმუნე იყო. მეწაღის შრომისმოყვარე, კეთილ და ღვთისმოშიშ ცოლს გორელები დიდად აფასებდნენ. კეკე სხვებზე ღარიბულად იყო ჩაცმული, ის ქართულ ეროვნულ ტანსაცმელს ატარებდა. ჩიხტიკოპი და ცისფერი კაბა ქართული ცისფერი ზეცის, ღრუბლებისა და მოკაშკაშე მზის სიმბოლო იყო. კაბის მოფარფატე სახელოები, ქამარზე წინ მიმაგრებული ცისფერი, წითელი, მწვანე და ყვითელი ბაფთები ანგელოზის ფრთებს და ცისარტყელას ფერებს ჰგავს. ქართველი ქალის ეროვნულ ჩაცმულობას ევროპელისათვის სადღესასწაულო იერი აქვს. გარეგნული სილამაზე შინაგან სისპეტაკეს ესადაგება. ქართველი ქალი ტრადიციების მკაცრი დამცველია. ადათ-წესების უპატივცემლობა, აზრისა და გრძნობის ფლანგვა ქართველი ქალისთვის ყოველთვის უცხო იყო. არც ისაა შემთხვევითი, რომ ქრისტიანული მოძღვრება IV საუკუნეში საქართველოში წმინდა ნინომ იქადაგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედობა ქართველი ქალისათვის ბუნებრივი, შინაგანი მოთხოვნილება იყო, უფრო სწორად, რელიგიური დანიშნულება, რომლის აღსრულებაც უმაღლეს ნეტარებად ითვლებოდა. ქალი და დედა საქართველოში უმაღლეს იდეალად გაიაზრებოდა. ქალისადმი მოწიწება ქართულ ადათ-წესებშიც ჩანს. ხმლით, ან სხვა იარაღით შებმული მტრები ბრძოლას წყვეტდნენ, თუკი მათ შორის ქალი მანდილს ჩააგდებდა. ქალისა და დედის მშვენება ქართველ კლასიკოსთა შთაგონების წყარო ყოფილა ყოველთვის.

სოსოს დედაც ტიპური ქართველი ქალი იყო. შვილის დაუნდობელი ხასიათი მას ძალზე აწუხებდა. ის უმწეოდ შეჰყურებდა, თუ როგორ თესავდა მამა შვილის გულში ღვარძლსა და ბოროტებას.

მამისაგან სოსომ ადამიანებისადმი ზიზღი ისწავლა. იგი ადრე ასაკში მომწიფდა და დამოუკიდებელ აზროვნებას მიეჩვია. ყველაზე მეტად სოსოს საკუთარი მამა სძულდა. მას დედის იძულებით მონურ შრომაში ადანაშაულებდა. მამამისის დაუმსახურებელმა და სასტიკმა ცემამ სოსო მასავით უხეში და უგულო გახადა. ადამიანები, რომლებიც სხვებზე ასაკის ან ძალის უპირატესობის გამო ბატონობდნენ, მამამისს აგონებდნენ და შურისძიების გრძნობას აღუძრავდნენ. ადრეული ასაკიდანვე შურისძიების წყურვილი არ ასვენებდა და უმაღლეს მიზნად ექცა.

ბესო — ბესარიონი, შავი, ხშირი წარბებითა და მუქი უხეში წვერით, დიდი ტანის წარმოსადეგი კაცი იყო. ის ქართულ ჩოხასა და ჩექმებში ჩატანებულ განიერ ლურჯ შარვალს ატარებდა. ეროვნებით ოსი იყო. თავზე რუსული ქუდი ეხურა და, კავკასიაში მცხოვრები ყველა ოსივით, მძიმე, მოუქნელი ბუნებისა იყო. ოსები საქართველოში ჩამოსახლებული მცირერიცხოვანი ხალხია, რომლებიც თანდათანობით შეეთვისნენ ქართულ კულტურას.

სოსო მამამისს ყოველთვის გაურბოდა. მის ნაადრევ სიკვდილს ბავშვზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. თბილისის სასულიერო სემინარიაში

1894 წელს ჩვენი უზრუნველი ბავშვობა დამთავრდა. მე და სოსო თბილისის სასულიერო სემინარიაში შევედით. სასულიერო განათლების მიღება ჩემი მშობლებისა და სოსოს დედის სურვილი იყო. მშობლების ნების წინააღმდეგ რომ წავსულიყავით, ძალზე პატარებიც ვიყავით და საკუთარი მომავალიც დიდად არ გვაწუხებდა. როგორც ყველა ქართველს, დედაქალაქი ჩვენც გვიზიდავდა. თბილისის მჩქეფარე ცხოვრება, ულამაზესი ქუჩები და შენობები გვანცვიფრებდა და გვატყვევებდა. ჩვენ ღვთის რჩეულებად ვთვლიდით თავს, აღთქმულ წმინდა მიწაზე რომ დააბიჯებენ. სამწუხაროდ, რამდენიმე კვირაში სემინარიამ იმედები და მოლოდინი გაგვიცრუა.

თბილისი საქართველოს ბერლინია. ის ქვეყნის სული და გულია. თბილისი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის კულტურულ-პოლიტიკური და სამრეწველო ცენტრია. სამასიათასიანი ქალაქი მდინარე მტკვრის ნაპირებზეა გაშენებული და ზომიერად მაღალი მთებითაა შემოსაზღვრული. ქალაქის სამხრეთით მოჩანს მთაწმინდა, ცოტა ქვემოთ კი მზის სხივებით განათებული თეთრი ეკლესია. მთაწმინდა ქართველთა მრავალსაუკუნოვანი, სისხლიანი ბრძოლების მოწმეა. ის ქალაქისა და მისი კულტურის სიმბოლოა და ისტორიის მარადიულ ჯაჭვს ჭვრეტს. იმის მოწმეც ყოფილა, თუ რამდენი თაობა შესწირვია თავისუფლებაზე ოცნებას და სამშობლოს სიყვარულს. მთაწმინდა ჩვენი უკვდავი ეროვნული სიამაყის წმინდა სიმბოლოა. ქართველი ხალხის ბოლშევიზმზე გამარჯვების რწმენა ამ ხალხივით უდრეკია. ქალაქის მნახველთა ყურადღებას იპყრობს პირქუში ქართული ბასტილია — მეტეხის ციხე. მეტეხის სქელი კედლების მიღმა საქართველოს თავისუფლებისა და ადამიანთა უფლებებისათვის მებრძოლნი იტანჯებოდნენ. მის კედლებს ათასობით იდეური და მამაცი პატრიოტის სისხლი დღესაც ატყვია. მეფის რუსეთის დროს მეტეხი შიშსა და ძრწოლას იწვევდა და, როცა გვერდის

ავლას ვერ ახერხებდნენ, ადამიანები დათრგუნული ჩაუვლიდნენ ხოლმე მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ფრთხილი და გონიერი საქციელით შეიძლებოდა, რომ მთავრობის კლანჭებს დასძვრომოდით. მოგვიანებით კი, როდესაც ბოლშევიკების „სახალხო“ ხელისუფლებამ გაიმარჯვა და „თავისუფლებას, თანასწორობასა და ძმობას“ ქადაგებდნენ, მეტეხის ციხემ შეიწირა სიცოცხლე უამრავი მამაცი, ერთგული ქართველისა, რომლებმაც გაბედეს და სამშობლოსადმი სიყვარული სიტყვით ან საქმით გამოხატვა.

პრომეთე ზევსის ბრძანებით კავკასიის მთებზეა მიჯაჭვული. მას ღვიძლს უკორტნის არწივი. მეტეხის ციხემაც საქართველოს ისტორიაში, დიაღაც, ამ არწივის როლი შეასრულა.

ქართველები პრომეთეს შთამომავლებად უნდა ვიქცეთ. იმ პრომეთესი, კავკასიის მთებზე სამარადისოდ რომაა მიჯაჭვული და ყოველდღე თავიდან კლავენ. ჩვენი თავისუფლების დღეც დადგება. საქართველოს ისტორია და თავისუფლებისათვის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა.

მეტეხსა და მთაწმინდას შორის იდგა სემინარიის თეთრი, სამსართულიანი მოგრძო შენობა, რომელიც ყაზარმას უფრო ჰგავდა, ვიდრე სკოლას. სული, რომელიც ახალგაზრდობას სიყვარულით და თანაგრძნობით აღზრდიდა, იქ ვერ იბატონებდა. ასეთი იყო ამ შენობით გამოწვეული პირველი შთაბეჭდილება. მას სამხედრო დისციპლინა და მკაცრი სქემატური აღზრდა უფრო მიესადაგებოდა, ახალგაზრდობის ცნობისმოყვარე ლაღ სულს წინასწარ გამზადებული არტახებით რომ თრგუნავს. ამ ინსტიტუტის მიზანი რუსეთის ერთგული ქვეშევრდომების აღზრდა იყო. მიზეზი იმისა, რომ ბევრი მოწაფე სემინარიის დამთავრების შემდეგ მიღებულ ცოდნას არსებული სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას ახმარდა, იმ ცალმხრივ მოძრაობაშიც მდგომარეობდა, რუსეთისადმი მორჩილებასა და მსახურებას რომ გვინერგავდა, ეს კი ახალგაზრდობაში მრავალ წინააღმდეგობასა და პროტესტს ჰბადებდა. სემინარიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედლებმა ბევრი თავისუფლებისათვის მებრძოლი აღზარდა. სწორედ ამ სემინარიაში სწავლის პერიოდში გაუჩნდა ჟორდანიას სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაარსების შინაგანი მოთხოვნილება. ჩვენამდე ბევრად უფრო ადრე მოუსვენარი სულის მოსწავლეები ეურჩებოდნენ მასწავლებლების დოგმატურ პრინციპებს და შესტრფოდნენ სოციალური თანასწორობისა და პიროვნული თავისუფლების იდეებს. მინდა გავიხსენო ს. ჯიბლაძე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა, რომელიც ბოლშევიკებმა 1922 წელს ციმბირში გადაასახლეს.

სოსო ჯუღაშვილი დაწყებითი სკოლის წარჩინებით დამთავრების გამო, სემინარიაში უფასოდ მიიღეს. იგი უფასოდ იღებდა სამჯერად კვებას, თეთრეულს, ფეხსაცმელსა და სასწავლო ნივთებს. სასწავლებლის რექტორი რუსი ბერი იყო, ინსპექტორი კი — ქართველი ბერი, გვარად აბაშიძე, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკითა და სიმკაცრით გამოირჩეოდა. სემინარიაში ცხოვრება მოსაწყენი და ერთფეროვანი იყო. დღე და ღამე სემინარიის კედლებში გამომწყვდეულები იმ ტუსაღებსა ვგავდით, წლების მანძილზე უდანაშაულოდ რომ იხდიან სასჯელს. განწყობილება პირქუში და სევდიანი იყო. გარე სამყაროსგან მოწყვეტილ დერეფნებსა და ოთახებს ახალგაზრდული მხიარულება იშვიათად თუ შეეხებოდა. თუკი ხანდახან ახალგაზრდული ტემპერამენტი იჩენდა თავს, მაშინვე ზედამხედველობის მიერ ითრგუნებოდა ხოლმე. ცარისტული სკოლა ქართული ლიტერატურის კითხვას გვიკრძალავდა. მას აფრთხობდა და აშინებდა ჩვენი აღფრთოვანება ქართველი კლასიკოსების იდეებით. საერო ლიტერატურის კითხვა ჩვენ, როგორც მომავალ სასულიერო პირებს, გვეკრძალებოდა. სკოლაში დღე დილის წირვით იწყებოდა. დღესასწაულებზე კიდევ უფრო ხანგრძლივი და მოსაწყენი რიტუალები იმართებოდა. 3-4 საათი ვიდექით ფეხზე და ეკლესიის იატაკის ფილაქნებს დავყურებდით, დაღლილობისაგან ხან ერთ ფეხს მოვინაცვლებდით და ხან მეორეს. ყველაზე ღვთისმოშიშსაც კი დაავი-

წყებდა ასეთი გრძელი წირვები ლოცვას. ჩვენი მოწყენილი სახეები ბობოქარ აზრებს მალავდნენ. ეკლესიის ფერადი ფანჯრებიდან შემოსული მზის შუქი გარეთ გვიხმობდა. სემინარიის კედლების დატოვება მხოლოდ 3-დან 5 საათამდე შეგვეძლო. რა თქმა უნდა, სემინარიაში ბნელი კარცერიც იყო, რომელსაც ზედამხედველები სულ უმნიშვნელო დანაშაულისთვისაც კი იყენებდნენ. ნესტიანი კედლები კი ავადმყოფობას იწვევდა, რამაც ბევრი ჩვენი ამხანაგის სიცოცხლე შეიწირა.

5. პირველი სოციალისტური ორგანიზაცია

1894 წელს საქართველოში დაარსდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. სოციალიზმის იდეები, რომლებიც კარლ მარქსის მოძღვრებას ეყრდნობოდა, საქართველოში რამდენიმე წლით ადრე გავრცელდა და ახალგაზრდებსა და ცალკეულ მწერლებზე დიდ გავლენას ახდენდა. თანამოაზრეთა გაერთიანება კი მხოლოდ მაშინ მოხერხდა, როცა რუს სოციალისტთა და მათი ორგანიზაციის იდეები მთელს იმპერიაში გავრცელდა. რაც უფრო დიდი იყო მეფის მთავრობის დაწოლა, მით უფრო ძლიერდებოდა და ღონიერდებოდა პარტიის საქმიანობა. უკიდურეს სიღატაკეში მცხოვრები რუსეთის ქვეშევრდომთათვის ახალი მოძღვრება სახარებად იქცა. განსაკუთრებულ ლტოლვას სოციალიზმის მოძღვრებისაკენ ქართველი ხალხი იჩენდა, რადგან ის მას ეროვნული დამოუკიდებლობის გზად ესახებოდა.

თბილისის სასულიერო სემინარიაში გაბატონებულმა ატმოსფერომ ახალი იდეებისაკენ გვიბიძგა. ბუნებრივია, რომ პირველი სოციალისტური ახალგაზრდული ორგანიზაცია სწორედ სემინარიაში ჩამოყალიბდა.

სემინარიის ათი მოწაფე, მათ შორის სოსო ჯუღაშვილი და მე, საიდუმლოდ შევიკრიბეთ და პირველი სოციალისტური ახალგაზრდული ორგანიზაცია დავაარსეთ. ორგანიზაციის ხელმძღვანელად ასაკით ჩვენზე უფროსი მოწაფე დევდარიანი ავირჩიეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც თავის საქმეს დიდი სერიოზულობით ეკიდებოდა. მან შეიმუშავა პროგრამა, რომლის მიხედვითაც თითოეული ჩვენგანი ნამდვილ სოციალ-დემოკრატად უნდა აღვზრდილიყავით. გვირჩევდა ქართულ, რუსულ და ევროპულ ლიტერატურას, რომელიც უნდა დაგვემუშავებინა და შეგვესწავლა ბუნებისმეტყველებაში, სოციოლოგიაში. საიდუმლო შეკრებებზე რეფერატებს ვკითხულობდით და სხვადასხვა საკითხზე საინტერესო კამათებს ვმართავდით. ჩვენი ორგანიზაციის არალეგალური მდგომარეობა კარგად გვქონდა შეგნებული და ვიცოდით, რომ თუკი ჩვენი მისწრაფებები და იდეები გამომჟღავნდებოდა, დაუნდობელი სისასტიკით დავისჯებოდით. სემინარიიდან გარიცხვასა და სასამართლოს წინაშე პასუხისგებაზე უფრო მეტად ის გვაშინებდა, რომ მშობლები ჩვენი საქმიანობით გამოწვეულ საჯარო შერცხვენას ძალზე მძიმედ გადაიტანდნენ. ვიცოდით, რომ მშობლები საზოგადოებრივ აზრს უფრო დიდ ანგარიშს გაუწევდნენ. გვებრალებოდნენ იმ ტანჯვისათვის, ჩვენი ციხეში ჩაგდების, ან გაციმბირების შემთხვევაში რომ შეემთხვეოდათ.

აკრძალულმა ლიტერატურამ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მე და სოსო საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეებით ვიყავით გამსჭვალული.

მე და სოსო ხშირად ვსაუბრობდით საქართველოს ტრაგიკულ ბედზე, აღფრთოვანებული ვიყავით „ვეფხისტყაოსნით“.

სოსოს იდეალი იყო ალ. ყაზბეგის ნაწარმოების „ნუნუს“ გმირი კობა. კობა დამონებული მთის ხალხის მეთაური იყო, იგი თავისუფლებისათვის მებრძოლი რუსებმა შეიპყრეს და დაატყვევეს.

კობა სოსოს ცხოვრების არსად და იდეალად იქცა. მას უნდოდა მეორე „კობად“ ქცეულიყო. „კობას“ სახე მასში უნდა გაცოცხლებულიყო. იგი თავის თავს „კობად“ მოიხსენიებდა და სხვებისაგანაც იმავეს მოითხოვდა. სახე სიამაყით და სიხარულით უბრწყინავდა, როდესაც „კობათი“ მივმართავდით. „კობა“ მისი პირველი ფსევდონიმი იყო, რომელსაც იგი წლების განმავლობაში ატარე-

ბდა. საქართველოში მას დღესაც „კობას“, ანდა „კობა-სტალინს“ ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსოს პატივმოყვარეობას ისიც აღრმავებდა, რომ სასწავლებელში ყველას გვჯობნიდა. არაბუნებრივად ეჩვენებოდა, რომ ახალგაზრდა მარქსისტული ჯგუფის ორგანიზატორი ან ხელმძღვანელი სხვა ყოფილიყო. რეფერატებს შეკრებებზე თითქმის სულ თვითონ კითხულობდა. იცოდა, რომ მასავით ცხარე კამათი არც ერთ ჩვენგანს არ შეეძლო. კობას მოძღვრება სოციალიზმზე გაბატონებული კლასებისადმი ფანატიკურ ზიზღს ეფუძნებოდა.

ერთ საღამოს მე და კობა სემინარიიდან ერთ მუშასთან გავიპარეთ, რომელიც მთაწმინდაზე ცხოვრობდა.

მალე სემინარიელი თანამოაზრეებიც მოგროვდნენ. მთაწმინდის პატარა ბინაზე მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრები იკრიბებოდნენ. ციმბირიდან გამოქცეულმა პოლიტიკურმა პატიმარმა წაიკითხა მოხსენება ცარისტული პოლიციისა და რეაქციონერთა მიერ რევოლუციონერთა ადამიანური ღირსების შემლახავ დევნაზე, ციმბირის საპყრობილეებში პოლიტიკურ პატიმართა შემზარავ ყოფაზე. გვიყვებოდა, თუ რა საზარელი ტანჯვა-წამება გადაიტანა თვითონ. მას დაკარგული ჰქონდა სამშობლოს ნახვის იმედი. ეს წამება მას ბარბაროსული რეჟიმისადმი სიძულვილმა გადაატანინა.

ჩვენ წინაშე იდგა თვალებჩაცვენილი, ფერმკრთალი, გამხდარი კაცი, რომელიც უიშვიათესი ენაწყლიანობითა და დამაჯერებლობით გვესაუბრებოდა. ახალგაზრდებზე ამ მოხსენებამ დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. სულით ხორცამდე შეგვძრა მისმა მოხსენებამ. მისი მოწოდება, გვებრძოლა თავისუფლებისათვის, ძმობისა და სამართლიანობისათვის, უმაღლეს იდეალად გვექცა, ხოლო ამ იდეალებისთვის ბრძოლა კი — ცხოვრების აზრად.

დროთა განმავლობაში ნაკლებ სიფრთხილეს ვიჩენდით. სემინარიის ხელმძღვანელობამ ჩვენზე ეჭვი მოიტანა და ათივე სემინარისტი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ აგვიყვანა. ინკვიზიტორი

აბაშიძე სისტემატურად ჩხრეკდა და ეძებდა ჩვენი საცვლების ყუთებში აკრძალულ ლიტერატურას. განსაკუთრებული სიმკაცრით ექცეოდნენ კობას, რომლის გამოჭერასაც ისინი ვერაფრით ახერხებდნენ. ზედამხედველისა და მასწავლებლების ზიზღი კობას მიმართ უფრო და უფრო იზრდებოდა. კობა მათ სარკასტული, გამანადგურებელი სიცილით პასუხობდა.

„ჩვენ" წიგნებს გაკვეთილებზე, ღვთისმსახურებაზე და ლოცვების დროს ვკითხულობდით. მერხზე ბიბლია გვქონდა გადაშლილი, მუხლებზე კი ერთს დარვინი ედო, მეორეს — მარქსი, მესამეს კი პლეხანოვი ან ლენინი. შესვენებაზე ეზოში, საქვაბეში ვიმალებოდით და იქ ვკითხულობდით. ერთ დღეს იეზუიტმა აბაშიძემ, რომელიც კობას გამო გვდევნიდა, საქვაბის კიბეზე წაგვასწრო. წიგნები ვერ გვინახა, რადგანაც მათი გადამალვა მოვასწარით. კარცერში მაინც ჩაგვამწყვდიეს. გვიან ღამემდე ვისხედით სიბნელეში უჭმელები. შიმშილმა ისე გაგვამწარა, რომ კარებს ხელ-ფეხს ვურტყამდით. ბერმა საჭმელი მოგვიტანა, მაგრამ იქიდან მხოლოდ მაშინ გაგვათავისუფლეს, როცა ძილის დრო მოვიდა. როცა ზედამხედველი საძილე ოთახებში ჩამოივლიდა, შუქს გამოგვირთავდა ხოლმე, ჩვენ კი სანთლებს ვანთებდით და კითხვას განვაგრძობდით. კობა ყველას გვაჭარბებდა და თითქმის მთელი ღამე არ ეძინა. ის ავადმყოფურად გამოიყურებოდა და ყოველთვის ეტყობოდა, რომ ღამენათევი იყო. ახალგაზრდა მარქსისტებსა და დანარჩენ სემინარისტთა შორის შუღლი გაჩნდა, რომელიც ხშირად სერიოზული ჩხუბით მთავრდებოდა.

6. კობას ბოლშევიზმი

ახალგაზრდა სოციალისტურ ორგანიზაციაში მუშაობამ გვასწავლა ის აუცილებელი რამ, რითაც სოციალიზმის არსის წვდომას შევძლებდით. სოციალიზმის თეორიამ თვალი აგვიხილა. დაგვანახა რუსი და განსაკუთრებით დამონებული ქართველი ხალხის ყოფა, რომელიც თავის არსებობას საღათას ძილში ატარებდა.

სოციალური პრობლემები კვლავ უამრავ კითხვას ბადებდა. შეკრებებზე ბევრს ვკამათობდით, ვცდილობდით ამ კითხვებზე პასუხის გაცემას. სოსოს კრიტიკულ გამოსვლებს უფრო მწვავე კრიტიკით ვუპირისპირდებოდით. ეს კი ცხარე კამათს იწვევდა.

კობა რომ არა, ჩვენს მეგობრობას ბზარი არ გაუჩნდებოდა. მას მიაჩნდა, რომ ყოველთვის წამყვანი უნდა ყოფილიყო, თავისი შეხედულებების კრიტიკას არასდროს უშვებდა და სხვათა აზრებს ქედმაღლური ცინიზმით ეკიდებოდა. თუკი ვინმე შეკამათებას ანდა რაიმეს ახსნას გაუბედავდა, დაუნდობელ მტრად მოეკიდებოდა. მისი იდეები სოციალიზმის პრინციპებს თანდათანობით სცილდებოდა. იგი უარყოფდა სოციალისტური სახელმწიფოებრივი სისტემის წინაპირობას, კერძოდ კი, არჩევნების პრინციპებზე დამყარებულ ხალხის ძალაუფლებას და აღიარებდა ერთპიროვნულ ძალაუფლებას, რომლის დამყარების გზასაც მხოლოდ სისხლიან გადატრიალებაში ხედავდა, რაც მისი პიროვნული ძალაუფლებისმოყვარე ბუნების შედეგი იყო.

კობა ყველაფერში მხოლოდ უარყოფით მხარეს ხედავდა. ადამიანში იდეალურ თვისებებსა და იდეებს საერთოდ არ ცნობდა, მუშების დასაცავად კი მხოლოდ იმიტომ გამოდიოდა, რომ მათ შედარებით უკეთ იცნობდა და მათსავით სიღატაკესა და ჩაგვრას თვითონაც განიცდიდა; პროლეტარიატს უყურებდა, როგორც ცოცხალ, ბრმა იარაღს, რომელიც მას ემსახურებოდა და რომელსაც იგი თავად წარუძღვებოდა. მისი აზრით, ცარიზმის დროს შექმნილი კულტურა მთლიანად უნდა განადგურებულიყო, რასაც შეიძლება მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შესწირვოდა.

ჩემი ჯგუფი კი ძალაუფლებისა და განადგურების ნაცვლად განმანათლებლობასა და პროგრესულ, შეძლებისდაგვარად უმსხვერპლო რევოლუციურ გარდაქმნას უჭერდა მხარს. ჩვენი უზენაესი კანონი ადამიანებისადმი სიყვარული იყო.

კობას საქციელით ჩვენი თავყრილობების ჰარმონია უფრო და უფრო ირღვეოდა. სასწავლებლის ზოგიერთი მოსწავლე დააბნია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობას შეხედულებებმა და სოციალისტური თეზისების ჭეშმარიტებაში დააეჭვა. იგი თვლიდა, რომ მეფის მმართველობა რამდენიმე ადამიანის ძალაუფლებას უნდა შეეცვალა. ბევრს კობასთან ფრთხილი და თავშეკავებული ურთიერთობა ჰქონდა, ერიდებოდნენ მასთან კამათს. იცოდნენ, რომ კობას დაყოლიება ანდა რაიმეში დარწმუნება უშედეგო იყო.

წლების განმავლობაში ორი პარტია ჩამოყალიბდა, ერთი კობას უჭერდა მხარს, მეორე კი მას უპირისპირდებოდა. საქმიანი, პრინციპული ბრძოლა ულირს, პიროვნულ კინკლაობაში გადაიზარდა. კობა შეუზღუდავი ძალაუფლებისათვის იბრძოდა, სხვები კი პარტიის წევრების თანასწორუფლებიანობისათვის.

კობას ყველაზე დიდი მოწინააღმდეგეები იყვნენ: დევდარიანი, ნატროშვილი და მე.

კობა სულიერ ნათესაობას ავლენდა ლენინთან, ბაკუნინთან და ბლანკთან, ჩვენ კი პლეხანოვს ვაღიარებდით. განსაკუთრებულ პატივს ვცემდით ჟორდანიას, რომელიც მაშინ ახალი დაბრუნებული იყო გერმანიიდან, სადაც მარქსიზმის თეორიას სწავლობდა. თბილისში მან პირველი სოციალ-დემოკრატიული ჟურნალი გამოსცა. რედაქციაში ხშირად ჩუმად დავდიოდით. რამდენჯერმე კობაც წამოგვყვა და ჟურნალის თანამშრომლებისათვის მერე ხშირად დაუცინია.

კობა არავის უყვარდა. ყველას აშინებდა მისი დაუნდობელი რისხვა და გესლიანი დაცინვა. მის მიმდევრებს პირველობის პრეტენზია არასდროს გასჩენიათ, რადგან მისი მფარველობის ქვეშ თავს უფრო დაცულად გრძნობდნენ, პატარა დიქტატორის ნათქვამს თუთიყუშებივით იმეორებდნენ. მასთან მეგობრობა მხოლოდ იმ გონებაშეზღუდულ ადამიანებს შეეძლოთ, რომლებიც უკრიტიკოდ იღებდნენ ყოველივეს, რასაც იგი ქადაგებდა.

ახალგაზრდა მარქსისტებში კობამ ჯერ კიდევ მაშინ შეიტანა განხეთქილება, როდესაც არ არსებობდნენ ბოლშევიკები და მენშევიკები.

ქრისტიანულ რელიგიას, რომელიც, მისი აზრით, მხოლოდ სასულიერო პირებსა და თავადებს ემსახურებოდა, ისევე უარყოფდა, როგორც მორალის ცნებას საერთოდ. იგი ათეისტი იყო. ჰქონდა მხოლოდ ძალაუფლების სიყვარული. აღმერთებდა საკუთარ თავს და ეგოცენტრულ „მეს“.

მისი დამოკიდებულება რელიგიასთან აიხსნება მისივე უსაზღვრო პატივმოყვარეობითა და სურვილით, ქცეულიყო მასების კერპად. ეშინოდა, რომ რელიგია საეჭვოდ გახდიდა მისი ქვეშევრდომების მიერ მის მლიქვნელურ აღიარებასა და განდიდებას.

თავის მიმდევრებში რელიგიის ნაცვლად მეტაფიზიკურ მსოფლმხედველობას თესავდა. ამისათვის კი ისეთივე ჯიუტი შეუპოვრობით იბრძოდა, როგორც იეზუიტი ბერი იბრძოლებდა საკუთარი მოძღვრებისათვის. ჭეშმარიტების შეცნობა და აღიარება არაფრად უღირდა. შეეძლო გაეკრიტიკებინა, ანდა დაეცვა ის, რასაც მანამდე თავად ამტკიცებდა ან სდევნიდა. გამარჯვება და ტრიუმფი მისთვის ყველაფერზე ძვირად ფასობდა.

კობას გარშემო თავი მოიყარა ახალგაზრდა სემინარისტთა პატარა ჯგუფმა, რომლებმაც მარქსიზმს სხვაგვარი იდეები მიაწერეს და საკუთარი ეგოცენტრული სურვილების შესაბამისად მის გადასხვაფერებას ცდილობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მე მის შეხედულებებსა და ძალაუფლებისმოყვარე ამორალურ იდეებს განსაკუთრებული დაუნდობლობით ვაკრიტიკებდი, ჩემთან მაინც ამხანაგური დამოკიდებულება ჰქონდა. ერთმანეთთან შეხვედრისას, თუკი პოლიტიკაზე არ ვსაუბრობდით, გორში ერთად გატარებულ ბავშვობას ვიხსენებდით ხოლმე. ვმღეროდით ქართულ ხალხურ სიმღერებს. ამ წუთებში ის ისევ ძველებური სოსო იყო.

დახასიათება, რომელიც სემინარიის ხელმძღვანელობამ სოსოს ბოლო, მეექვსე კლასში გადასასვლელად მისცა, იმდენად ცუდი იყო, რომ მან სემინარიის მიტოვება გადაწყვიტა. კობამ იცოდა, რომ ბერების სიძულვილი მისდამი ისეთი დიდი იყო, რომ რაც

არ უნდა ესწავლა, შესაბამის ნიშნებს მაინც აღარ დაუწერდნენ. ამიტომ გადაწყვიტა პროლეტარიატისათვის, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობისათვის მიეძღვნა თავი. თვლიდა, რომ ამისათვის საკმარისი განათლებაც ჰქონდა. ვცდილობდი დამერწმუნებინა, რომ აუცილებელი იყო სემინარიის დამთავრება და მერე რუსეთში ერთად გავმგზავრებულიყავით უნივერსიტეტში სასწავლებლად.

ქართული უნივერსიტეტი მაშინ, მრავალი მიზეზის გამო, ჯერ კიდევ არ არსებობდა.

1899 წელს კობამ მიატოვა სემინარია და თან სასწავლებლისა და ბურჟუაზიის სიძულვილი წაიყოლია, რაც ცარიზმს განასახიერებდა — ეს იყო სიძულვილი გაბატონებული კლასების მიმართ.

7. რევოლუციის მაცნე

1899 წელს, სემინარიიდან გამოსვლის შემდეგ, კობა თბილისის ობსერვატორიაში მუშაობდა და მცირე გასამრჯელოს იღებდა. აგიტატორული საქმიანობისათვის თავისუფალი დრო ბევრი ჰქონდა და ამიტომ იქ მუშაობა ძალზე მოსწონდა.

ფული ნაკლებად აინტერესებდა. პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნვას სოციალისტურ პრინციპებთან შეუთავსებლად მიიჩნევდა. ის საკმაოდ პატიოსანი იყო იმისათვის, რომ თავისი იდეებისათვის მსხვერპლი გაეღო. კარგად ესმოდა, რომ ღარიბ, მშიერ ხალხს მხოლოდ ლაპარაკით ვერ მოხიბლავდა, და რომ გარეგნულად თვითონაც პროლეტარიატს უნდა დამსგავსებოდა.

მე ხშირი სტუმარი ვიყავი მის ღარიბულ სახლში. მაშინ კობა მიხაილოვის ქუჩაზე ცხოვრობდა.

კობას უბრალო, შავი რუსული პერანგი ეცვა და ყველა სოციალ-დემოკრატისათვის დამახასიათებელ წითელ ჰალსტუხს ატარებდა. ზამთარში ძველ ყავისფერ პალტოს იცვამდა. თავზე კი მხოლოდ რუსულ ქუდს იხურავდა. თუმცა კობას სემინარიის ახალგაზრდა მარქსისტთა შორის ბევრი მეგობარი არ ჰყოლია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჭირვებაში ისინი ხანდახან მაინც ეხმარებოდნენ ხოლმე.

მართალია, შემოსავალი კარგი ჩაცმის შესაძლებლობას არ აძლევდა, მაგრამ ისიც მართალია, რომ ლამაზად და სუფთად ჩაცმის სურვილი არ ჰქონია. ყოველთვის ჭუჭყიანი პერანგი და ფეხსაცმელები ეცვა. სულით სიღრმემდე სძულდა ყველაფერი, რაც „ბურჟუაზიულს" მოაგონებდა. თეთრ საყელოსა და ევროპულ კოსტუმს მაძღარი ბურჟუის უნიფორმად მიიჩნევდა.

ბურჟუად მივიჩნევდით არა მათ, ვინც სოციალისტურ მსოფლმხედველობას არ იზიარებდა, არამედ იმ მდიდარ და გავლენიან ადამიანებს, რომლებიც ფეოდალურ არისტოკრატიასა და მეფის აბსოლუტიზმს პირადი კეთილდღეობიდან გამომდინარე ემსახურებოდნენ.

ყველას, ვინც თეთრ საყელოს ატარებდა, ეკლესიაში ან მთავრობაში მსახურობდა, კობა „ბურჟუად" თვლიდა და მათთან კომპრომისს არ ცნობდა.

პატარა მაგიდაზე ყოველთვის პლეხანოვის, ლენინის, ანდა სხვა მარქსისტების წიგნები ეწყო. განსაკუთრებით ლენინის სტატიებსა და წიგნებს კითხულობდა. ლენინის მოსაზრებები და თეზისები სოციალიზმის შესახებ მის იდეებთან ყველაზე უფრო ახლოს იდგა. კობა ხანდახან სემინარიაში მოდიოდა ხოლმე და ჩვენთვის აკრძალული ლიტერატურა მოჰქონდა.

თავისუფალ დროს დაუღალავი ენერგიით იბრძოდა სოციალისტური მოძღვრების გასავრცელებლად. ცდილობდა თანამოაზრეების შემოკრებას. კობას პროპაგანდისტულ-ორატორულმა ნიჭმა პარტიას დიდი სამსახური გაუწია.

საქართველოს ყველა ქალაქში მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა და სოციალ-დემოკრატიული პარტია ერთიან ორგანიზაციად იქცა. საქართველოში ამ ორგანიზაციის პირველი და შეიძლება საუკეთესო ხელმძღვანელი იყო ჯიბლაძე. ამ ნიჭიერ და უანგარო ორგანიზატორს მე და კობა ჯერ კიდევ სემინარიიდან ვიცნობდით. მისგან ბევრი რამ ვისწავლეთ. მან გაამყარა და განამტკიცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი შეხედულებები. ჯიბლაძეს მჭიდრო მეგობრული კავშირი ჰქონდა ჟორდანიასთან.

1900 წელს „კვალში“ ჩემი პირველი მოთხრობა გამოვაქვეყნე. რამდენიმე დღის შემდეგ კობა შემხვდა და სახეგაბრწყინებულმა გამომცდელად მკითხა: „რისი თქმა გინდოდა ამ მოთხრობით?“ მე ვუპასუხე: „გლეხების უკიდურესმა სიღატაკემ და სოფლური ყოფის უსასოობამ დამანახა, რომ რევოლუცია სწორედ სოფლიდან უნდა დაიწყოს, რადგან გლეხები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ და სრულ უუფლებობაში ცხოვრობენ. მე მინდოდა ჩემი მოთხრობით გამომეფხიზლებინა სოფლის მოსახლეობა და ჩვენი აგიტაციური საქმიანობისათვის ნიადაგი შემემზადებინა“.

ერთმანეთს ძველი, კეთილი მეგობრებივით დავცილდით. 1900 წელს ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია პირველად ზეიმობდა პირველ მაისს, მუშები ოცდაოთხსაათიანი დასვენების უფლებას მოითხოვდნენ. ისინი ქალაქგარეთ შეიკრიბნენ. დაუვიწყარია ის დღე. გახარებულები ვუსმენდით, თუ როგორ დადეს მათ ფიცი, ებრძოლათ თავისუფლებისა, ძმობისა და თანასწორუფლებიანობისათვის. კობამ მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა და ჩვენი გულწრფელი აღფრთოვანება დაიმსახურა. ჩვენ მივხვდით, რომ მეოცე საუკუნის დამდეგი რევოლუციური ეპოქის დასაწყისიც იყო და რომ ცარისტული ფეოდალური სისტემის დამსხვრევა და ხალხის ძალაუფლების დამყარება გარდაუვალი ხდებოდა.

8. პირველი მაისის დღესასწაული თბილისში

1901 წლის პირველ მაისს საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის საჯარო გამოსვლა მოეწყო. მშრომელი მოსახლეობა საყოველთაო უკმაყოფილების გამომხატველ დემონსტრაციას უშიშრად შეუერთდა. ცარისტული ხელისუფლების სისასტიკემ, რომლითაც იგი სოციალ-დემოკრატებს სდევნიდა და უსწორდებოდა, გააძლიერა ხალხის ლტოლვა ამ მოძრაობისაკენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაარწმუნა გაბატონებული სისტემის წინააღმდეგ ბრძოლისა, აუცილებლობაში.

1901 წლის პირველ მაისს ქალაქის მთავარ მოედანზე პარტიის ხელმძღვანელებმა მოიყარეს თავი. ეს იყო იმპერატორის წინააღმდეგ მიმართული პირველი საჯარო გამოსვლა. სოციალისტებმა წინასწარ იცოდნენ, რომ პოლიცია ყველაფერს იღონებდა დემონსტრაციის გასარეკად. ყველამ იცოდა, რომ ამით საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდა, მაგრამ ხალხის მასები უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ, რათა ხელისუფლებისათვის შეეგნებინებინათ, რომ სახელმწიფო ხალხია და რომ ისინი აღარ მოითმენდნენ ხელისუფლების ხელში ბრმა იარაღად დარჩენას.

როგორც კი დემონსტრანტები მოედანზე წითელი დროშის ირგვლივ შეიკრიბნენ, მაშინვე ყოველი მხრიდან ცხენებზე ამხედრებული კაზაკები გამოჩნდნენ ხმლების ქნევით. კანიბალებივით სისხმოწყურებულნი დაუნდობლად ურტყამდნენ მათრახს ხალხს და მოედნიდან ერეკებოდნენ. ხალხი წითელი დროშის ირგვლივ შემჭიდროვდა. ამ დროს რევოლუციონერის ხმა გაისმა, რომელიც პოლიციასთან შეტაკებისკენ მოუწოდებდა. მუშები ჯოხების ქნევით მიეჭრნენ კაზაკებს და ცხენებიდან გადმოათრიეს. კაზაკებმა უკან დაიხიეს. ხელისუფლებამ დაინახა ხალხის ძალა, რომელსაც სამხედრო წინააღმდეგობის დაძლევაც შეეძლო.

ერთხანს მოედანზე სიჩუმე ჩამოწვა. დაჭრილი მუშები გაიყვანეს, ორატორებმა სადღესასწაულო სიტყვის წარმოთქმა დაიწყეს. უეცრად მოედანს შეიარაღებულმა ჟანდარმერიამ და პოლიციამ შემოარტყა ალყა. „ცეცხლი!“ — გაისმა ბრძანების ხმა და დემონსტრანტებს ტყვია დაუშინეს. სამარისებური სიჩუმე; შემდეგ კი დაჭრილების კვნესა გაისმა. მსხვერპლი დიდი იყო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები დაიჭირეს, ხოლო ცოცხლად გადარჩენილი დემონსტრანტები დაჭრილებსა და მკვდრებს დასტრიალებდნენ თავს.

სამხედრო გამარჯვებას ზეიმობდა თბილისი და მთელი საქა-

რთველო კი გლოვას მოეცვა. გლოვამ რევოლუციის აქამდე მიმალული ჩირაღდანი გამოაჩინა. ძალიან დიდი იყო ხალხის აღშფოთება. დემოკრატიული სახალხო სახელმწიფოს შექმნის იდეა, თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლის სურვილი ჩაგრულთა და ღატაკთა დაუცხრომელ მისწრაფებად იქცა. რევოლუციონერების პროპაგანდამ ქვეყნის ყველა კუთხეში დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

პირველი მაისის შემდეგ დაპატიმრებები დიდხანს გრძელდებოდა და ციმბირში ათასობით ადამიანს ერეკებოდნენ.

კობამ, რომელიც ასევე იდევნებოდა, თავს გაქცევით უშველა. პოლიცია მას კვირების განმავლობაში ამაოდ ეძებდა. კობამ თავი მშობლიურ გორს შეაფარა. დედამისთან ვერ გაჩერდებოდა, რადგან პოლიცია პირველ რიგში იქ მოიძიებდა. გვიან, ღამე, ჩუმად მესტუმრებოდა ხოლმე სახლში, სადაც სემინარიის დამთავრების შემდეგ გადავსახლდი და გორის სემინარიაში მასწავლებლის ადგილი მივიღე. თბილისის პირველი მაისის დღესასწაულმა კობაზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. ანთებული თვალებით ლაპარაკობდა მასების საერთო აღშფოთებაზე და რევოლუციონერთა ჰეროიკულ ბრძოლას აქებდა. მე სწორედ იმან შემაშფოთა, რომ კობას დემონსტრაციის სისხლიანი დასაწყისი აღაფრთოვანებდა. კობას აზრით, სისხლიანი ბრძოლა ბევრ რამეს სწრაფად გადაწყვეტდა.

1902 წელს თბილისში მაისის დღესასწაული არ ჩატარებულა. პარტიის ხელმძღვანელობამ ის ბათუმში გადაიტანა, რასაც სისხლიანი შეტაკება მოჰყვა.

1902 წლის პირველი მაისიდან რამდენიმე დღის შემდეგ, გორში, გვიან ღამით, ვიღაც ორმა უცნობმა კაცმა ჩემი სახლის კარებზე დააკაკუნა. მათ პატარა ბარათი გადმომცეს. ბარათი გავხსენი და წავიკითხე:

„ჩვენ ბათუმის მანთაშოვის ნავთობის ქარხნის მუშები ვართ. ეს ბარათი თქვენთან კობამ გამოგვატანა. პოლიცია ბათუმის სი-

სხლიან შეტაკებაში კობას სდებს ბრალს. თქვენ უნდა თქვათ, რომ კობა პირველ მაისს თქვენთან იყო გორში. თუ კობა დაიჭირეს, ის მოწმედ თქვენ დაგასახელებთ".

შემდეგ კი მოყვნენ:

კობა დემონსტრანტების ბრძოლას ხელმძღვანელობდა პოლიციის წინააღმდეგ, პოლიცია მათ ესროდა, დემონსტრანტები კი ქვებს უშენდნენ. მსხვერპლი ორივე მხრიდან დიდია, ბათუმის ციხეები გადატენილი. ბათუმის ნავთობის ქარხანა მუშები დაითხოვეს, დაკეტეს, რადგანაც ის რევოლუციური იდეების კერად ითვლებოდა.

სრულიად მოულოდნელად, საქართველოს კუთხეში, გურიაში, იფეთქა გლეხების აჯანყებამ. აჯანყებულებმა ხელისუფლებას მთელი რიგი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოთხოვნები წაუყენეს: გადასახადებისა და ბეგარის შემცირება; ტყეებისა და მიწების სახალხო საკუთრებად გამოცხადება; მემამულეთა მიწების გლეხებისათვის გადაცემა; მოთხოვნები ხდებოდა სოციალ-დემოკრატების ლოზუნგით — „ძმობა, ერთობა, თავისუფლება". ეს იყო აშკარა ომის გამოცხადება მმართველი წრეების მიმართ. სოფლის მცხოვრებთა აჯანყება მთავრობის წინააღმდეგ პირველად მოხდა — სოფლის მცხოვრებნი მთავრობის წინააღმდეგ პირველად აჯანყდნენ.

გურიის გლეხების მოთხოვნებს ერთი წლის შემდეგ მთელი საქართველოს გლეხთა მოთხოვნებიც შეუერთდა. იმპერიამ, მართალია, შეძლო აჯანყების ჩახშობა, მაგრამ ხალხის თავისუფლებისაკენ სწრაფვის სურვილი უფრო და უფრო იზრდებოდა. ერთხელ გაჩაღებული ცეცხლი კიდევ უფრო მეტად ღვივდებოდა. ხელისუფლებას მონარქისტულ პრინციპებზე თავად რომ ეთქვა უარი და დემოკრატიული რეფორმები გაეტარებინა, ალბათ თავიდან აიცილებდა იმ ტრაგედიას, რომელიც მას დაატყდა თავს.

მთავრობა ლოკალურ აჯანყებებს დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა და თვლიდა, რომ ამ პრობლემებს რევოლუციონერთა ციმბირში გასახლებით გადაწყვეტდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობა ისეთივე თავდადებით განაგრძობდა სოციალ-დემოკრატიულ მოღვაწეობას.

1903 წელს კობამ ცოლი შეირთო. თვითონ ამას ბედნიერ ქორწინებად მიიჩნევდა. რასაკვირველია, ეს არ იყო ის, რასაც იგი ახალ სახელმწიფოში ქორწინების საფუძვლად მიიჩნევდა. ვინმესთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობა მის ბუნებას არ შეესაბამებოდა. თავის ქორწინებას კი ბედნიერად იმიტომ თვლიდა, რომ მისი ცოლი აღზრდილი იყო ქართულ ტრადიციებზე, რაც ქმრისადმი ერთგულებას და მსახურებას გულისხმობს.

9. ფრაქციული ბრძოლა

ლენინის იდეებს სახელმწიფოსა და რევოლუციაზე სოციალ-დემოკრატთა შორის უამრავი მიმდევარი გაუჩნდა. ლენინი თვლიდა, რომ სახალხო ხელისუფლება მხოლოდ სისხლიანი გზით შეიძლება დამყარებულიყო, იმ დროს, როცა სხვებს რევოლუციური გარდაქმნებისა სჯეროდათ და მიაჩნდათ, რომ გაბატონებული კლასები გამოღვიძებული ხალხის ნებას წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდნენ და თვითონვე გადადგებოდნენ.

პარტიის შიგნით ტაქტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებზე ამ ორი მიმართულების ბრძოლამ 1903 წელს უკიდურესი ხასიათი მიიღო. ლონდონის პარტიული ყრილობის ძირითადი საკითხი იყო, თუ როგორ ტაქტიკას აირჩევდა რევოლუცია ცარისტული სისტემის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ლენინს მიაჩნდა, რომ საჭირო იყო საყოველთაო შეიარაღებული აჯანყება, პლეხანოვი კი ორგანიზაციული და პროპაგანდისტული საქმიანობის გაძლიერებას და ხალხის პოლიტიკური დონის ამაღლებას მიიჩნევდა უმნიშვნელოვანესად.

ბრუსელში მუშათა მომდევნო საერთაშორისო კონგრესზე, ლენინის ხელმძღვანელობით რადიკალებმა კვლავ ხმათა უმრავლესობა მოიპოვეს, უმცირესობა რადიკალიზმს გმობდა. უმცირესობის (მენშევიკების) უმრავლესობისაგან (ბოლშევიკები) გათიშვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე გარდაუვალი იყო. მენშევიკებს არადემოკრატიულობაში სდებ-ბდნენ ბრალს, ვინაიდან ისინი უმრავლესობის აზრს არ იზიარებ-ბდნენ და თავიანთ პრინციპებს მშვიდობიანი გარდაქმნის შესახებ არ ღალატობდნენ. ტერორს, რომელსაც ბოლშევიკები ქადაგებ-ბდნენ, მენშევიკები მხარს ვერ დაუჭერდნენ. ბოლშევიკი მოწინააღმდეგეში დაუძინებელ მტერსა და დამნაშავეს ხედავდა, რაც მენშევიკებს დემოკრატიული პრინციპებისა და თავისუფლების შელახვად მიაჩნდათ. სოციალისტური დემოკრატიის იდეა მკვლელობით და სისხლით არ უნდა დალაქავებულიყო. ბოლშევიზმის იდეა იყო რაღაც ახალი, რომელსაც სოციალიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა.

კობას აღაფრთოვანებდა ლენინის ძალისმიერი მეთოდები. ცხადია, თავი ბოლშევიკად ცნო და საქართველოში მისი იდეების ერთგულ გამტარებლად იქცა.

აქვე უნდა ითქვას, რომ სოციალისტთა შორის საქართველოში ბოლშევიზმს ბევრი მიმდევარი არ გამოსჩენია. პატარა ბოლშევიკური ორგანიზაციები არსებობდა მხოლოდ რამდენიმე ქალაქში: თბილისში, ბაქოსა და ბათუმში. თვით კობას მშობლიურ ქალაქ გორში, სადაც მე 1902-1906 წლებში პოლიტიკურ საქმიანობას ვეწეოდი, არც ერთი ბოლშევიკი არ იყო.

ქართველი მუშები და გლეხობა მენშევიკებს და მის ლიდერებს — ჟორდანიას და ჯიბლაძეს უჭერდნენ მხარს. პირველ რიგში ქართველი სამშობლოს განთავისუფლებას ესწრაფვოდა. ქართველს თავისი სამშობლოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა უნდოდა, ხოლო შემდეგ თავისი ქვეყნის სახელმწიფოებრივ სახეს თავად შეჰქმნიდა.

ბოლშევიკური ტრადიციები კობამ თავისი საქმიანობის შესაფერისად მიიჩნია. ეს შესანიშნავი ნიადაგი იყო მისი სურვილების განსახორციელებლად. იგი აღარც ძველ მეგობრებს გვინდობდა. შეკრებებსა და დისკუსიებზე დაუნდობელ სარკაზმსა და მრისხანებას იჩენდა. მისი თვითმიზანი სოციალ-დემოკრატიული ტრადიცი-

ების შერყევა იყო. კრებებზე მხოლოდ იმისთვის გამოჩნდებოდა ხოლმე, რომ არეულობა და უთანხმოება შემოეტანა.

ქართველი მარქსისტების უმრავლესობა ჩვენს მხარეს იდგა. ეს ფაქტი მას უფრო ამწარებდა.

საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობა იცნობდა და მხარს უჭერდა სოციალისტურ იდეებს. სოციალ-დემოკრატიული — მენშევიკური პარტია რამდენიმე წელში შეძლებდა ხალხის პოლიტიკურ მოვლენებში ჩაბმას. ქართველი ადამიანი განუდგა ბოლშევიკურ მეთოდებს. შუასაუკუნეობრივი გაუმართლებელი ტერორისტული პროგრამა და შეიარაღებული აჯანყების იდეა მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ძალზე უცხო იყო. ევროპული ქვეყნების მსგავსად, ხალხი შემოიკრიბა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გარშემო, რომლებსაც პოლიტიკური დემოკრატიისა და თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს დამკვიდრება სურდათ.

ბოლშევიკების დანაშაულებრივმა მოქმედებამ სულ მალე საყოველთაო ზიზღი გამოიწვია. ცარისტული აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ერთი სისტემის მეორეთი შეცვლას გულისხმობდა, არაფრის მომტანი იყო. მონობისაგან განთავისუფლებას ბანდიტური თავდასხმებითა და დანაშაულებრივი მოქმედებებით აპირებდნენ. მკვლელობები, თავდასხმები, ფულის გამოძალვა, ძარცვა-გლეჯა, ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებას აფერხებდა და მშვიდობიან არსებობას თითქმის შეუძლებელს ხდიდა. კობა საქართველოში ბოლშევიკების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებების ხელშემწყობი იყო, 1905 წელს ხელმძღვანელობდა თბილისში, ერევნის მოედანზე, სახაზინო მანქანაზე თავდასხმას. დღის 12 საათზე ყუმბარებით შეიარაღებულები თავს დაესხნენ მანქანის მცველ ჯარისკაცებს. შეშინებული გამვლელები აქეთ-იქით გარბოდნენ. მოედნის შუაგულში კი, აფეთქებული მანქანის ნამსხვრევების ქვეშ, დაჭრილი და მკვდარი ჯარისკაცები ეყარნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამნაშავეებმა ხელთ დიდი თანხა ჩაიგდეს და შვეიცარიაში ლენინს გაუგზავნეს. ასე დაიწყო ლენინთან კობა-სტალინის მეგობრობა.

ამის შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ კობა ოფიციალურად გარიცხა თავისი რიგებიდან და საბოლოოდ შეაქცია ზურგი ბოლშევიზმს.

10. პირველი რევოლუცია

1905 წლის ოქტომბრის დასაწყისში რუსეთის რკინიგზის მუშებმა პოლიტიკური გაფიცვა გამოაცხადეს. რკინიგზის ყველა სადგურმა მუშაობა შეწყვიტა. მოძრაობა ერთიანად შეწყდა. მეფის მთავრობა იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო.

1905 წლის 17 ოქტომბერს გამოქვეყნდა ისტორიული მანიფესტი პრესისა და თავყრილობათა თავისუფლების შესახებ. მთავრობა ხალხს „დუმაში" (სათათბიროში) თავიანთი წარმომადგენლების ყოლას დაჰპირდა.

რკინიგზის გაფიცვის გამო, იძულებული ვიყავი, თბილისში დავრჩენილიყავი. 17 ოქტომბრის დილას გოლოვინის პროსპექტზე, დღევანდელ რუსთაველზე, მივდიოდი და მანიფესტის გამოქვეყნება იქ შევიტყე. ოპერის შენობის წინ ნაცნობი სოციალ-დემოკრატი იდგა. სახეგაბრწყინებული ფურცელს აფრიალებდა და გარშემოკრებილ ხალხს რევოლუციური მოძრაობის პირველ გამარჯვებას ამცნობდა. ქალაქის ყველა კუთხიდან ცენტრში თავისუფალი საქართველოს დროშის ფრიალით დემონსტრანტები მოედინებოდნენ. ოპერის წინ უამრავი ხალხი შეიყარა და თავისუფლების ჰიმნს მღეროდნენ. ლაჟვარდოვანი ცის ქვეშ საზეიმო განწყობილება სუფევდა. პარტიის ლიდერები აივანზე გადმომდგარიყვნენ და სიტყვას წარმოთქვამდნენ. დავინახე, თუ როგორ აძვრა კობა ტრამვაის ხაზის ლამპიონზე და ხალხს ხელების ქნევით ელაპარაკებოდა. კობას ხმა არ მესმოდა. მანიფესტის გამოცხადების შემდეგ მათ ხალხს საბოლოო გამარჯვებისთვის ბრძოლისაკენ მოუწოდეს. მეორე დღეს ქალაქის გარეუბანში,

ნაძალადევში, სოციალ-დემოკრატმა მუშებმა დემონსტრაცია გამართეს. მაღალ ტრიბუნაზე ჭაღარა, მოხუცი ჯიბლაძე იდგა, პარტიის მამა და დაუცხრომელი მებრძოლი. ცისკენ თვალებაპყრობილმა ხმამაღლა, საზეიმოდ წარმოთქვა: „ამხანაგებო და მოქალაქენო! დღეს, როდესაც პირველად თავისუფლების დროშები ჩვენი ქვეყნის ცის ქვეშ სახალხოდ ფრიალებენ, შემიძლია გავიმეორო ის სიტყვები, რომლითაც სვიმონმა მიმართა ქრისტეს!"

შემდეგ ლაპარაკი ვეღარ შეძლო. მღელვარებით შეპყრობილი, გულწასული, თანამებრძოლთა ხელებში ჩაესვენა. მთელი საქართველო, კავკასია და რუსეთი ზეიმობდა იმპერიის აბსოლუტიზმზე პირველ გამარჯვებას. ბრძოლა კი გრძელდებოდა.

11. შავი რეაქცია

პირველი გამარჯვების წაქეზებით 1905 წლის დეკემბერში მოხდა მოსკოვის აჯანყება, რომელიც მარცხით დამთავრდა. მეფის მთავრობა რევოლუციურ მოძრაობასა და მოსკოვის მოვლენებს სწორად აფასებდა. მკაცრად სდევნიდა ბოლშევიკურ სოციალისტურ ორგანიზაციებს, მის ხელმძღვანელებს კი ან საპყრობილეებში ამწყვდევდა, ან ციმბირში ასახლებდა. სოციალისტური იდეებისადმი თანადგომის გამოხატვა საკუთარი თავისთვის განაჩენის გამოტანის ტოლფასი იყო. საიდუმლო პოლიცია თავისუფლებისათვის მებრძოლთ სდევნიდა. შავი რეაქციისადმი შიში ხალხის განწყობილებას თრგუნავდა.

მეფის მართლმსაჯულების სისხლიანმა ტალღამ საქართველოსაც გადაუარა. პეტერბურგში იცოდნენ, რომ მოსახლეობის 90 პროცენტი სოციალისტურ იდეებს იზიარებდა და ქვეყნის დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფვოდა.

მოსკოვის აჯანყების პარალელურად დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მხარეში, გურიაში, მუშათა და გლეხთა უკმაყოფილებამ იფეთქა. ქვეყანას საეგზეკუციო ჯარის ნაწილები შემოესივნენ, რომლებიც თავის გზაზე გადამწვარ სოფლებს ტოვებდნენ. მთებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხიზნული პარტიის ლიდერები ხალხს მეფის ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველად რაზმავდნენ. ვინც ჯარს ხელში უვარდებოდა, ყინვაში ფეხშიშველა გამოჰყავდათ და მათგან რევოლუციონერთა გაცემას მოითხოვდნენ.

ვერც ციმბირში მასობრივმა გადასახლებებმა და დაპატიმრებებმა, ვერც სიკვდილით დასჯამ გატეხა ქართველი ხალხის თავისუფლებისაკენ ლტოლვა. სოციალისტური ორგანიზაციები კვლავ არალეგალურ მდგომარეობაში განაგრძობდნენ ყოფნას. სოციალისტები და ბოლშევიკები ერთნაირად იდევნებოდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ შორის განხეთქილება დღითი დღე ღრმავდებოდა. მართალია, პირველმა რევოლუციამ მათი მიზნებისა და იდეების განხორციელება ვერ შეძლო, მაგრამ მეფის მთავრობა დაარწმუნა და დაანახა მას, რომ რუსი ხალხი იმპერიის საბოლოო დემოკრატიზაციისათვის ბრძოლას მომავალში კვლავაც განაგრძობდა. მეფის მრჩევლები თვლიდნენ, რომ დადგა დრო, როდესაც ხალხის წარმომადგენლებს მთავრობაში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ. ისინი სამართლიანად შიშობდნენ, რომ მონარქიის დღეები დათვლილი იყო, ხოლო რევოლუციური იდეების ჩახშობა კი თითქმის შეუძლებელი ხდებოდა. 1906 წელს „დუმის“ დაარსებით მთავრობაში ხალხის წარმომადგენლობის იდეა განხორციელდა. „დუმას“ არ ჰქონდა საკანონმდებლო უფლებები. მეფე მის გადაწყვეტილებებზე არ იყო დამოკიდებული. ასე რომ, „დუმის“ დაარსება რევოლუციური მოძრაობის შეჩერებას ვერ შეძლებდა. ის უპირატესობა კი ჰქონდა, რომ ხალხისათვის თავისი სურვილებისა და განწყობილების გამოხატვის შესაძლებლობა მიეცა. სოციალისტურმა პარტიამ გადაწყვიტა „დუმაში“ თავისი დეპუტატების გაგზავნა, რათა პოლიტიკური დემოკრატიისათვის ჩაეყარა საფუძველი. „დუმის“ ტრიბუნიდან შეეძლოთ მიემართათ ხალხისათვის, 120-მილიონიანი მოსახლეობისათვის თავიანთი იდეები გაეცნოთ. პროპაგანდისტული და ორგანიზაციული მოსაზრებით „დუმაში“ მონაწილეობის მიღებას აზრი ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მოველოდით, ჩვენი ამგვარი ტაქტიკის გამო ბოლშევიკები დაგვიპირისპირდნენ. ისინი „დუმას“ რეაქციულ ინსტიტუტად მიიჩნევდნენ და ჩვენ ხალხის ღალატს გვაბრალებდნენ. სისხლის ღვრის გარეშე თანასწორუფლებიანობის დამყარების ჩვენს სურვილებს ბოლშევიკური მოსაზრებები ეწინააღმდეგებოდა, რომლებიც მიზნისკენ მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით მიდიოდნენ.

ქართველი სოციალ-დემოკრატები არჩევნებში დიდ მონაწილეობას იღებდნენ. არჩევნების სისტემა ჩვენი წარმომადგენლობის ყოლის უფლებას არ გვაძლევდა, მაგრამ დეპუტატების გაგზავნა კი შეგვეძლო.

ამ დროისათვის ქართველმა ბოლშევიკებმა დააარსეს გაზეთი „ბრძოლა“, რომელიც დაუნდობელ, გესლიან აგიტაციას ეწეოდა ჩვენ წინააღმდეგ. მათი პოლიტიკური საქციელი სამოქალაქო ომისაკენ მოწოდება იყო მხოლოდ.

1907 წელს გამოვაქვეყნე სტატია: „ბოლშევიკური საფრთხე“, სადაც მკაცრად ვგმობდი ბოლშევიკურ ტაქტიკას, რომელსაც ქვეყანა აშკარად სამოქალაქო ომისკენ მიჰყავდა და მას არაადამიანურს და თათრული მარქსიზმით დაღდასმულს ვუწოდებდი. კობამ გაზეთ „ბრძოლაში“ მისთვის დამახასიათებელი სარკაზმით გამცა პასუხი. ის სისხლიანი მუქარით უარყოფდა ეროვნული დემოკრატიისათვის, თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისთვის მებრძოლ სოციალიზმს, პროლეტარიატის ინტერნაციონალური დიქტატურის შურისძიებას გვპირდებოდა. თანასწორუფლებიანობა მას მხოლოდ ბოლშევიკური, პროლეტარიატის ცალმხრივი უზრუნველყოფის აზრით ესმოდა.

ორ პარტიას შორის შეუთანხმებლობას კობა მთლიანად მე მაბრალებდა, თუმცა მე მისთვის არაერთხელ ამიხსნია, რომ მსოფლმხედველობას ცალკეულ პიროვნებებთან არ ვაიგივებდი და ჩემს უკმაყოფილებას მასთან, როგორც ადამიანთან, საერთო არაფერი ჰქონდა. ჩემსა და კობას შორის განხეთქილების უფსკრული ღრმავდებოდა. ჩვენ დაუძინებელ მტრებად ვიქეცით.

12. სენსაციური პოლიტიკური მკვლელობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1907 წელს ბარბაროსული სისასტიკით მოჰკლეს თავადი ი. ჭავჭავაძე. ჭავჭავაძე თავისი დროის უდიდესი მწერალი და პოეტი, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი იყო. მოსახლეობის ყველა ფენა მას ერთხმად აღიარებდა და ეთაყვანებოდა, ცარისტულ გარემოცვაში იგი ქართველი ხალხის ნების ერთადერთი გამომხატველი იყო. იგი არასდროს ითხოვდა პატივს თავისი არისტოკრატული წარმოშობის გამო და ხალხი მას ხშირად ხედავდა თანამოქალაქეთა შორის. თავადი პირველი იყო, ვინც სიკვდილით დასჯა საჯაროდ დაგმო. ის ხშირად გამოდიოდა მეფის წინააღმდეგ, რითაც მის უკმაყოფილებას იმსახურებდა.

მკვლელები იყვნენ ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც თავიანთი მიზნებისკენ პოლიტიკური მტრების გზიდან ჩამოშორებით მიდიოდნენ. შურისძიების აღსრულებას მხოლოდ მკვლელობაში ხედავდნენ. თავადის მოკვლა პროგრამულ აუცილებლობად მიაჩნდათ. იმას კი არ იაზრებდნენ, ამა თუ იმ თავადს რაიმე დანაშაული მიუძღოდა თუ არა ცარისტული მმართველობის წინაშე.

ბოლშევიკების აზრით, არისტოკრატია მოკლებული იყო ადამიანურ გრძნობებს და აუცილებელი იყო მისი სრული განადგურება. ი. ჭავჭავაძის დანაშაული მხოლოდ მის წარმომავლობაში მდგომარეობდა. თავადის მკვლელობამ გონიერსაც და უგუნურსაც თვალი აუხილა და დაანახა, თუ რას ესწრაფებოდა ბოლშევიზმი და რას მოიტანდა ლენინისა და მისი მიმდევრების აღთქმული თავისუფლება — რუსულ შუასაუკუნეობრივ სისხლიან ტერორსა და ტირანიას. მკვლელობის უკან არაპირდაპირ კობაც იდგა, ის ყველა ბოროტმოქმედების წამქეზებელი და აგიტატორი იყო.

მთელი საქართველო გლოვამ მოიცვა. დიდი იყო აღშფოთება ლენინელების მიმართ. საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრება დიდხანს იმყოფებოდა საზარელი მკვლელობის შთაბეჭდილების ქვეშ. ხალხი — თავადი თუ მუშა — სულით ხორცამდე შეძრა ამ გაუგონარმა ამბავმა. მკვლელები სწრაფად შეიპყრეს და თავადის ქვრივის სურვილის წინააღმდეგ, ჩამოახრჩეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი პრესა ამ მკვლელობას ეროვნულ დანაშაულად მიიჩნევდა. დამწუხრებული ქართველი ხალხი ჟორდანიას გარშემო შემოიკრიბა და უკანასკნელი პატივი მიაგო დიდ მწერალს. ჟორდანიამ ხალხის სახელით საფლავი გვირგვინით შეამკო და მკვლელის სახელი დასწყევლა.

13. სტალინი

კობას პოლიტიკურ ბრძოლას საერთო აღარაფერი ჰქონდა ყაზბეგის რომანის გმირთან, თავის პროტოტიპთან. კობა-სტალინი აღარ იყო სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული და მისი თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი. კობა-სტალინის პატივმოყვარე მიზნები აღარ ემსახურებოდა ჩაგრული ხალხის ინტერესებს. სოციალიზმის უკან ძალაუფლებისაკენ სწრაფვა იმალებოდა. დემოკრატიას მისი სურვილების ხელისშემშლელად თვლიდა. სამშობლოს თავისუფლება უკვე აღარაფრად უღირდა. მისი ძალაუფლებისაკენ ლტოლვა აღარანაირ საზღვარს აღარ ცნობდა. სოციალ-დემოკრატების ლოზუნგებით უნებისყოფო და გონებაშეზღუდული მიმდევრები შემოიკრიბა, კეთილდღეობას შეჰპირდა და თავისი სურვილების აღმასრულებელ იარაღად გაიხადა. მწერლების მლიქვნელობას საზღვარი არ ჰქონდა და მის უკვდავებას ადიდებდნენ. დამნაშავეები მასში საყრდენს ეძებდნენ, თავგადასავლების მაძიებელნი კი თავაშვებული და განუკითხავი თავისუფლების დადგომას ელოდნენ.

1907 წელს, ქორწინებიდან მეოთხე წელს, კობას მეუღლე გარდაიცვალა. ჭეშმარიტი ქართველი ქალი, რომელსაც თავისი მეუღლის ბედი ძალიან აშფოთებდა, ღამეებს მხურვალე ლოცვებში ატარებდა და ღმერთს თავისი ქმრის სულს ავედრებდა. ლოცულობდა, რომ ქმარი მაცდური იდეებისაგან განთავისუფლებულიყო და მშვიდობიანი ოჯახური ცხოვრებისათვის მოეკიდა ხელი. მას დარჩა ვაჟიშვილი, რომელიც 1919-1920 წლებში გიმნაზიაში ჩემი მოწაფე იყო.

მიუხედავად ჩვენი მტრობისა, კობასთან მისასამძიმრებლად მა-

ინც მივედი. ფერმკრთალ სახეზე ცხოვრების ერთგული თანამგზავ-
ვრის სიკვდილით გამოწვეული სულიერი ტანჯვა ეტყობოდა.
მწუხარების დაფარვას სხვების წინაშე არ ცდილობდა. ვიგრძენი
მისი მადლიერი მზერა. იმ წუთებში ალბათ, ჩვენი მეგობრობის
წლები ახსენდებოდა. ჩვენ ის ორი მეგობარი ვიყავით, რომლე-
ბსაც განსხვავებული მსოფლმხედველობა ერთმანეთისგან აღარ
თიშავდა. ვხედავდი, რომ კობა თავისი კეთილშობილი ცოლის
ერთგული იყო, ცოლისა, რომელიც ყოველ წუთს მზად იყო
ქმრისა და შვილისათვის შეეწირა თავი. შინაგანად ისეთი აფო-
რიაქებული ადამიანი, მუდამ რომ დევნას განიცდიდა, შვებას
მხოლოდ ოჯახში პოულობდა. ადამიანებისადმი მისი ზიზღი არ
შეხებია მხოლოდ მის ცოლს, შვილსა და დედას.

კობას მივუსამძიმრე, ვიცოდი, რომ ცოლი მისი უკანასკნელი
მორალური საყრდენი იყო. ისიც ვიცოდი, რომ კობა თავის
მიზნებზე ხელს არასოდეს აიღებდა. სახლის წინ უამრავმა ხალხმა
მოიყარა თავი. მე სამგლოვიარო სიტყვა წარმოვთქვი. მწუხარები-
სგან მხრებში მოხრილი კობა შვილს გულში იხუტებდა.

მართლმადიდებლური ეკლესიის კანონებისამებრ მიცვალებული
სასაფლაოზე წაასვენეს. ცოლის ნათესავებმა მისი საეკლესიო
წესების დაცვით დაკრძალვა მოინდომეს და კობამაც წინააღმდე-
გობა ვეღარ გაუწია. ამ დათმობაზე კი იმიტომ წავიდა, რომ
იცოდა, ამით ცოლის უკანასკნელ სურვილს აღასრულებდა. კუ-
ბოს წინ სასულიერო პირები მიუძღვებოდნენ და ფსალმუნებს
მღეროდნენ. როდესაც საფლავს მივუახლოვდით, კობამ ხელი
ხელზე მომიჭირა, საფლავისკენ გაიხედა და მითხრა:

„ამ ქალმა შეძლო გაელღო ჩემთვის ქვის გული. მასთან
ერთად ჩემი უკანასკნელი ადამიანური სითბოც მოკვდა“.

შემდეგ მარჯვენა ხელი მკერდზე მიიდო და მითხრა: „აქ,
შიგნით, ყველაფერი დაცარიელდა“.

ამ დღიდან მან ადამიანური შეგრძნებების უკანასკნელი გამო-
ვლინებაც დაკარგა. გული იმ ღვარძლით აევსო, რასაც შეუბრა-

ლებელი მამამისი ბავშვის გულში თესავდა. სძულდა თავისი გაჭირვებული, ტრაგიკული ცხოვრება და სინდისის ქენჯნის უმცირეს გამოვლინებასაც კი კლავდა თავის თავში. დაუნდობელი იყო საკუთარი თავის და სხვების მიმართაც: სტალინი შეიარაღებული აჯანყების ორგანიზატორი გახდა. მიზნად დაისახა სასულიერო პირების, თავადებისა და ბურჟუაზიის განადგურება. მისი ცალმხრივი პოლიტიკური მსოფლხედვა არ მოიცავდა სრულყოფილად ბოლშევიკურ პროგრამას. განადიდებდა ლენინისეულ ტერორს და მის განხორციელებას ესწრაფვოდა. მის შეხედულებებს ასახავდა ის სტატიები, რომელსაც სტალინი დიდ რუსეთში ლენინურ გაზეთებში აქვეყნებდა. სწორედ ამ პერიოდში გამოაქვეყნა მან წერილები სტალინის ფსევდონიმით.

ცარისტულმა პოლიციამ სტალინი დააპატიმრა. მეუღლის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მას ციმბირში სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს.

იმ დროისთვის კიევის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ვიყავი და მის ჩანაწერებს არალეგალურ ბოლშევიკურ გაზეთებში გავეცანი.

14. 1917 წლის რუსეთის დიდი რევოლუცია

1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციამ, სოციალისტ-რევოლუციონერთა ხელმძღვანელობით, დაამხო მეფის ძალაუფლება და გააუქმა ავტოკრატიული სისტემა. მათი მიზანი, რომლის განხორციელებასაც ისინი შეძლებისდაგვარად უსისხლოდ ესწრაფვოდნენ, აბსოლუტური მონარქიის თანამედროვე დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნა იყო. სირთულეები, რომლებიც მათი ხელმძღვანელების — კერენსკის, წერეთლისა და სხვათა წინაშე იდგა, ძალზედ სერიოზული იყო, ვინაიდან რუსეთი მილიტარისტულ, ძლიერ და უკეთესად ორგანიზებულ გერმანიასთან ომობდა. ომში დროებითი გამარჯვებისაკენ სწრაფვა, შესაძლებელია, რუსი სოციალ-დემოკრატების საბედისწერო შეცდომა გახდა. სე-

პარატული ზავის დაუყოვნებლივ დადებით სოციალ-დემოკრატებს ომით გადაღლილი ხალხის სიმპათია შეეძლოთ მოეპოვებინათ და საკუთარი პოზიციები განემტკიცებინათ. იმ დროისათვის ბოლშევიკებმა ომის საწინააღმდეგო პროპაგანდით პოპულარობის მოხვეჭა შეძლეს.

რუსეთის ძლევამოსილი, უზარმაზარი იმპერიისათვის დემოკრატიზაცია თითქმის გადაუჭრელი პრობლემა იყო. რუს ხალხს აბსოლუტურ მონარქისტულ ისტორიაში ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული. ხელისუფლების აპარატის გარდაქმნას ძალზე დიდი დრო დასჭირდებოდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ რუსეთი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის, დაბალი სოციალური ფენის პოლიტიკურ ინტერესებს გულგრილად ეკიდებოდა. მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობა პროგრესული იდეების გავრცელებას აფერხებდა. პოლიტიკური გარდაქმნების არსი გლეხობისათვის გაუგებარი იყო. გაუნათლებელი, უკულტურო გლეხობა გარდაქმნას მხოლოდ სოფლური ყოფის გაუმჯობესებაში ხედავდა, ვინაიდან სხვაგვარი ცხოვრება მას არც ენახა და ვერც წარმოედგინა. პრობლემები, რომლებიც რევოლუციის ხელმძღვანელთა წინაშე წამოიჭრა, იმდენად დიდი იყო, რომ მათ ომის პირობებში, რომელიც ისედაც მთელი ძალ-ღონის დაძაბვას მოითხოვდა, ვერ განახორციელებდნენ.

თებერვლის რევოლუცია დამარცხდა. გერმანიის სამხედრო ხელისუფლებმა კი ბოლშევიკების თავისი მიზნებისათვის გამოყენება სცადეს და ამიტომ კერენსკიმ მათი მხარდაჭერა დაკარგა. ლენინი, ტროცკი, სტალინი და სხვანი ძალაუფლებისაკენ სისხლიანი ტერორის გზით მიიწევდნენ. ლენინი და ტროცკი გერმანელების დახმარებით შვეიცარიიდან რუსეთში დაბრუნდნენ. სტალინს კი ციმბირიდან თავდასაღწევი გზა გაეხსნა, ქვეყანაში შურისძიების გაუმაძღარი წყურვილი გაჩნდა.

ის, რაც ბოლშევიკების აზრით უვარგისი იყო, ან მათ იდეებს ეწინააღმდეგებოდა, იქნებოდა ეს ადამიანი, თუ ხელოვნების ნაწა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმოები, დაუნდობელი სისასტიკით ნადგურდებოდა. ლენინი და მისი ამხანაგები ხალხის განმანათლებლობის მაგივრად ქვეყანაში ძალაუფლებას ამკვიდრებდნენ, რაც მხოლოდ შიშს ჰბადებდა. მათ კი კარგად ესმოდათ, რომ შიში უფრო სწრაფად ინერგება, ვიდრე განმანათლებლობა და აღზრდა. მართალია, ამგვარი მოძღვრება და მეთოდები მათ ხალხის სიყვარულს არ მოუტანდა, მაგრამ სამაგიეროდ ძალაუფლებას კი განუმტკიცებდა. მონარქისტულ ისტორიასთან შეზრდილი ხალხის იმედი მათ არ უნდა ჰქონოდათ. ხალხის სიყვარულს ძალაუფლების მპყრობელებისადმი არც ერთი სახელმწიფოებრივი ფორმა არ ეყრდნობა ხანგრძლივად, და მით უმეტეს, არც ბოლშევიკებისა. ლენინის პატივმოყვარეობას მხოლოდ დიქტატურა თუ ემსახურებოდა. ლენინელებს არ ადარდებდათ ის, რომ ხალხი ცარიზმის დროს რომ იყო, იმაზე უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდა და მათი პოლიტიკა მარქსის მეთოდებს ეწინააღმდეგებოდა.

სტალინი ბოლშევიკური პარტიის გენერალურ მდივნად დანიშნეს. პარტიის ხელმძღვანელობა ერთპიროვნულ ხელისუფლებად იქცა. პარტიის მითითებებს საბჭოთა სისტემის დაბალი და მაღალი ჩინოვნიკები უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდნენ. დაუმორჩილებლობა საკუთარი ფეხით გილიოტინაზე ასვლას ნიშნავდა. თუმცა სტალინი ლენინის სიცოცხლეში წინა პლანზე არ ჩანდა, იგი დიქტატურის შექმნის უშუალო მონაწილე იყო. ლენინს არაერთხელ დაუხრია თავი სტალინის წინაშე და მისი აბსოლუტური უფლებები ულიარებია, რადგანაც მას სტალინისა უფრო ეშინოდა, ვიდრე უყვარდა.

სტალინი პარტიად იქცა და თავისი ძალაუფლებით სახალხო კომისრებზე მაღლა იდგა. მოგვიანებით ეს დრომ დაამტკიცა. ლენინის სიკვდილის შემდეგ, სტალინი მარტო იდგა იქ, საითკენაც მთელი სიცოცხლე მიილტვოდა. ამ სიმაღლის შენარჩუნების გარანტიას მხოლოდ ძალაუფლება თუ იძლეოდა, სტალინისათვის არ არსებობს არანაირი სიბრალული და გზიდან გადახვევა. მილი-

ონობით სისხლი იღვრება და მომავალშიც დაიღვრება მისი გამო-ისობით. სტალინის გარეშე არ არსებობს სტალინიზმი! ბოლშევი-ზმი ეს სტალინიზმია.

15. დამოუკიდებელი საქართველო

1917 წელი საქართველოში რუსეთისაგან განსხვავებულად და-იწყო. პოლიტიკურ მოვლენებს ქართველი ხალხი რუსი ხალხის მსგავსად საღათას ძილით როდი შეეგება. სოციალ-დემოკრატი-ულმა პარტიამ და მისმა ხელმძღვანელმა ჟორდანიამ, მრავალი დევნის მიუხედავად, ხალხის განთავისუფლების იდეით გამსჭვალა შეძლო. სოციალიზმის იდეა დიდ რევოლუციამდე იქცა ქართველი ხალხის სანუკვარ ოცნებად. თითოეული ქართველის სურვილი სამშობლოს განთავისუფლება იყო. ცარისტული იმპერიიდან საქა-რთველოს გამოხსნას და ეროვნულ თავისუფლებას სოციალ-დე-მოკრატები ისევე ელტვოდნენ, როგორც თითოეული ერის ბე-დნიერებას. ასე რომ, საქართველოში ბოლშევიზმი ფეხს ვერ მოიკიდებდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ საქართველოში აღფრთო-ვანებული გამოძახილი ჰპოვა. ახდა მონობიდან განთავისუფლების იმედი. ადამიანი უკვე თავისუფალი იყო. ახლოს იყო მთელი ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა. უტოპიისათვის დრო აღარ რჩებოდა. ომის საშინელი ჭრილობების მოშუშება შესაძლე-ბელი გახდა. განადგურებული მეურნეობისა და ძველი სისტემით ხელოვნურად დამუხრუჭებული კულტურული განვითარების გა-მოცოცხლება და დემოკრატიული გარდაქმნა კვლავ შესაძლებელი ჩანდა.

როდესაც რუსეთში ბოლშევიკურმა ოქტომბრის რევოლუციამ თებერვლის რევოლუციაზე გაიმარჯვა, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული ხელისუფლება უკვე მყარად იდგა. კავკასიის ხალხებმა, ქართველებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა ერთი-ანი კავშირი შექმნეს.

ამიერკავკასიის სეიმს, როგორც პარლამენტს, საკანონმდებლო უფლებები მიენიჭა. პარლამენტში ქართველ სოციალ-დემოკრატებს აბსოლუტური უმრავლესობა ჰქონდათ და გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ. კავკასიის ხალხთა ერთსულოვნებამ ბოლშევიკური ტალღის საზღვართან შეჩერება შეძლო. ბოლშევიკურ პროპაგანდას არათუ ვინმე უსმენდა, არამედ იგი მოღალატურადაც გამოაცხადეს და საბოლოოდ დაგმეს.

ბოლშევიზმმა ვერც კავკასიის დანარჩენ ხალხებში შეძლო ფეხის მოკიდება, მოსკოვში ლენინის მიერ ძალაუფლების ხელში აღებით, ქართველი დემოკრატიის მესვეურებმა ჩათვალეს, რომ დადგა დრო, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას დაუბრუნებდნენ.

1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და ამით სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით ისტორიაში შეიქმნა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება რუსეთისგან თავის დაღწევის დასაწყისი იყო. ეს იყო ისტორიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი აქტი, რომლითაც მონობის პერიოდი დასრულდა. ეს იყო სამშობლოს ერთგული შვილების ყველაზე დიდი და ერთადერთი სურვილი.

იმ დროს, როცა რუსეთში ლენინის, ტროცკისა და სტალინის ხელმძღვანელობით ყოვლისწამლეკი სახელმწიფოებრივი აპარატი იქმნებოდა, საქართველოში დემოკრატიის აღმშენებლობის ხანა დაიწყო.

დამოუკიდებლობის გამოცხადება ეროვნული შეგნების აუცილებელი შედეგი იყო, რომელიც ჯანმრთელმა ისტორიულმა ტრადიციებმა დაბადა. ძმათა მკვლელობა, რაც რუსეთში ხდებოდა, თავიდან იქნა აცილებული. ქართველი ერის არსებობა გადარჩა და ქართული კულტურის განვითარება შესაძლებელი გახდა.

ქართველებს მიჰბაძეს კავკასიის სხვა ხალხებმაც. სომხეთი, აზერბაიჯანი და დაღესტანი დამოუკიდებელ რესპუბლიკებად გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცხადდა. ჟორდანია ახალი საქართველოს პრეზიდენტად ირჩიეს. გამოიცა ერთიანი დემოკრატიული კონსტიტუცია. პარლამენტი 130 კაცისგან შედგებოდა, რომელთაგან 113 სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. პარლამენტის დანარჩენი 17 დეპუტატიც იმავე იდეას იზიარებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მიზანსწრაფულ, მშვიდობიან პოლიტიკას ატარებდა. სახელმწიფო და პარლამენტი სოციალ-დემოკრატიული პროგრამის განხორციელებასა და დამკვიდრებას ცდილობდნენ.

ქართული მთავრობის პირველი დიდი ნაბიჯი მიწის რეფორმის გატარება იყო. სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონემ და პროდუქციამ საგრძნობლად იმატა. ტყეები, მინდვრები და ვენახები სახელმწიფოსა და კომუნების საკუთრებაში გადავიდა, რითაც სოციალური პრობლემების გადაჭრა შესაძლებელი გახდა.

სოფლის მეურნეობის მინისტრად დაინიშნა ხომერიკი. ეს იყო ქვეყნის თავისუფლებისათვის დაულალავი მებრძოლი, რომელიც ბოლშევიკებმა 1924 წელს სხვა დანარჩენებთან ერთად დახვრიტეს.

გამოცხადდა რვასაათიანი სამუშაო დღე. სწავლება სავალდებულო გახდა. გერმანული მოდელის მიხედვით სოციალური დაზღვევის გატარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული წინსვლა იყო. ქვეყნის ყველა კუთხეში დაარსდა სკოლები, საბავშვო ბაღები და თანამედროვე საავადმყოფოები, ასევე — გერმანული მოდელის მიხედვით შექმნილი სამეურნეო კოოპერაციები საქონლის გასაღებას უზრუნველყოფდნენ.

შიდა და გარეშე მტრებისაგან ქვეყანას მცირერიცხოვანი, მაგრამ დისციპლინირებული მოხალისეთა ეროვნული გვარდია იცავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ პარლამენტში აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოვადგენდით, მონარქისტული საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნას მაშინვე არ ვაპირებდით. აგრარულ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის კულტურული დონე არცთუ ისე მაღალი იყო, სოციალიზმის საფუძვლების შექმნას ჯერ-

ჯერობით შეუძლებლად მივიჩნევდით. თავდაპირველად საჭირო იყო იმ წინაპირობების შექმნა, რომელზეც ნამდვილი სოციალიზმი აშენდებოდა. ჩვენი მთავარი საზრუნავი იყო სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნება, რომელსაც ბოლშევიკური რუსეთის საფრთხე ემუქრებოდა. ჩვენს საზღვრებს მილმა სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ბოლშევიკებს უტოპიური, მსოფლიოს ახლებურად მოწყობის იდეები ჰქონდათ და მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვების შემთხვევაში, პროლეტარიატს სამოთხეს ჰპირდებოდნენ. ვიცოდით, რუსეთიდან საბოლოო თავის დაღწევის პროცესი ხანგრძლივი და მკაცრი იქნებოდა.

ჯერ ეროვნული თავისუფლების მოპოვება იყო საჭირო, ხოლო შემდეგ ინტერნაციონალურ ძმობაზე ფიქრი. საამისოდ საქართველოში სიტუაცია ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული. ასევე საჭირო იყო სახელმწიფოს შინაგანი სტრუქტურის ორგანიზება, რუსეთისაგან მემკვიდრეობით სულ სხვაგვარი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა გვერგო. მეფის ხელში იყო მთელი ძალაუფლება, რომელიც გუბერნატორების მეშვეობით ხორციელდებოდა. საჭირო იყო ხალხის მასების სახელმწიფოს მმართველობაში ჩაბმა და კადრების სისტემის შექმნა.

სოციალისტური მიზნები არასდროს დაგვიწყებია. მსოფლიო ხალხთა დაძმობილებაზე ფიქრი რომ შეგვძლებოდა, საჭირო იყო თავად ჩვენ ვმდგარიყავით მყარად. ეს პროცესი საქართველოში განვითარების სხვადასხვა ეტაპს მოიცავდა. ერთ დღეში სახელმწიფო არავის გარდაუქმნია. დრო იყო საჭირო.

დიქტატურა ჩვენთვის მიუღებელი იყო, თუმცა სხვა პარტიების მიმართ ასეთი მეთოდების გამოყენება შეგვეძლო. თუკი ჭეშმარიტი დემოკრატიის დამყარება გვსურდა, იმ უმცირესობის შეხედულებებისთვისაც უნდა გვეცა პატივი, რომლებიც ჩვენთან ერთად იბრძოდნენ სამშობლოს განთავისუფლებისათვის. სხვაგვარად მოაზროვნე უმცირესობის ზურგს უკან არავითარი ექსპერიმენტის ჩატარებას არ ვაპირებდით, რომელსაც სხვა ქვეყანაში, ცხოვრე-

ბის სხვაგვარ პირობებში, შესაძლებელია რაიმე შედეგი მოსულ-ნოდა, ჩვენთვის კი არაფრის მომცემი იქნებოდა. რა სარგებლობის მოტანა შეეძლო ხელფასების გაზრდას, როდესაც ქვეყანაში არ არსებობდა ორგანიზებული გასაღების ბაზარი.

სოციალური თავისუფლების წინაპირობა ეროვნული თავისუფლება და პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია იყო, ხოლო შემდეგ კი — სოციალიზმი თავისუფალ საქართველოში.

16. სტალინის წითელი არმია თავს ესხმის საქართველოს

საქართველოს დამოუკიდებლობა ქვეყნის ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი იყო. თავისთავად განუმეორებელი იყო ის, რასაც ისტორიულად ამ მოკლე ხანში ხალხისა და მთავრობის ერთიანმა ნებამ მიაღწია. რუსეთის ასწლიანი მონობის პერიოდში მსგავსი არაფერი შექმნილა. საყოველთაო კეთილდღეობის შექმნა შეეძლო მხოლოდ თავისუფალ ხალხს, რომელსაც მთელი პასუხისმგებლობა აეღო თავის თავზე და გულისყური ქვეყნის გასაჭირისთვის მიეგდო. უფლებააყრილმა ხალხმა თავისი თავი დაიბრუნა და მზერა მაღალი, სულიერი ინტერესებისაკენ მიმართა. საქართველომ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და სხვა სახელმწიფოებთან სამშვიდობო ხელშეკრულებები დადო. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საბჭოთა რუსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის პოლიტიკას. 1920 წლის 7 მაისს ლენინმა ჩვენი ქვეყნის მთავრობასთან დადო ხელშეკრულება, რითაც ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიარა და ბოლშევიკური პროპაგანდის აღკვეთის გარანტია მოგვცა.

სტალინი ამ ხელშეკრულების წინააღმდეგი იყო.

ის არ დაუშვებდა თავისი ქვეყნის რუსეთისაგან გამოყოფას. რუსეთში ბატონობა, თუკი საქართველო მის ძალაუფლებას არ დაემორჩილებოდა, მისთვის არაფერს ნიშნავდა, პატივმოყვარეობა საქართველოს დაპყრობისაკენ უბიძგებდა, რომელმაც მისი ძირგამომთხრელი პროპაგანდა ასე დაუფიქრებლად უარყო.

1921 წლის თებერვალი, ბრძოლა ბოლშევიკებისაგან თბილისის დასაცავად.

მას მენშევიკებზე შურისძიების წყურვილი არ ასვენებდა. ლენინის ნების საწინააღმდეგოდ მან საქართველოს გაბოლშევიკება (გასაბჭოება), ანუ სტალინიზაცია განიზრახა, საქართველოში თავისი პროპაგანდის ჩაფუშვის შემდეგ კი სისხლიან ძალას მიმართა.

1921 წლის 11 თებერვალს სტალინმა დაარღვია ლენინის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება. მისი ბრძანებით წითელი არმიის თავდასხმის ხელმძღვანელები მისი უერთგულესი ქართველი ბოლშევიკები: ორჯონიკიძე, მახარაძე და სხვები იყვნენ.

მცირერიცხოვანი ქართული არმია, გმირული ბრძოლის მიუხედავად, ამ შეიარაღებულ თავდასხმას ვერ გაუმკლავდებოდა. მთავრობის მოწოდებას, დაეცვათ სამშობლო მოღალატური თავდასხმისაგან, მთელი ქართველი ხალხი შეუერთდა. აღმოსავლეთ საქართველოდან შავ ზღვამდე, ბათუმამდე, თითოეული გოჯი მიწისთვის არაადამიანური, უთანასწორო ომი მძვინვარებდა. ხალხი თავდავიწყებით იბრძოდა სამართლიანობისა და ადამიანობის დასაცავად. ხალხი იბრძოდა, ვიდრე სტალინის ცხოველად ქცეულმა ყაჩაღურმა ბანდამ ქვეყანა ხელში არ ჩაიგდო აღმოსავლეთიდან ბათუმამდე. კავკასიის მთებში ათასობით მამულიშვილის სისხლი იღვრებოდა.

18 თებერვალს დამპყრობლები თბილისს მოადგნენ. ქალაქის აღმოსავლეთ შემოსასვლელში მთელი ღამე დაუნდობელი ბრძოლა გაიმართა. შიშით გათანგულ ქალებსა და ბავშვებს ყუმბარების ხმა და ზარბაზნების გრუხუნი ესმოდათ. ჩვენი მცირერიცხოვანი არმია არნახულ წინააღმდეგობას უწევდა ზებუნებრივ ძალას. თითოეული ჩვენგანი იცავდა თავისუფლებას, დემოკრატიას, სამშობლოს, თავის ცოლსა და შვილს.

18 თებერვლის საღამოს მთავრობამ რამდენიმე მინისტრთან და დეპუტატთან ერთად ფრონტზე გამგზავნა, რათა მამულისთვის მებრძოლი გმირებისთვის ხალხისა და მთავრობის მადლობა გადამეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი ბუნებრივ ციხესიმაგრეს წარმოადგენს, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან განსაკუთრებულად გამაგრებულია. ჩვენი ნაწილები მთაზე განლაგდნენ, მაგრამ ეს საკმაოდ მცირე ძალა იყო საიმისოდ, რომ რუსების შემოსევისათვის გაეძლო. ჩვენს მოწოდებას უამრავი მოხალისე გამოეხმაურა. საშველად მოსვლა მხოლოდ თბილისიდან და მისი გარეუბნებიდან შეეძლოთ. ამიტომ ეს ძალაც ბევრს არაფერს ნიშნავდა. ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი უკვე ბოლშევიკების ხელში იყო. რუსები შეტევაზე შუაღამეს გადმოვიდნენ. ქალაქი ტყვიისა და ზარბაზნების სროლის ხმისაგან ზანზარებდა, მოსახლეობა კი შიშისგან დაზაფრული ელოდა ფრონტიდან ცნობებს.

მე ჩემი პოლიტიკური მისია დამავიწყდა და ფრონტზე საბრძოლველად გავეშურე. გზაში მთავრობის მანქანა შევნიშნე. მთავრობის წარმომადგენელი ლორთქიფანიძე და სამხედრო მინისტრი ჭიჭინაძე იარაღით ხელში ფრონტზე საბრძოლველად მიდიოდნენ.

ფრონტზე დაუნდობელი ბრძოლა გამართულიყო. დავინახეთ დაჭრილები. ღამეულ ცას შემაძრწუნებლად ანათებდნენ გასროლილი ტყვიები.

გათენებისას წითელი არმიის შემოტევა მოვიგერიეთ. „ვაშას“ ძახილით მიერეკებოდნენ ქართველები უკუგდებულ რუსის ჯარისკაცებს.

ბრძოლის ველზე დაჭრილი და დახოცილი რუსები ეყარნენ. ჩვენი მხრიდან დანაკლისი არცთუ ისე დიდი იყო. მიწაზე ესვენა ახალგაზრდა არტილერიის ოფიცერი და დიდი, შავი პალტო ეფარა.

„ჩემი ძმა ბედნიერია“, — თქვა ექიმმა, — „ის სამშობლოსათვის მოკვდა“.

მივუახლოვდი გენერალ მაზნიაშვილს, რომელიც თბილისს იცავდა და ვაკოცე. მან თქვა:

„გადაეცით ჟორდანიას, რომ ჩვენ მისი ნდობა გავამართლეთ“.

ერთმანეთს ვეხვეოდით. ვნახე გორელები და ჩემი მშობლიური

სოფლის გლეხებიც. თბილისში მთავრობის მანქანით დავბრუნდი, რათა გამარჯვების ცნობა მეხარებინა. ქალაქის ქუჩები უკვე სავსე იყო მომლოდინე ქალებით, ბავშვებითა და მოხუცებით. „ვაშას“ ძახილითა და ტაშის კვრით მოგვაცილეს გენერალური შტაბის შენობამდე, სადაც ჟორდანიამ სასწრაფო სხდომა მოიწვია.

17. თბილისის დაცემა

თბილისის შემოსასვლელთან დამარცხების მიუხედავად სტალინს ბრძოლაზე ხელი არ აუღია. მან რუსეთიდან ჯარის ახალი ნაწილები გამოგზავნა. ბრძოლა საბოლოო გამარჯვების იმედით დავიწყეთ.

ჟორდანიამ ანდრონიკაშვილთან ერთად, რომელიც შემდეგ 1924 წლის აჯანყების მეთაური იყო, კახეთში გამგზავნა, სადაც უკვე რუსებს შეეღწიათ. მეგზურად გლეხები გამომყვნენ და მთის ბილიკებით მივაღწიეთ თელავს. აქ გენერალი ახმეტელი იყო დაბანაკებული.

ჩვენი ჯარი ახალ პოზიციებს იცავდა. ახმეტელი იმედოვნებდა, რომ უკანდახევა აღარ მოგვიწევდა.

25 თებერვლის საღამო იყო. ჩვენ სათათბიროდ შევიყარეთ. უცებ კარი გაიღო და სახეგაფითრებულმა ტელეფონისტმა ენის ბორძიკით გვაუწყა, რომ ახლახან თბილისს ელაპარაკა. ქალაქს სასწრაფოდ ცლიდნენ, ჩვენი ჯარები უკან იხევდნენ. თბილისი დაპყრობის რეალური საფრთხის წინაშე იყო. შემაძრწუნებელ ამბავს სიჩუმით შევხვდით. ეს სამშობლოს დაკარგვას ნიშნავდა. გვეგონა, რომ თავზე ცა დაგვემხო.

ახმეტელმა ხელის გაქნევით გააწყვეტინა საუბარი. გენერალს თელავის სასწრაფოდ დატოვება უნდოდა, რათა უკანდახეული ჯარის ნაწილებს შეერთებოდა და მათგან მოწყვეტილი არ აღმოჩენილიყო.

არასოდეს დამავიწყდება ჩვენი ჯარისკაცების გაფითრებული სახეები; დაუვიწყარია მწარე ცრემლები ქალებისა და ბავშვებისა, რომლებიც გაურკვეველ ბედისწერას უნდა მინდობოდნენ. ჯოხზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაყრდნობილი მოხუცი კაცი სასოწარკვეთილი მოგვძახოდა:

— „სად მიდიხართ? დარჩით და ჩვენთან ერთად ბოლო წუთამდე იბრძოლეთ“.

შემდეგ კი ხმამაღლა აქვითინდა.

უიმედო იყო ჩვენი გაქცევა. ცა ღრუბლებმა დაფარეს. მეორე დღეს წვიმა დაიწყო. მე სტალინზე ვფიქრობდი. მოღალატემ გაიმარჯვა. თავის სამშობლოს მან თავისუფლება და სული წაართვა. თუკი მის სულს რაიმე ადამიანური შერჩენოდა, ათასობით ადამიანის სიცოცხლე დაუმძიმებდა სინდისს.

მოგვიანებით გავიგე, რომ რუსების ბოლო შემოტევა თბილისზე კოჯრის მთიდან დაეწყოთ. ქალაქს კადეტთა კორპუსის ოფიცრები იცავდნენ. შეუდარებელი სიმამაცითა და მხნეობით შეებნენ რუსის ჯარს და იბრძოდნენ, ვიდრე სიკვდილი მათ რიგებს შეათხელებდა. სამშობლოსათვის ამ ბრძოლაში თითქმის ყველა ახალგაზრდა კადეტი დაეცა.

გმირულად იბრძოდა ეროვნული გვარდია. 1924 წელს დახვრიტეს გვარდიის მამაცი და ჭკვიანი მეთაური ჯუღელი, რომელსაც სათანადო სამხედრო განათლება არ ჰქონია.

ჩვენი უკანდახევა ორი დღე და ღამე გრძელდებოდა. მივადექით მდინარე არაგვს. ოფიცრებმა ხიდზე გადასვლა გადაწყვიტეს, თუმცა იცოდნენ, რომ იქ მტერს წააწყდებოდნენ და ბრძოლის გამართვას იქ აპირებდნენ. ინსტინქტურად ვგრძნობდი, რომ რუსებს პირდაპირ ხელში ვუვარდებოდით და ვცდილობდი მათ გადარწმუნებას.

ჯარის მეწინავე ნაწილები ფრთხილად გადადიოდნენ ხის ხიდზე. მეორე ნაპირზე კაზაკებმა ალყაში მოგვაქციეს. წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო.

გენერალმა ახმეტელმა რევოლვერი ამოიღო და შუბლთან მიიდო. ოფიცრები ხელებში ეცნენ. სულიერად გატეხილ გენერალს თავისმა ძმისშვილმა ასე მიმართა: „ბიძია სტეფანე, მოვალე ხართ თქვენი ჯარისკაცების ბედი გაიზიაროთ“. ცოცხალმკვდარი, სახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფითრებული გენერალი, თავისი შტაბის ოფიცრებთან ერთად, ბარბაცით გადავიდა ხიდზე და მტერს ჩაბარდა.

ბოლშევიკები ომში დამარცხებულ სამხედრო ტყვეებს არ ცნობდნენ. ახმეტელი და მისი ოფიცრები სულ მალე რუსეთში გაგზავნეს.

18. ჩემი ნარუმატებელი გაქცევა თბილისში

გულჩამკვდარი ვუყურებდი იარაღის გადაცემას. შევამჩნიე, რომ კაზაკებს მთელი ყურადღება იარაღის ჩამორთმევაზე გადაეტანათ, გადავწყვიტე ამ წუთის გამოყენება და ფიქრებში ჩაძირულ ანდრონიკაშვილს მივმართე: „ჩქარა, გავიქცეთ“...

მან უცებ ცხენი შემოაბრუნა და რამდენიმე მებრძოლთან ერთად მთებისკენ გავწიეთ. მთის ქვემოთ მინდორი იყო. შემდეგ კი ტყეს შევაფარეთ თავი.

კაზაკებმა მდინარის მეორე ნაპირიდან შეგვამჩნიეს და ცეცხლი დაგვიშინეს. მდევარი გვიან გამოგვიდგა, რადგან ხიდზე ჩვენი ჯარი იდგა და მასზე სწრაფად გადმოსვლა მტერმა ვერ შეძლო.

თავაწყვეტილი ჭენების შემდეგ ჩამოვქვეითდით და გამოქვაბულში შევძვერით. ღამის გათევა იქ გადავწყვიტეთ. ჩვენ ვიყავით ლტოლვილები საკუთარ ქვეყანაში.

გეგმა ასეთი გვქონდა: მეორე დილით, თუკი ცხენებს ვიპოვიდით, თბილისში ჩავსულიყავით, თუ არადა, იქნებ ფეხით მიგვეღწია იქამდე, თავს შევაფარებდით ჩვენს მეგობრებთან, რომლებიც ასე მრავლად გვყავდნენ მთელს ქვეყანაში.

გათენებამდე გამოქვაბულიდან გამოვძვერი, რათა ცხენები მენახა და წასასვლელად მომემზადებინა. ბნელოდა, მაგრამ ცხენები მაინც ვიპოვე, ხელი მოვუფათურე და აღმოვაჩინე, რომ ლაგამი და უნაგირი ყველას ახსნილი ჰქონდა.

„მოგვაგნეს, ვიღაცამ გაგვცა. სასწრაფოდ უნდა დავტოვოთ გამოქვაბული და მთებში გავიქცეთ“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოქვაბულიდან სწრაფად გამოვძვერით. ეკლიან ბუჩქებში ფრთხილად მივძვრებოდით. გზას ქვები გვილობავდა. ფეხის მოძრაობაზე ქვები ხმაურით მიგორავდნენ ქვემოთ. ხმაურს შეიძლება გავეყიდეთ და შეშინებულები ირგვლივ ვიყურებოდით.

დაღლილ-დაქანცულები ბუჩქებს ამოვეფარეთ და დასვენება გადავწყვიტეთ. უცებ ქვემოთ ჩირაღდნები შევნიშნეთ და სუნთქვა შევიკარით. ჩირაღდნების შუქზე ვხედავდით, თუ როგორ დაგვეძებდნენ ვილაც უცხოები და გამოქვაბულს ცეცხლს უშენდნენ. ერთ ხანს ღამის სიბნელეში მოთამაშე შუქს ვუყურებდით. შემდეგ მდევრები ჩვენი ცხენებით საპირისპირო მიმართულებით წავიდნენ, შვებით ამოვისუნთქეთ. ერთმანეთს კმაყოფილებმა გადავხედეთ.

მინდორში გზა გადაეკეტათ. თბილისამდე რომ ჩაგვეღწია, მთის წვერზე უნდა ავცოცებულიყავით. ციცაბო ფერდობებზე სამი დღე და ღამე მივარღვევდით თოვლს. მშობლიური მთების სილამაზეს, რომელიც ჩვენს მეხსიერებაში სულ სხვაგვარად შემონახულიყო, ახლა ველარც კი ვამჩნევდით. იქ, ქვემოთ, უცხოები ჩვენი დებისა და ძმების სისხლს ღვრიდნენ. შიმშილითა და უძილო ღამეებით ქანცგაწყვეტილებს ფეხები გვტკიოდა. ჩვენ წინ მივიწევდით.

იძულებულები ვიყავით მთიდან დავშვებულიყავით. მე სოფელ ჭოპორტაში გადასვლა შევთავაზე ჩემს მეგობრებს. იმედი მქონდა, რომ იქ მეგობრებს ვიპოვიდი. სოფელი დუშეთის რაიონს ეკუთვნოდა, სადაც კომისრად ვმუშაობდი. მეგობრების დახმარებით თბილისამდე ჩაღწევას ვაპირებდით.

სოფელში შესვლისთანავე შეიარაღებულმა ჩეკისტებმა დაგვიჭირეს და იარაღი ჩამოგვართვეს. წინააღმდეგობის გაწევა უაზრო იყო. გაოგნებულები ვიყავით. სოფელი ჩეკისტებისა და წითელი გვარდიელების ხელში იყო. ერთმანეთზე გადაბმულები დროებით ციხეში წაგვათრიეს. ეს იყო პატარა, ნახევრად დანგრეული ერთოთახიანი სახლი. ეზოში ჩვენი ცხენები დავინახეთ.

ოთახის ფანჯრიდან ახალგაზრდა კაცი შევნიშნეთ. თეატრალური ნაბიჯებით, ამაყი, თავდაჯერებული სახით ციხისკენ მოდიოდა. მაშინვე ვიცანი მისი თანმხლები — ჩემი ყოფილი უერთგულესი პოლიციელი. ჩეკისტებმა ორივეს სამხედრო სალამი მისცეს.

ახალგაზრდა კაცი ოთახში შემოვიდა და მაგიდას მიუჯდა. თავი ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარედ გაგვაცნო. ჩემი ყოფილი პოლიციელი მისი მდივანი გამხდარიყო. ნებაყოფლობით თუ იძულებით, ეს კი ვეღარ შევიტყვე. ახალგაზრდა კაცმა გაგვჩხრიკა, იარაღს ეძებდა. შემდეგ კი დამტვრეული, სასაცილოდ დამახინჯებული რუსულით დაგვკითხეს. დაკითხვა რამდენიმე საათს გაგრძელდა. ის მტრის მხარეზე გადასული ქართველი იყო. ალბათ ჩვენი რცხვენოდა და თავს რუსად იმიტომ ასაღებდა. მდივანი სამჯერ უფრო სწრაფად წერდა, ვინემ მისი უჭკუო უფროსი ლაპარაკობდა.

ჯერ ანდრონიკაშვილს ჩამოართვა რევოლვერი. შემდეგ გულისჯიბიდან სქელი საფულე ამოაცალა. თვალები ხარბად უბრწყინავდა, ბევრი ფული რომ დაინახა, თვალები უფრო გაუდიდდა. ფული მაგიდაზე ფრთხილად დადო და ყურადღებით დაიწყო დათვლა: „ათასი, ათას ხუთასი; ორი ათასი და ა.შ." ზურგს უკან ჩეკისტები იდგნენ, ფულს შურიანი თვალებით უყურებდნენ და მასთან ერთად ხმამაღლა ითვლიდნენ. ჩეკისტებს შორის ორი ნაცნობი სახე შევნიშნე. მზერა ერთმანეთზე შევაჩერეთ. ალბათ, მათაც მიცნეს. უცებ გამახსენდა — ერთი ყაჩაღი იყო, მეორე კი მკვლელი. ჩემი ბრძანებით ისინი დაიჭირეს, როდესაც მე დუშეთის კომისრად ვმუშაობდი.

„თუ სასწაულმა არ გვიშველა, დაღუპულები ვართ" — გავიფიქრე.

ერთ-ერთი ჩეკისტი მომიახლოვდა და ჯიბის გაჩხრეკა დამიპირა. საფულე რომ შეამჩნია, სახე გაუბრწყინდა და ამოცლა დამიპირა. მაშინ მე ხელი ვკარი და ყაჩაღური საქციელი ავუ-

კრძალე. თავმჯდომარე წამოხტა და ფულის ძალით წართმევა უბრძანა. ჩეკისტებმა კედელთან მიმაყენეს და ჯიბე ამაგლიჯეს. ათმა მანეთმა ალბათ იმედები გაუცრუათ. ნაძარცვით უკმაყოფილომ საფულე სახეში მესროლა.

საფულე ჯიბეში აუღელვებლად ჩავიდე. დაკითხვაში მესამე ჩეკისტი ჩაერია:

„ამხანაგო სოსო ირემაშვილო! ჩვენ კარგად გიცნობთ. შენ დუშეთის ყოფილი კომისარი ხარ. ახლა სხვა დროა, ჩვენი დრო მოვიდა. გადმოდი ჩვენს მხარეზე, თავი დაანებე ჟორდანიას და ჩვენთან ერთად ლენინისა და სტალინისათვის იბრძოლე“.

„ცდებით, თუკი ფიქრობთ, რომ თქვენი დრო დადგა. ბრძოლა გრძელდება. დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენმა ჯარმა თბილისი სტრატეგიული მოსაზრებით დატოვა. აბა, ქვეყნის სიღრმეში შედით, სადაც მთები გვიცავენ. გენერალი მაზნიაშვილი და ჯუღელი ისეთ დამარცხებას გაგემებენ, როგორც 18 თებერვლის თბილისის ბრძოლისას.

ჩვენ გადავარჩენთ საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. თქვენ ყველაფერ იმისათვის ინანებთ, რაც ჩაგიდენიათ.

ჟორდანია ჩვენთან ერთად იბრძვის თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და ძმობისათვის. თქვენ კი ლენინთან, ტროცკისა და სტალინთან ერთან, ტერორს, მკვლელობასა და ჩაგვრას ემსახურებით“.

„ძაღლიშვილო, შენ არ დამაპატიმრე და წლობით ციხეში გამომამწყვდიე“, — გამაწყვეტინა უცებ ნაცნობმა ნაყაჩაღარმა ჩეკისტმა ლაპარაკი და იარაღი ცხვირის წინ დამიტრიალა.

ქუდი მოვისროლე, კედელთან დავიჩოქე და გულზე ხელებგადაჯვარედინებულმა დავიყვირე:

„მესროლე, მესროლე-მეთქი, ციხეში რომ ჩაგამწყვდიე, სწორად მოვიქეცი, იქიდან არასოდეს არ უნდა გამოსულიყავი“.

„მეც შენ დამიჭირე, შე ძაღლიშვილო. ახლა კი გიჩვენებ სეირს!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღელვებისაგან თავს ველარ ვიკავებდი. ჩემი ყვირილი მთელ სოფელს ესმოდა.

„ვინც საბოლოოდ გაიმარჯვებს, ძალაც იმისი იქნება. გეშინოდეთ, მე ისევ დუშეთის კომისარი ვიქნები“.

„სიჩუმე“ — დაიღრიალა ღლაპმა კომისარმა.

გარეთ, ფანჯრებთან ცნობისმოყვარე გლეხებმა მოიყარეს თავი და ინტერესით ადევნებდნენ თვალს, რა ხდებოდა ოთახში. მერე ოთახშიც შემოვიდნენ. გლეხებმა მხარი დაგვიჭირეს.

ამხანაგებო! მშვიდად თქვა თავმჯდომარემ. — ჩვენ დუშეთის ინსტრუქციის თანახმად ვმოქმედებთ. ამ საქმეზე კომიტეტს მოველაპარაკებით და ჩვენს გადაწყვეტილებას გაცნობებთ“.

„ვასო!“ — მიმართა მაღალ გამხდარ გლეხს, — „ოთხივე წაიყვანე და საჭმელ-სასმელი მიეცი“.

შუაღამეს თავმჯდომარე ჩვენთან ჩუმად მოვიდა და სუფთა ქართულით ბოდიში მოგვიხადა. ფულის ნახევარი დაგვიბრუნა და სანდო ჩეკისტთან ერთად თბილისში გაგვაპარა.

ჩვენი თანმხლები ჩეკისტი ჩემი ყოფილი მილიციელი იყო. მოგვიყვა, რომ იმ ყაჩაღისა და მკვლელის დაჟინებული მოთხოვნით, ჩვენი დახვრეტა ჰქონდათ გადაწყვეტილი. თავმჯდომარემ კი თავისი გაიტანა და ჩვენი დუშეთში გაგზავნა და იქ დახვრეტა გადაწყვიტეს. დუშეთის მაგივრად თბილისში გაგვაპარეს.

თბილისი ბოლშევიკების ხელში იყო. მთავრობა პარიზში გაემგზავრა, მაგრამ არა შიშის გამო, არამედ საიმისოდ, რომ ქვეყნიერებისათვის ეცნობებინათ, თუ როგორ აჩანაგებდა მათ კულტურულ ქვეყანას ბოლშევიკების ორგანიზებული თავდასხმა. მათ ქვეყნიერებისათვის სტალინის დანაშაული უნდა ემცნოთ.

29 თებერვალს მიხეილის საავადმყოფოს ეზო სამშობლოსათვის მებრძოლთა გვამებით აივსო. საავადმყოფოს ოთახები ველარ იტევდა დახოცილებს. ეზოს გარშემო მწუხარებისაგან თავზარდაცემული ბავშვები და ქალები იდგნენ, სულიერად გატეხილი ჭირისუფლები ფეხზე ველარ იდგნენ და გული მისდიოდათ. ზოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიცვალებულის გვამზე დამხობილიყო, თითქოს მოთქმა-გოდებით მკვდრის გაცოცხლებას ცდილობენო.

შემზარავი იყო, სამშობლოს მოღალატე სისხლიანი სტალინის დანაშაული.

1921 წლის 8 მარტს თბილისის ბრძოლაში დახოცილთა გვამები სასაფლაოზე წაასვენეს. ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის ეს დღე ისტორიულ დღედ იქცა. ქალაქი გულის გამგმირავ მწუხარებას მოეცვა. ქუჩებში სამარისებური სიჩუმე იდგა. უსასრულო იყო სამგლოვიარო პროცესია. უსასრულო იყო შავებში ჩაცმული ქალებისა და კაცების რიცხვი.

თბილისის სასახლის გვერდით, დიდ ოთხკუთხა მოედანზე, საძმო საფლავი გათხარეს. საფლავის გვერდზე. ქვიშის პატარა გორაკზე ვიდექი და ვხედავდი, თუ როგორ უახლოვდებოდნენ სამარეს სხვადასხვა მხრიდან მწუხარებით დამძიმებული ადამიანები. ისინი ქუჩებში მდუმარედ გაჩერდნენ, როდესაც კუბოებზე გამოსათხოვრად საქართველოს ეროვნული და სამგლოვიარო დროშები დახარეს.

კუბოები სამარეში ჩაუშვეს, ხალხი მუხლებზე დაემხო, ყველა მხურვალედ ლოცულობდა და პირჯვარს იწერდა. ყველა ტიროდა... შემდეგ კი ყველამ საქართველოს ეროვნული ჰიმნის სიმღერა დაიწყო.

ჩემ გვერდით სტალინის დედა იდგა. ისიც მიცვალებულებს დასტიროდა. როდესაც სამარე მიწით ამოავსეს, მისკენ მივტრიალდი და ვუთხარი:

„კეკე, ეს შენი შვილის დანაშაულია. მისწერე მოსკოვში, ის აღარ არის ჩემი მეგობარი! ის ქართველი ხალხის მტერი და მკვლელია“.

19. ჩემი დაპატიმრება

ბოლშევიკებს, უფრო სწორად სტალინისტებს, არ დააკმაყოფილებდათ ის მსხვერპლი, რომელთა სიცოცხლეც ქვეყანაზე ყაჩაღური თავდასხმით შეიწირეს. მათი ლოზუნგი იყო: ვინც გზაზე გადაგვეღობება, სიცოცხლის ფასად დაუჯდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში ბოლშევიკური იდეების მშვიდობიანი გაბატარება ბევრად უფრო ძნელი იყო, ვიდრე რუსეთში. ასე რომ, საქართველოში, დაპყრობის შემდეგ, სისხლიან ტერორს მიმართეს. მის საზღვრებს მილმა დაგროვილმა გამოცდილებამ ბოლშევიკებს ასწავლა, რომ შიშსა და ძრწოლას მიზანთან უფრო ახლოს მიჰყავდათ, ვიდრე ხალხის სიმპათიას.

ყველას, ვინც ბოლშევიკებთან ბრძოლას გადაურჩა, იქნებოდა სოციალ-დემოკრატი, ქვეყნის მმართველი, სასულიერო პირი, თუ ოფიცერი, დევნიდნენ, სიკვდილით სჯიდნენ, ანდა რაიმე გამოგონილი, შეურაცხმყოფელი კანონის სახელით ხვრეტდნენ. სტალინისტებმა დაინახეს, რომ ერთგული თანამიმდევრების გაჩენა არცთუ ისე იოლი იყო.

ქართველი სტალინისტები მიცნობდნენ, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთგულ წევრს და **პარლამენტის დეპუტატს,** ამიტომ ჩემში განსაკუთრებულად საშიშ მტერს ხედავდნენ და თავიდან ჩემს მოცილებაზე ფიქრობდნენ. ჩემი პარტიული მოღვაწეობის მიუხედავად. 1921 წლის 20 მაისამდე ჩეკამ ჩემი ხელში ჩაგდება ვერ შეძლო. ამ დღეს კი თბილისის მეექვსე საარჩევნო ოლქის პრეზიდიუმის წევრებთან ერთად დამაპატიმრეს.

დაპატიმრების დღეს საიდუმლო სხდომა გვქონდა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ვემზადებოდით. როგორც მოგახსენეთ, ჩეკისტებმა დაგვაპატიმრეს და ჩეკას დროებითი ციხის ბნელ ნესტიან სარდაფში ჩაგვამწყვდიეს. ციხის გულისგამაწვრილებელი გრძელი დღეები და ღამეები განაჩენის მოლოდინში გადიოდა. პატიმრებს იქვე, სარდაფის გარეთა კედლებთან, ხვრეტდნენ. განაჩენის აღსრულების ამგვარი ფორმა სისტემატურ მოვლენად იქცა საქართველოს დაპყრობის შემდეგ. გასაკვირი არ იქნება, თუ გამოვტყდები და ვიტყვი, რომ ამგვარი განაჩენის მოლოდინში მეც სულიერი ტანჯვის მრავალი გრძელი კვირისთვის გამიძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარებში ჩეკისტის გამოჩენა რომელიმე პატიმრის წაყვანას ნიშნავდა, კარების მიხურვა კი — რომელიმე სიცოცხლის დასასრულს. სიკვდილის მოლოდინის ცივი ოფლი დაგვასხამდა ხოლმე, კარის სახელურზე ხელის შეხების ხმას რომ გავიგონებდით.

ჩეკისტები შუა საუკუნეების ჯალათებისათვის დამახასიათებელი ბარბაროსული სისასტიკით გვეპყრობოდნენ.

ერთი თვის შემდეგ რამდენიმე პატიმართან ერთად მეტეხის ციხეში გადამიყვანეს.

ცარიზმის დროს საშინელებათა ადგილად ცნობილ მეტეხის ციხეს ამ სახელს არ შეარქმევდნენ, რომ სცოდნოდათ, თუ როგორ დაწინაურდებოდა ბარბაროსული დაუნდობლობითა და ადამიანის აბუჩად აგდებით მომდევნო ბოლშევიკური სისტემა.

ციხე სავსე იყო „პოლიტიკური დამნაშავეებით", რომელთა „დანაშაულიც" სამშობლოს გათავისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობა ანდა მეფის სამსახურში ყოფნა იყო. ბოლშევიკების რევოლუციური ტრიბუნალი, რომლის მოსამართლესაც კანონმდებლობის არანაირი ცოდნა არ გააჩნდა, იმ მიზეზის გამო, რომ უბრალოდ არანაირი კანონმდებლობა არ არსებობდა, თვითნებურად იჭერდა და ათავისუფლებდა ადამიანებს, დაუყოვნებლივ აგზავნიდა ციმბირში, ანდა საიქიოში ისტუმრებდა.

სულ მალე ჩეკისტებს „სიკვდილის კომისრებად" იხსენიებდნენ.

ციხის უკან მინდორზე საერთო სასაფლაო იყო გათხრილი. მსხვერპლი, შიშველი და ხელებშეკრული, პირით საფლავისკენ უნდა დაჩოქილიყო. ჩვენც ვიცოდით, რომ დღეს თუ ხვალ იგივე ბედს გავიზიარებდით და სიკვდილის შიშის მოლოდინში ციხის ფანჯრიდან ყველაფერი გვესმოდა. შიში და მრისხანება სულს გვიმღვრევდა და ნერვებს გვიფორიაქებდა. ამ ბარბაროსობის შემყურეს, ზოგს გონება უბნელდებოდა და ღრიალს იწყებდა, რათა ტანჯვის დრო შეემოკლებინა, ანდა სტალინისა და მისი ჯალათებისადმი ზიზღი გადმოენთხია.

ამ ექსპედიციას საქართველოში სტალინი ხელმძღვანელობდა.

1921 წლის ივნისის შუა რიცხვებში მოსკოვიდან თბილისში, რეგორც გამარჯვებული, ისე ჩამოვიდა „საკუთარი ხალხის" ბელადსა და მისი აღფრთოვანებით გარემოცულს, რასაკვირველია, არაფრის შემჩნევა არ შეეძლო. სტალინის გამარჯვებით ტკბობას არ ამღვრევდა მსხსვერპლთა ენით აუწერელი ტანჯვა.

მოგვიანებით შევიტყვე, რომ ჩემი და, ანეტა, თბილისის სასახლეში სტალინთან მისულა და ჩემი გათავისუფლება უთხოვია.

სტალინი მას მოჩვენებითი კეთილგანწყობით შეჰგებებია, თუმცა ჩემმა დამ იგრძნო მისი დამალული, შეკავებული ბოროტება.

მან თქვა: „მეცოდება სოსო! გული მტკივა და მაღელვებს მისი ბედი. ჩვენ ერთნაირი იდეები გვაქვს, მაგრამ ის მაინც ბარიკადის საწინააღმდეგო მხარეზე დგას. მას ჩემი ბარიკადისთვის უნდა ებრძოლა. მოვიფიქრებ, იმედია, სოსო ჩემკენ შემობრუნდება". მეორე დღეს, რამდენიმე პატიმართან ერთად, სტალინის უშუალო ბრძანებით გაგვათავისუფლეს. მოულოდნელ გათავისუფლებას დიდად არ გავუხარებივარ; ის აზრი არა მტოვებდა, რომ სიცოცხლე სტალინის შეწყალებით დამიბრუნეს. ვერ შევიტყვე ვერც დაპატიმრებისა და ვერც გათავისუფლების მიზეზი. ერთი რამ კი ცხადი იყო, რომ სტალინი სამაგიეროდ ჩემი პოზიციების დათმობას და მის მხარეზე გადასვლას მომთხოვდა.

გათავისუფლებიდან სულ მალე ჩვენმა საერთო გორელმა მეგობარმა მომძებნა და სტალინის მიწვევა გადმომცა.

ჩვენი საუბარი ხანმოკლე იყო, პასუხი კი კონკრეტული: „გადაეცი სოსოს, რომ მე ხელს არ ჩამოვართმევ ჩვენი სამშობლოს მოღალატეს, რომლის სინდისიც უთვალავი ერთგული, თავგანწირული პატრიოტის სისხლითაა დამძიმებული".

20. სტალინი თანამოაზრეებს იკრებს

ქართველმა ბოლშევიკებმა ტრიუმფატორ სტალინს თბილისში, ნაძალადევის თეატრში, საზეიმო შეხვედრა გაუმართეს. სტალინი სცენაზე ჩეკისტებით გარშემორტყმული გამოჩნდა. თეატრის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რბაზი გადაჭედილი იყო. სტალინის სცენაზე გამოჩენამ უჩვეულო მღელვარება გამოიწვია. „მოღალატევ“, „მკვლელო“, — ისმოდა ხალხის შეძახილები. სტალინმა ლაპარაკი დააპირა. ხმაური მუქარაში გადაიზარდა და ხალხი მაშინღა დამშვიდდა, როცა სცენაზე სოციალისტი და სათათბიროს ყოფილი დეპუტატი რამიშვილი სპონტანურად ადგილიდან წამოიჭრა და სტალინს მის მიერ ჩადენილი დანაშაულები ბრალდებად წაუყენა. ხალხს ოვაციის ტალღამ გადაუარა და აღფრთოვანებულები რამიშვილს ტაშს უკრავდნენ. მრავალრიცხოვანმა ძლიერმა ხელმა მამაცი რამიშვილი ჰაერში აიტაცა, სცენისაკენ გაიტაცა და მრისხანებისა და გაოგნებისაგან ფერდაკარგული სტალინის პირდაპირ დასვა.

რამიშვილს სტალინისკენ არც კი გაუხედავს, ჩეკისტების წინ იდგა და ბოლშევიკების დანაშაულებრივ საქმიანობაზე, სტალინის მოღალატურ პოლიტიკასა და ადამიანის ღირსებათა შეურაცხმყოფელ „პროლეტარიატის დიქტატურაზე“ მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა. სტალინი რამიშვილის ზურგს უკან იდგა, ხმას არ იღებდა და მღელვარებისგან კანკალებდა. სახეზე ეტყობოდა, რომ ახალ სისხლიან შურისძიებას ამზადებდა.

რამიშვილის შემდეგ სცენაზე მუშათა ლიდერი დგებუაძე ავიდა და სტალინის დანაშაულებათა მხილება განაგრძო. ხალხი მასაც მხურვალე ოვაციებით შეხვდა.

სტალინი იძულებული იყო საათობით ჩუმად მდგარიყო და თავისი მოწინააღმდეგეებისთვის ესმინა. მას არც მანამდე და არც ამის შემდეგ უნახავს მის წინააღმდეგ მიმართული ასეთი საჯარო და თამამი გამოსვლა.

სტალინს ამ კრებაზე თავის დანაშაულებათა გამო მომაკვდინებელი მორალური სასჯელი მიეზღო და საბოლოოდ შეიგნო, რომ თავის დიქტატურას საქართველოში ძალისმიერი მეთოდებით თუ განამტკიდებდა.

სტალინის თანმხლები ჩეკისტები კიდევ ერთხელ შეეცადნენ, მისთვის სიტყვის თქმის საშუალება მიეცათ, მაგრამ ამ დროს

ხალხი ადგილებიდან წამოდგა და „ინტერნაციონალისა“ და საქართ-
რთველოს თავისუფლების ჰიმნის მღერა დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე ღამეს ქალაქის ბნელ ქუჩებში ჩეკისტები დაძრწოდნენ და ასზე მეტი ცნობილი სოციალ-დემოკრატი დააპატიმრეს და მეტეხის საპყრობილეში ჩასვეს. პირველ რიგში დაიჭირეს: რამიშვილი, დგებუაძე, ჯიბლაძე. მოგვიანებით რამიშვილი რუსეთში გაასახლეს. ხანშიშესული რამიშვილი დღესაც იქ ცხოვრობს.

სტალინი იმედოვნებდა, რომ მის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას დაიმორჩილებდა, რადგან ამიერიდან თითქმის ყველა სოციალ-დემოკრატი საპყრობილეში იყო გამოკეტილი. მან კიდევ ერთხელ მოიწვია კრება, ამჯერად კი ჩემს საარჩევნო ოლქში. მან აქაც იგივე სიძულვილი ნახა, როგორც წინა დღეს. თბილისში ორი დღის ყოფნის შემდეგ სტალინმა დატოვა საქართველო და მოსკოვს გაემგზავრა.

21. ჩემი ხელმეორედ დაპატიმრება.

ღრმად მოხუცებული ჯიბლაძე, საქართველოში სოციალისტური მოძრაობის დამაარსებელი და ორგანიზატორი, ციხეში მძიმედ დაავადდა. თავისი ქვეყნის ბედისწერამ, ბოლშევიკების მიერ თავსმოხვეულმა რეჟიმმა, პატრიოტების დაჭერამ, თავისუფლებისათვის მებრძოლთა მასობრივმა დაპატიმრებებმა და სიკვდილით დასჯამ მისი მხნეობა გატეხა. გათავისუფლებამდე ცოტა ხნით ადრე იგი გულის შეტევით ციხეში გარდაიცვალა.

ქართველი ხალხის უსაყვარლესი წინამძღოლის სიკვდილი ელვის სისწრაფით მოედო მთელს საქართველოს. ხალხი გლოვობდა. თითქოს მასთან ერთად საქართველოს გათავისუფლების იმედსაც ვასამარებდით. ხალხმა დაკარგა თავისუფლებისათვის მებრძოლი საუკეთესო შვილი.

ბოლშევიკურმა პოლიციამ აკრძალა გლოვა და დასაფლავებაში მონაწილეობის მიღება. მიუხედავად ამისა, მიცვალებულის ბინაზე მისმა ასობით თანამოაზრემ მოიყარა თავი, რათა უკანასკნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატივი მიეგოთ მისთვის, ხოლო ჭირისუფლებისთვის კი გულწრფელი სამძიმარი ეთქვათ.

ჩემი მოვალეობა მეც ავასრულე და დასაფლავებაზე მივედი, რათა მიცვალებულისადმი მადლიერება გამომეხატა. როგორც კი სახლიდან გამოვედი, მაშინვე შემიპყრეს და ჩეკას ბინძურ საკანში ჩამაგდეს, იქიდან კი ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობი მეტეხის გზას გამიყენეს.

მეგონა, რომ ეს ჩემი ცხოვრების უკანასკნელი გზა იყო. იმედი, რომ ამ „წითელი ჭიშკრიდან" ცხოვრებას მეორედ დავუბრუნდებოდი, თითქოს არ არსებობდა. ჩეკას დაუწერელი კანონით მე სიკვდილს ვიმსახურებდი.

მეტეხი ისევ გადატენილი იყო. ყოველდღე მოჰყავდათ ახალ-ახალი პატიმრები. სოციალ-დემოკრატიული პარტიის თითქმის ყველა ცნობილი წევრი დაიჭირეს, რადგანაც ჩემსავით ჯიბლაძე მათაც უკანასკნელ გზაზე გააცილეს. ყვებოდნენ, თუ რა ბარბაროსულად ექცეოდნენ ჩეკისტები და წითელგვარდიელები პროცესიის მონაწილეთ, თუ როგორ ერეკებოდნენ მათ მათრახებითა და კონდახით. ჩეკისტებმა ღამით მიცვალებული საფლავიდან ამოთხარეს და სადღაც გადამალეს. ხალხმა სამუდამოდ დაკარგა მისი საფლავი.

ასე გადაუხადა სტალინმა მადლობა თავის პოლიტიკურ აღმზრდელს.

1921 წელი ისე მიიწურა, რომ ჩემი და ჩემისთანების სასამართლო პროცესი არ შემდგარა და ვერც თავისუფლებას მივაღწიეთ. 1922 წელიც ისევე უნუგეშოდ დაიწყო, როგორც წინა წელი მიიწურა. თუკი რამ გვშველოდა და ტანჯვას გვიმსუბუქებდა, ეს ჩვენი ერთსულოვნება იყო.

ჩვენი აზრები სამშობლოს გათავისუფლებისა და მისი მეორედ დაბადების იდეით იყო გასულიერებული. პარტიათა შორის განსხვავება აღარ არსებობდა. მუშა ყოფილი თავადის მეგობარი, დამხმარე იყო, ქართველი ოფიცერი სნეული გლეხის მომვლელი, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასულიერო პირი კი ყველას ნუგეშისმცემელი. ჩვენ ყველანი ერთად სუფლებისთვის მებრძოლი ტანჯული ხალხის ნაწილი ვიყავით.

22. ანტიბოლშევიკური მოძრაობა

სტალინელებს საქართველოს გასაბჭოება მძიმე ტვირთად დააწვათ. ქართველი კაცი რუსივით შიშის გამო გაუაზრებლად ბედისწერას არ დამორჩილებია. დაუნდობელმა, სისხლიანმა ტერორმა ქართველ ადამიანში ბრძოლის ჟინი ვერ ჩაკლა, თითქმის ყველა ქალაქსა და სოფელში პატარ-პატარა ომები იყო გაჩაღებული ბოლშევიკთა წინააღმდეგ. აწყობდნენ საბოტაჟებს და ბოიკოტს უცხადებდნენ საბჭოების დაარსებას. არ ცნობდნენ ახალ ხელისუფლებას. ჰეროიკული შემართებით ახალ-ახალ აჯანყებებს აწყობდნენ მათ წინააღმდეგ.

გარეთ მომხდარი ამბები ჩვენს ყურამდეც აღწევდა საქართველოს ყოველი კუთხიდან. ციხეში ყოველდღე ახალ-ახალი პატიმრები მოჰყავდათ. ისინი გვიყვებოდნენ სისხლიანი შეტაკებისა და იმ პატრიოტთა გმირული ბრძოლების შესახებ, რომლებიც მონობაში ყოფნას სიკვდილს ამჯობინებდნენ. ყველგან პარტიზანული ბრძოლები იყო გაჩაღებული, რაც ჩეკისტებს უამრავ თავსატეხს უჩენდა. ქართველი პატრიოტები განსაკუთრებული შეუდრეკლობით იბრძოდნენ დუშეთში, სვანეთში, კახეთში, კავკასიონის მთებში და სტალინისტებს დიდი ზარალიც მიაყენეს.

ჩეკისტებმა მთელი ქვეყნის საპყრობილეები აავსეს. არ ენაღვლებოდათ ის, რომ ციხეები გადავსებული იყო. პატიმრის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა ან ელემენტარული ჰიგიენის დაცვა ციხის საბჭოთა ხელმძღვანელობას აზრადაც არ მოსდიოდა. წესრიგის დამყარებას მარტივი, მაგრამ უკვე ნაცადი მეთოდებით ცდილობდნენ. ყოველდღე კედელთან პოლიტიკური პატიმრების მთელ რიგს აყენებდნენ.

გარედან მოსული ცნობები გვამხნევებდა და თავისუფლების იმედს გვიბრუნებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახსენდება 1922 წლის 26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებ-ბლობის დღე. სისხამ დილით 5 ათასზე მეტმა პატიმარმა ციხის ეზოში მოვიყარეთ თავი. თითოეულ ჩვენგანს მკერდზე საქართველოს დროშა ეკეთა. ჩვენმა თანამებრძოლებმა ეს სამკერდე ნიშნები ციხეში არალეგალურად შემოაპარეს.

გაოცებულ ჩეკისტებს, რომლებიც ეზოს გალავანთან იდგნენ, მარშით ჩავუარეთ. ვილაცამ ხალხური სიმღერა წამოიწყო. მოხუცი რამიშვილი თავისი თანამებრძოლის მხრებზე იდგა და ამ დღის მნიშვნელობაზე ლაპარაკობდა. იგი ციხეში იმ ღირსახსოვარი კრების შემდეგ ჩასვეს, როცა მან სტალინის სისხლიანი სახე ამხილა. იგი ლაპარაკობდა ქრისტესა და ფარისევლებზე, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომაზე, რომელმაც ახალი სასუფეველი დაამკვიდრა.

რამიშვილმა ჩვენი ბედისწერა პრომეთეს შეადარა. პრომეთეც გაწყვეტს იმ ჯაჭვს, რომლითაც იგი კავკასიის მთებზეა მიჯაჭვული.

სიკვდილის კომისრად წოდებული შულმანი, რომელიც ციხეს ზემოდან დარაჯობდა, რევოლვერით დაემუქრა რამიშვილს და მოითხოვა, სასწრაფოდ შეეწყვიტა გამოსვლა, თუმცა მუქარის ასრულებას ამდენი ხალხის თანდასწრებით მაინც ერიდებოდა. რამიშვილი არც კომისრის იმ ახალმა ბრძანებამ შეაკრთო, რომლის მიხედვითაც ჩეკისტებს ცეცხლი უნდა გაეხსნათ. ეს მუქარა პატიმრების აღფრთოვანებულმა შეძახილებმა შთანთქა.

რამიშვილმა სიტყვა ბოლომდე წარმოთქვა. ხუთი ათასზე მეტი პატიმრის შეძახილი გაისმა. სახეგაბრწყინებული, ანთებული სახეებით ვმღეროდით. ინტერნაციონალსა და საქართველოს ეროვნულ ჰიმნს მე ვდირიჟორობდი. შულმანი მომვარდა და დატენილი რევოლვერი პირში დამიმიზნა. სიკვდილის კომისარს თვალებში ჩავხედე და სიმღერა განვაგრძე. შულმანმა რევოლვერი ბუდეში ჩაიდო. ჩვენმა საბრძოლო სულისკვეთებამ და იმისმა შეგრძნებამ, რომ სამშობლოსათვის ვკვდებოდით, კიდევ ერთხელ გაგვამარჯვებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისსა და მთელ ქვეყანაში ქართველები ამ წმინდა დღეს აღსანიშნავად ემზადებოდნენ. ყველგან გამოჰკიდეს სოციალ-დემოკრატებისა და ეროვნული დროშები, ყველგან მოხდა შეტაკებები ჩეკისტებთან და წითელგვარდიელებთან და ეს მერამდენედ დაიღვარა მამულიშვილთა სისხლი.

დასავლეთ საქართველოში, გურიაში, ჩეკისტებმა ზეიმის მონაწილეებს ყუმბარები დაუშინეს. ამ დღეს დაიხოცნენ ბავშვებიც და ქალებიც. მეტეხში დაპატიმრებულთა ახალი ტალღა მოიყვანეს.

23. სტალინს ახალი წინააღმდეგობები ელობება

1922 წლის 26 მაისს ჩვენი ჯანყი ბოლშევიკებს, რასაკვირველია, უპასუხოდ არ დაუტოვებიათ. მეორე მსგავსი ამბოხების აღსაკვეთად მათ მთელი რიგი ზომები მიიღეს და თავიანთი ძალაც დაგვანახეს. ამ დღიდან ციხეს ყარაულობდა რუსის წითელი არმია; ჯარისკაცებს თოფები ყოველთვის საკნის ფანჯრისკენ ჰქონდათ მომართული, ციხის შესასვლელებში კი ზარბაზნები იდგა.

რამიშვილი, ლორთქიფანიძე და სხვა რამდენიმე წამყვანი სოციალ-დემოკრატი ჩეკამ მძევლებად წაიყვანა ციხიდან და ჩეკას ბნელ სარდაფში ჩაამწყვდია. მათი სიცოცხლის სანაცვლოდ ციხეში სიმშვიდეს მოითხოვდნენ. საყოველთაო შიმშილობის გამოცხადების შემდეგ ისინი მალე ციხეში დააბრუნეს. ასე მოვიპოვეთ ციხის ადმინისტრაციაზე კიდევ ერთი გამარჯვება.

რამდენიმე თვის განმავლობაში ციხეში სრული სიმშვიდე სუფევდა. ხარბად ვადევნებდით თვალყურს გარეთა მოვლენებს, რომლის შესახებაც ახლად დაპატიმრებულები გვიყვებოდნენ. ცნობები სტალინსა და ქართველ მოქალაქეებს შორის გამუდმებულ ბრძოლებზე იმედითა და სიამაყით გვავსებდა. თუკი საქართველო თავისუფლებას მოიპოვებდა და მონობის უღელს გადაიგდებდა, მაშინ ჩვენც მივიღებდით ნანატრ თავისუფლებას. მსხვერპლი რომ დიდი იქნებოდა, ეს კარგად ვიცოდით. ჩვენ კი შური უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვეძია თანამებრძოლთა სიცოცხლისათვის და წინამძღოლობა ხელში აგველო.

სტალინს ბრძოლა ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოგებული. წინააღმდეგობა ქართველი ხალხისა, რომელმაც თავისუფლება და სამართლიანობა ერთხელაც უკვე იგემა, თანდათანობით იზრდებოდა. სტალინისტები ყველგან პატარ-პატარა ომებს წამოიწყებდნენ ხოლმე.

ქართველი ბოლშევიკების მიზანი თავდაპირველად დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის შექმნა იყო, რომელსაც რუსეთთან ბოლშევიკური მსოფლმხედველობის გარდა საერთო არაფერი ექნებოდა. ისინი უპირველეს ყოვლისა ქართველები იყვნენ და სამშობლოს დამოუკიდებლობა მათი ყველაზე სანუკვარი მიზანი იყო. ისინი მოსკოვიდან შორს მმართველობის ბოლშევიკური, საბჭოური სისტემის შექმნას ესწრაფვოდნენ. საკუთარი ქართული ფულიც კი ჰქონდათ უკვე საბჭოთა კომისართან შეთანხმებით მოჭრილი.

სტალინი საქართველოს დამოუკიდებლობაზე არ ფიქრობდა. მისი სისხლიანი ოცნებების იდეალი მსოფლიოს ბოლშევიკური იმპერიის ხილვა იყო. „ურჩებს" მკაცრად სჯიდა, თანამდებობებიდან ათავისუფლებდა ან სამშობლოდან რუსეთში აძევებდა, რათა მათ სამშობლოსათვის მებრძოლ პატრიოტებზე რაიმე გავლენა არ მოეხდინათ. წინააღმდეგობის გაწევას ვერავინ ბედავდა, რადგან იცოდნენ, რომ ეს ნებისმიერ მათგანს სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა.

ქართული ფული ისევ რუსულით შეიცვალა. საქართველოზე ბატონობა სტალინმა თავის ყურმოჭრილ მონა რუსებს გადაულოცა, რომლებმაც მისგან დაუნდობელი ტერორისტული მეთოდები შეითვისეს და შეისისხლხორცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. სტალინს გერმანიაში ჩვენი გაძევება სურს

პატიმრობის პირველ თვეებში ყოველდღე სიკვდილით დასჯის მოლოდინში ვიყავით. არანაირი დანაშაული არ მიგვიძღოდა, მაგრამ ბოლშევიკური საბჭოეთის სისტემა სხვაგვარად მოაზროვნეთა სრულ და საბოლოო განადგურებას გულისხმობდა. ასეთივე პრინციპებით მოქმედებდნენ სტალინისტები საქართველოში შემოჭრის დღიდანვე.

სიკვდილის დასჯის ამაო მოლოდინში იმ აზრსაც შევეგუეთ, რომ შეიძლებოდა წლობით, ანდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, დემოკრატების საბოლოო გამარჯვებამდე, ციხეში ვყოფილიყავით გამომწყვდეული. გადარჩენის შანსი ძალზე მცირე იყო და იმედილა თუ გვასულდგმულებდა. სხეულებრივად და სულიერად გატეხილთ სიკვდილის განაჩენის შიში აღარ გვქონდა. ვიცოდით, რომ ბოლშევიკებს ქართველების საყოველთაო მღელვარების შიში ჰქონდათ. ქვეშევრდომად და ხელქვეითად ქართველი ადამიანის გადაქცევა არცთუ ისე ადვილი იყო. რუსეთის არმიასაც აღარ შეეძლო ასე თვითნებურად მოქმედება, ვინაიდან იძულებულები იყვნენ ანგარიში გაეწიათ მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის, რომელიც მას უკვე მტრულად დაუპირისპირდა.

ამ რწმენას ციხის ზედამხედველებიც გვიძლიერებდნენ, რომლებიც ჩვენს საპროტესტო მოთხოვნებზე უფრო და უფრო მეტად მიდიოდნენ კომპრომისზე.

დარწმუნებულებმა იმაში, რომ ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა, მხნეობა მოვიკრიბეთ და ძალ-ღონე იქით მივმართეთ, რომ ბოლშევიკებისთვის მათი შემლილი და ადამიანის ღირსების შემლახავი „პროლეტარიატის დიქტატურისკენ" პროცესის ნამდვილი სახე დაგვენახვებინა. ჩვენ თითოეული ადამიანისა და მთელი ქვეყნის თავისუფლებისათვის ვიბრძოდით. ჩვენს უკან ცივილიზებული მსოფლიო იდგა.

ჩვენი სიკვდილით დასჯას ერიდებოდნენ. ციხეში აჯანყებას აჯანყებაზე ვაწყობდით. ასე რომ, ბოლშევიკებმა პოლიტიკურად საშიში პატიმრების გადასახლება გადაწყვიტეს.

ეს მოხდა 1922 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიბრძანეს ეზოში შევკრებილიყავით. ზედამხედველმა ხმამაღლა წაიკითხა იმ 62 სოციალ-დემოკრატის გვარი, ვისაც გერმანიაში უპირებდნენ გასახლებას. ჩემი გვარი სიის თავში ეწერა.

ზედამხედველს სიის კითხვა ბოლომდე არ ჩაეთავებინა, რომ პატიმრები უჩვეულო აღშფოთებამ მოიცვა და სასტიკ პროტესტს აცხადებდნენ. ჩვენ ეზოში ვიდექით და დაშლას არ ვაპირებდით, არ გვჯეროდა, რომ მართლა გაგვასახლებდნენ. გვეგონა, რომ ეს იყო ჩვენი გაციმბირების, ანდა გაქრობის მცდელობა. ბოლშევიკები ყოველთვის ერთს ამბობდნენ და მეორეს აკეთებდნენ.

სიკვდილის კომისრის მუქარის მიუხედავად გადავწყვიტეთ იქვე, ციხის ეზოში, ქვეყნის ბოლშევიკური მთავრობის მიმართ მემორანდუმი შეგვექმნა. პროტესტს ვაცხადებდით ჩვენი გასახლების გამო და არ ვცნობდით მოსკოვის ხელისუფლებას, რომელიც ქართველს სამშობლოს ართმევდა და იქ ყოფნას უკრძალავდა. ყველამ განვაცხადეთ, რომ ვამჯობინებდით მეტეხის ციხეში სამუდამო ყოფნას და მშობლიურ კერაზე სიკვდილს. 1922 წლის 10 ოქტომბერს, დეკრეტის თანახმად, ციხიდან უნდა გამოვეყვანეთ. ჩვენიანების მიერ მოსყიდულმა ზედამხედველმა გვაცნობა, რომ ჩეკას ნაბრძანები ჰქონდა 8 ოქტომბრის შუა ღამით ჩვენი ციხიდან გამოყვანა.

ნებაყოფლობით წასვლა არ გვინდოდა. დავიწყეთ ჩვენი საკნების საბრძოლოდ მოწყობა. ყველა პატიმარი გვიცხადებდა სოლიდარობას და ჩვენს მხარეზე იდგა. თითოეული მათგანი მზად იყო სიცოცხლე გაეწირა ჩვენთვის. იმდენ ბრძოლასა და გაჭირვებაში ყველა დავძმობილდით, ყველას გვაერთიანებდა სამართლიანობის გამარჯვების რწმენა. ყველა — ერთისათვის.

25. ამბოხება ციხეში

ციხის საკნებში გამალებული მუშაობა მიმდინარეობდა. ჩვენ არ გვსურდა, ჩეკისტებს ნებაყოფლობით გავყოლოდით. კარები ძველი ნარებით, მაგიდებით, ძველმანებით და რკინის ნაჭრებით ამოვხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგეთ. თუკი ჩეკისტები საკნებში მაინც შემოაღწევდნენ, ჩვენ იატაკზე გაწოლილები უნდა დავხვედროდით. არავის უნდა ჰქონოდა ჩვენი მამა-პაპათა მიწაზე ფეხის დადგმის უფლება. თუკი ბოლშევიკებს ჩვენი შეპყრობა სურდათ, მაშინ ხელით უნდა გავეთრიეთ. ციხეში დარჩენილთა ინტერესებიდან გამომდინარე, ჩეკისტებზე თავდასხმას არ ვაპირებდით. იარაღის გამოყენება არავის უნდა ეცადა. ღამღამობით თითოეული საკნიდან გუშაგი გამოჰყავდათ, რომლებიც ინფორმაციას ერთმანეთს პირობითი ნიშნებით გადასცემდნენ. ასე დადგა ჩემთვის დაუვიწყარი 1922 წლის 8 ოქტომბრის ღამე. ამ ღამეს ყველას გვეღვიძა. ინფორმაცია, რომ ჩვენი გასახლება 10 ოქტომბერს კი არა, 8-ში უნდა მომხდარიყო, გამართლდა.

ღამის 3 საათზე ციხის ეზოს გრუხუნით მოადგა სატვირთო მანქანები. ნაწილი მანქანებისა ცარიელი იყო, ნაწილი კი წითელგვარდიელებით დატვირთული. ეზო შეიარაღებული ჩეკისტებითა და წითელგვარდიელებით აივსო.

მთვარის შუქი ეპოლეტებს უნათებდათ. მოჩვენებასავით ვხედავდით მათი იარაღების ელვასა და საიდუმლო ჩურჩულს.

მთაწმინდას ავხედე. მთის წვერს მთვარის სხივი ეცემოდა. მინდოდა სამარადისოდ შემომენახა მეხსიერებაში ეს ხატება. რამდენჯერ გადმომიხედავს იქიდან თბილისისთვის, რამდენჯერ გამინდვია სიყმაწვილის დროინდელი ოცნებები და რამდენჯერ მისეირნია მის ბილიკებზე ჩემს ერთგულ ცოლსა და 3 შვილთან ერთად. ფიქრებში ჩაძირულს აღარ მესმოდა, თუ რა ხდებოდა ირგვლივ.

„მთაწმინდავ, მე შენ დიდხანს ველარ გიხილავ, შეიძლება ვერც ვერასოდეს, მაგრამ სამშობლოს დამოუკიდებლობისთანავე ჩვენც დავბრუნდებით. საყვარელო ცოლო და შვილებო, თქვენგან კი ორი წელია მომაცილეს. იქნებ სამუდამოდ გცილდებით. რა ბედი გელით თქვენ?“

ვიღაცის ხმამ ფიქრებიდან გამომაფხიზლა. რა მელის მე? ეს წითელ გვარდიელი ოფიცრის ხმა იყო: „მოსკოვის ბოლშევიკური

ცენტრალური კომიტეტის სახელით ვბრძანებ, რომ ზემოთდასახელებულები ციხის ეზოში ბარგით მოგროვდეთ; შემდეგ კი ... გვარი დაასახელა.

ხმა მიჩუმდა. ციხის შენობაში არავინ და არაფერი არ იძვროდა. სამარისებური სიჩუმე იდგა.

ოფიცრები ერთხანს ელოდნენ. ღამის მდუმარებას არაფერი არღვევდა. არც ერთი გადასახლებულთაგანი არ გამოცხადებულა ეზოში. მან ბრძანება მუქარით გაიმეორა. მესამე მოწოდებისას დაგვემუქრა, რომ ჯარისკაცები მკვდრებსა თუ ცოცხლებს იარაღის ძალით გამოგვათრევდნენ.

პასუხად კვლავ სიჩუმე იდგა. ჯარისკაცები ჩვენს გამოსაყვანად კარებს მოადგნენ. კარებთან გაოგნებულები შეჩერდნენ. ამას არ ელოდნენ — ყველა კართან ბარიკადები იყო ამართული. არც ერთი კარი არ იღებოდა. მოულოდნელმა დაბრკოლებამ ჯარისკაცები ისე გააოგნა, რომ არც კი იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, შემდეგ კი შეუდგნენ ბრძანების შესრულებას და კარების ძალით გაღებას ცდილობდნენ. კარები მაინც არ იღებოდა. მათი ცდა ამაო იყო; მათ უკან დაიხიეს და ოფიცრებს ამცნეს, რომ საკნებში სამარისებური სიჩუმე იდგა, ხოლო კარები კი ამოქოლილი იყო.

მესამე სართულის საკნის ფანჯარა ჭრიალით გაიღო: უცებ ყველა ფანჯარა გაიღო, პატიმრებმა თავები გამოყვეს და ქვემოთ, ეზოში გაოგნებულ ჯარისკაცებს უყურებდნენ.

ღამეულ სიჩუმეში გაისმა ცინცაძის, განათლების ყოფილი მინისტრის, ხმა. „ბოლშევიკურ მთავრობას გერმანიაში უნდა ჩვენი გასახლება. მოსკოვის ცენტრალური მთავრობა უსამართლოდ ერევა საქართველოს საშინაო პოლიტიკაში. პროტესტს ვაცხადებთ იმ გაუგონარი ძალმომრეობის წინააღმდეგ, რომლის მსგავსიც კაცობრიობას მრავალი საუკუნეა აღარ განუცდია. ვეჭვობთ, რომ მართლა გერმანიაში გაგვასახლებენ. ჩვენ, ალბათ, ციმბირში, ან სადღაც რუსეთში გვერეკებიან.

ჩვენ სამშობლოში დარჩენა გვსურს და თუკი ჩვენი ეშინიათ, მაშინ თანახმა ვართ, ციხეში ვიყოთ. ციხიდან ნებაყოფლობით ვერ გაგვიყვანთ. ბოლშევიკური მთავრობისგან ვითხოვთ დოკუმენტს, სადაც ნათქვამი იქნება, რომ ჩვენ მართლა გერმანიაში გვასახლებენ. მოვითხოვთ, რომ წაგვიყვანონ არა მოსკოვიდან, არამედ შავი ზღვით, თურქეთით, გერმანიისკენ.

8 ოქტომბერს ჩვენი გასახლება მოულოდნელია. ბოლშევიკურმა ცენტრალური კომიტეტის დეკრეტმა 10 ოქტომბრისთვის განსაზღვრა ჩვენი გასახლება. ჩვენ არ ვართ მზად, არ გვაქვს არც საცვლები, არ გამოვთხოვებივართ ჩვენს ოჯახებს, რომელთაც, ალბათ, სამუდამოდ ვშორდებით".

რუს ოფიცერს, როგორც ჩანდა, თვითონაც არ მოსწონდა ეს ბრძანება და მან მოკლედ გვითხრა.

„მე რუსი ოფიცერი ვარ და ჩემს მოვალეობას ვასრულებ".

ჩვენც ჩვენს მოვალეობას ვასრულებთ სამშობლოს წინაშე და თავს ვიცავთ, — მიუგო ცინცაძემ.

ჩაამთავრა თუ არა ცინცაძემ ბოლო სიტყვები, ციხის ყველა საკანში ყურისწამღები სტვენა და ღრიანცელი გაისმა. ისმოდა ჯამჭურჭლის ხმა, ასობით ფანჯარა ილეწებოდა და ჯარისკაცების ფეხთა წინ იყრებოდა. მსგავსი ამბოხება მეტეხის ციხეს არ ახსოვდა.

ეს იყო ჯოჯოხეთური კონცერტი, რომელსაც ის უდანაშაულონი ატარებდნენ, ვისთვისაც თავისუფლებისა და სამშობლოს წართმევა სურდათ. მრისხანებისა და აღშფოთებისაგან პატიმრებს გონება დაჰბნელებოდათ. ანთებული თვალებით და გაფითრებული სახეებით აქეთ-იქით დარბოდნენ და რაც ხელში მოხვდებოდათ, ყველაფერს ლეწავდნენ. ფანჯრის ჩარჩოებს ქუჩაში და ციხის ეზოში ყრიდნენ.

მსხვრევისა და პატიმართა ღრიალის ხმა, რომელსაც ჯარისკაცების შეძახილები ერეოდა, შიშისმომგვრელად ისმოდა ღამეული ქალაქის ქუჩებში. სახლებში ერთმანეთის მიყოლებით შუქი აინთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდაპირველად რუსის ოფიცერი უმწეოდ იდგა, კარგა ხანმა გაიარა, სანამ შეტევაზე გადასვლის ბრძანებას გასცემდა. შეტევა დიდხანს არ გაგრძელებულა. ჯარისკაცები მალე ისევ ეზოში გამოცხადდნენ, რათა ოფიცრისათვის შეტევის წარუმატებლობა მოეხსენებინათ. მრავალი ჯარისკაცი უკან დახევისას კიბეზე წაიქცა და დაშავდა.

თვალში გვეცა, რომ ჯარისკაცები არ ისროდნენ. ალბათ, ნაბრძანები ჰქონდათ, ციხიდან ცოცხლები გამოვეყვანეთ. საბჭოთა მთავრობა, როგორც ჩანს, ანგარიშს უწევდა საზღვარგარეთს. ჩეკისტებისა და წითელარმიელების უკან დახევის შემდეგ, ცინცაძის საკნიდან გაბმული სტვენის ხმა გაისმა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ გადავსულიყავით საბოლოო ბრძოლაზე. უცებ სამარისებული სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ კი ისევ ცინცაძის გმირული ხმა გაისმა.

„არ დაგნებდებით, სანამ ბოლშევიკური მთავრობა წერილობით გარანტიას არ მოგვცემს, რომ მართლა გერმანიაში გვასახლებენ და, რომ მივყავართ არა მოსკოვზე გავლით, არამედ შავი ზღვით, კონსტანტინეპოლიდან. მოსალაპარაკებლად მზად არიან საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლები — ლორთქიფანიძე და დგებუაძე“.

თავიანთ გამოსვლებში იმავეს მოითხოვდნენ ნოდია და საღირაშვილი.

რუსი ოფიცერი კი ისე ჯიუტად გაიძახოდა, რომ მას არაფერი ეხებოდა და, თუ არ დანებდებოდნენ, იარაღს იხმარდა.

ჩეკისტები, და არა წითელგვარდიელები, ჩვენი ფანჯრების წინ რკინის ხელკეტებით შეიარაღებულები დადიოდნენ, ისევ გაისმა სტვენის ხმა და ჯოჯოხეთური გნიასი თავიდან დაიწყო. ნამსხვრევებად აქციეს ყველაფერი, რაც კი დამტვრევას გადაურჩა. ვერც იცნობდით წამყვან პოლიტიკოსებს, ახალი საქართველოს მეცნიერებისა და ეკონომიკის წარმომადგენლებს. თითქოს ეშმაკი შესჩენოდათ: ჩამომხმარ სახეებზე მრისხანება და უსა-

ზღვრო სიძულვილი ეხატათ. და ლანძღვა-გინებით იკლებდნენ იქაურობას. მეც იმავე მდგომარეობაში ვიყავი. სიკვდილის-სა გვეშინოდა. სამშობლოსათვის სიამოვნებით დავიხოცებოდით. არ გვინდოდა უბრძოლველად სამშობლოს დათმობა და ბოლშევიკებისათვის ჩვენი სიძულვილის ჩვენება გვსურდა. ყველა ციხესიმაგრესავით იდგა. თითოეულმა ჩვენგანმა მეორე სახე გამოაჩინა და მისი დანახვა რომ შეგვძლებოდა, ალბათ, ჩვენ თვითონვე შევკრთებოდით. მომთმენი და სათნო ბუნების ადამიანები მრისხანე, დაუნდობელ ურჩხულებად ქცეულიყვნენ. ფიზიკურად სუსტებიც კი დაუჯერებელ გმირობას სჩადიოდნენ. ერთმა ცნობილმა დეპუტატმა, რომელიც მშვიდ და ავადმყოფ კაცად იყო ცნობილი, ორივე ხელით ჰაერში საერთო მაგიდა აიტაცა და იატაკზე ისე დაანარცხა, რომ ნამსხვრევებად აქცია.

ყოველ წუთს ველოდით, რომ ჯარისკაცები ჩვენს ფანჯრებს ცეცხლს დაუშენდნენ. მსგავსი არაფერი ხდებოდა.

ჩეკისტებმა ჩვენი საკნების იერიშით აღების მცდელობაზე ხელი ჩაიქნიეს. ისინი ეზოში იდგნენ და კედელზე მარიონეტებივით გაუნძრევლად იყვნენ გაკრულები.

უცებ დავინახეთ, რომ მათ ერთი ჯგუფი გამოეყო. ისინი შენობაში შემოვიდნენ. ცინცაძის საკნიდან სტვენის ხმა გაისმა, რაც საბრძოლო მოწოდებას ნიშნავდა. ასე რომ, ჯარისკაცებმა ისევ ვერ შეძლეს შეტევაზე გადმოსვლა. მალე ჯარისკაცები კვლავ ეზოში გამოჩნდნენ. მათთან ერთად მოსალაპარაკებლად ჩვენი თანამებრძოლები შევნიშნეთ. მათ ლორთქიფანიძე მიუძღოდათ. ზურგს უკან სიცილი დააყარეს ჯარისკაცებს, რომლებიც ბატიფეხური სამხედრო ნაბიჯით მიდიოდნენ.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გვაოცებდა ჩვენი გამარჯვება და გახარებულები ერთმანეთს ვეხვეოდით. ჩვენს წარგზავნილებს ბოლშევიკური მთავრობისაგან ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის რომ არც მიეღწიათ, ბრძოლას მაინც მოგებულად ჩავთვლიდით. გასაოცარი იყო ჩვენდამი თავგანწირული

ერთგულება იმ ხუთი ათასი პატიმრისა, ვინც ციხეში უნდა დარჩენილიყო და შესაძლოა ყველაფერი ეს ძალზედ ძვირადაც დასჯდომოდათ. ამბოხების შედეგებს არაფრად აგდებდნენ, არ ფიქრობდნენ არც პატიმრობის შემდეგ წლებზე და არც შესაძლო დახვრეტაზე.

ჩვენი წარგზავნილების მოლოდინში მთელმა საათმა განვლო. ყველას მზერა ეზოსკენ იყო მიპყრობილი. პირველი ისევ ლორთქიფანიძე გამოჩნდა. ჩვენ მას ტაშით და ყიჟინით მივესალმეთ. ლორთქიფანიძე ეზოს შუაგულში დადგა და ხმამაღლა გვამცნო სტალინისტებთან თავისი მოლაპარაკების შესახებ.

„ბოლშევიკურმა ცენტრალურმა კომიტეტმა მოგვისმინა. ჩვენ მათ წავუყენეთ მთელი რიგი მოთხოვნები, რომლებსაც ისინი განიხილავდნენ. სანაცვლოდ გვთხოვდნენ დაუყოვნებლივ წესრიგის აღდგენას და კორიდორებსა და საკნებში ბარიკადების მოშლას. თუკი მათ მოთხოვნებს დავემორჩილებით, თავიდან ავიცილებთ სისხლის ღვრას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი შურისძიება გავრცელდება მშვიდობიან მოსახლეობაზეც, განსაკუთრებით კი ჩვენ ოჯახის წევრებსა და ნათესავებზე. ვფიქრობ, საჭიროა მათი მოთხოვნების შესრულება“.

უმრავლესობა ლორთქიფანიძეს ეთანხმებოდა. მე კი ბოლშევიკების მოთხოვნების უარყოფას და ბრძოლის გაგრძელებას მოვითხოვდი. ადრე თუ გვიან აჯანყება გარდაუვალი იყო. ძალმომრეობის წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლა შეიძლება საყოველთაო აჯანყების პირობადაც ქცეულიყო. მხოლოდ სიკვდილში იყო ჩვენი ხსნა. სამშობლოდან გაძევებას სიკვდილი გვიჯობს, ჩვენი ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდებოდა. მაგრამ მაინც უმრავლესობის ნებას უნდა დავმორჩილებოდი. რამდენიმე პატიმართან ერთად ეზოში ჩასვლა გადავწყვიტე. დერეფნებსა და კიბეებზე აღმართულ ბარიკადებზე ძრომიალი არცთუ ისე ადვილი აღმოჩნდა. ზოგიერთ ადგილას საჭირო იყო ბარიკადების მოშლა, თორემ გავლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. საკმაოდ დიდმა დრომ გაიარა, ვიდრე 62 გასახლებული ეზოში თავს მოვიყრიდით.

ხანმოკლე მოლაპარაკების შემდეგ შევთანხმდით, რომ ლენი რთქიფანიძე ისევ წავიდოდა ბოლშევიკებთან მოსალაპარაკებლად. იგი უკან დაბრუნდა და გამოგვიცხადა, რომ ცენტრალური კომიტეტი ნამდვილად გერმანიაში გვასახლებდა და, რომ მან დაამტკიცა ჩვენი შავი ზღვით გამგზავრების გეგმა. ჩვენ თავებს გამარჯვებულად მივიჩნევდით, რომ არა ბოლშევიკების გულწრფელობაში დაეჭვება. კარგად ვიცნობდით ახალი სისტემის გაიძვერა, ფლიდ მეთოდებს. სანამ საქართველოს საზღვრებს არ გავცდებოდით, ძნელი იყო მათი დანაპირების დაჯერება. გულს გვიკლავდა ის ფაქტი, რომ სამშობლოდან უცხოეთში უნდა გადავხვეწილიყავით და შეიძლება სამუდამოდაც. **მხეცურად მოგვგლიჯეს ჩვენს ცოლებსა და შვილებს და სადღაც გაურკვეველი მომავლისაკენ გვერეკებოდნენ. ღმერთო ჩემო! შეგვეძლო კი ოდესმე სამშობლოს, ცოლისა და შვილების სიყვარულის დავიწყება!** მთელი არსებით სამშობლოს ვეკუთვნოდით. ამიერიდან ყოველი ჩვენი მოქმედება და აზრი სამშობლოსადმი მსახურების იდეით იქნებოდა გასულიერებული.

გაძევებულებმა ჩვენი ღარიბული ბარგი გამოვიტანეთ. ზოგს არაფერი ებადა და არც ფული ჰქონდა.

ცოლ-შვილს ვერ გამოვემშვიდობე. მე მათთვის უკვე მკვდარი ვიყავი.

ჩვენი ზედამხედველი ჩეკისტები და წითელგვარდიელები კვლავ ეზოში გამოვიდნენ, კუთხეში გაგვამწკრივეს და ინსტრუქცია გაგვაცნეს.

უცხოეთში კიდევ ერთი დაუვიწყარი შთაბეჭდილება მიგვყვებოდა. სულით ხორცამდე შეგვძრა დანარჩენ პატიმართა ერთგულებამ. ხუთი ათასი პატიმარი საკნებიდან გამოვიდა და გარს შემოგვეხვივია. სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლმა ხუთი ათასმა ადამიანმა აავსო ციხის ეზო და ცდილობდნენ ჩვენთვის განშორების ტანჯვა შეემსუბუქებინათ, გაუხეშებულ სახეზე ცრემლები მოუჩანდათ და ტუჩები უკანკალებდათ.

„მოუყევით ყველას ბერლინში, მთელ გერმანიაში, ქართველი

ხალხის ტრაგედიაზე. თავისუფლებისათვის ჩვენს თავდაუზოგავ ბრძოლაზე. ჩვენს იმედზე, რომ დემოკრატიული ევროპა დახმარებას აღმოგვიჩენს, რომლის სრული კონტრასტიც არიან ბარბაროსი, სისხლისმსმელი, უკულტურო ბოლშევიკები!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომსვლელები დაუნდობლად აკრიტიკებდნენ ბოლშევიზმის ბრძოლის გაუგონარ, მხეცურ, ბარბაროსულ მეთოდებს. ორატორებმა საქართველოში დარჩენილთა სახელით პირობა მოგვცეს, რომ მუდამ ვემახსოვრებოდით და, რომ ჩვენ გათავისუფლებულ საქართველოში დავბრუნდებოდით.

მე გადასახლებულთა სახელით გამოვედი, დავიფიცე და პირობა დავდე, რომ უშიშრად ვიბრძოლებდით და საქართველოს ტრაგედიას მთელ ევროპას ვამცნობდით. საბრძოლო შეძახილით „სიკვდილი, ან გამარჯვება" — გადავაბიჯეთ მეტეხის „წითელი ჭიშკრის" ზღურბლს.

ქუჩაში ციხეში დარჩენილ პატიმართა ნამღერი ქართული ეროვნული ჰიმნი გვაცილებდა. მთაწმინდა და ძველი თბილისის ციხესიმაგრე ექოსავით იმეორებდნენ თავისუფლების სიმღერას, მტკვარი კი უკანასკნელად მიგვაცილებდა ჩუმი დუდუნით.

26. თბილისიდან მოსკოვამდე

სატვირთო მანქანები ნელა მირახრახებდნენ თბილისის ქუჩებში. თითოეულ მათგანზე 9 გადასახლებული და 9 ჩეკისტი იჯდა. მანქანებს ორივე მხრიდან ცხენებზე ამხედრებული წითელგვარდიელები მიუყვებოდნენ შიშველი ხმლებით. ჩეკისტებს რევოლვერები ჩვენკენ ჰქონდათ მომართული. ბოლშევიკებს ეშინოდათ ჩვენი და ქალაქის მცხოვრებლებისა, რომელთა შორისაც ცოტა თანამზრახველი თუ ეგულებოდათ და ამიტომ ციხიდან სადგურამდე გაძლიერებული დაცვა დაეყენებინათ. მთვარე დამცინავად ციმციმებოდა და მის შუქზე უჩვეულო ჯარის იარაღი თვალისმომჭრელად ელავდა. რაც ჩვენს გარშემო ხდებოდა, დიდად არ გვაშფოთებდა. ამ თეატრალური სანახაობის კომიზმი ჩვენს გა-

ნწყობილებას ახალისებდა და ჩვენს სიცილსა და სიმღერას ბოლო არ უჩანდა. ამით თბილისთან განშორების სიმძიმეს ვიმსუბუქებდით.

ჩვენთან ერთად გაასახლეს სომხეთის სოციალისტური პარტიის „დაშნაკ-ცუთიუნის" 22 წევრი.

სადგურში მიყვანისთანავე გისოსებიან დიდ ვაგონებში გადაგვსხეს. უცნაური დამთხვევა იყო ის, რომ ჩვენი ზედამხედველი ჩეკისტიც გვარად ცინცაძე იყო. ვაგონს ორივე მხრიდან, სიგრძეზე, გესლიანი სიხარულით წააწერა: „ქართველი კონტრრევოლუციონერები, სოციალისტ-ნაციონალები და სოციალიზმის მოღალატეები".

მალე მატარებელი დაიძრა. თბილისს სიმღერითა და ცეკვით ვემშვიდობებოდით. ღრმად გვჯეროდა, რომ ადრე თუ გვიან თავისუფალ საქართველოში, თავისუფალ ადამიანებად, ჩვენს დებსა და ძმებთან დავბრუნდებოდით. გაჩერებებზე ქართულ სალაღობო სიმღერებს ვმღეროდით და სიმღერების რიტმს ტაშს ვაყოლებდით, როგორც კი წითელგვარდიელი ოფიცრები და ჯარისკაცები ვაგონების შემოწმებას იწყებდნენ, ჩვენც მაშინვე წამოვიწყებდით ხოლმე ინტერნაციონალსა და საქართველოს ეროვნულ ჰიმნს.

1922 წლის 11 ოქტომბერს, 11 საათსა და 15 წუთზე, საქართველო-რუსეთის საზღვარზე ჩეკისტმა ცინცაძემ სხვა ზედამხედველს შემდეგი დოკუმენტით გადაგვაბარა.

„გაძლევთ იმ პირთა სიას, რომლებმაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გადაწყვეტილების თანახმად სასწრაფოდ უნდა დატოვონ საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის და რუსეთის საბჭოთა ფედერაციის საზღვრები.

საქართველოს ჩეკას წარმომადგენელი: ვ. ცინცაძე, 10 X-22 11 სთ. 15 წთ. ღამე".

ამ დოკუმენტის ორიგინალი გადმომცეს გერმანიის საზღვართან, როგორც პასპორტი თითოეული ჩვენგანისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვში ჩასაღწევად ორი კვირა დაგვჭირდა. გრძელმა დამქანცველმა მგზავრობამ და ცუდმა კვებამ ჩვენს განწყობილებაზეც იმოქმედა. ნაღველის გასაქარვებლად ვმღეროდით ხოლმე საღამოს 7 საათზე, ვიხსენებდით მეტეხის ციხეში დარჩენილ ჩვენს ერთგულ ძმებს და იმ სიმღერებს ვმღეროდით, რომლებიც ყოველ საღამოს ერთსა და იმავე დროს ციხის ფანჯრებიდან გაისმოდა. თავიანთი პირობა, რომ გერმანიაში შავი ზღვით გაგვამგზავრებდნენ, ბოლშევიკებმა, რასაკვირველია, დაარღვიეს. დიდი იყო ჩვენი მრისხანება, მაგრამ, ამავე დროს, უმწეონიც ვიყავით. სად მივყავდით ამ გზას? იქნებ ციმბირში? ან იქნებ მოსკოვის ჩეკას ჯურღმულებში. გერმანიაზე აღარ ვფიქრობდით. ყველაფერს შევეგუეთ და კვლავ სიმღერა განვაგრძეთ.

ნოემბრის ერთ დილას მატარებელი მოსკოვში სამარის სადგურზე ჩამოდგა. იმ წუთშივე გამოჩნდა სატვირთო მანქანები შეიარაღებული ჩეკისტებით. მათ ნაბრძანები ჰქონდათ სატვირთო მანქანებზე ჩვენი გადასხდომა. ისინი მანქანებზე ჩვენს გადარეკვას ნახირივით ნაწილ-ნაწილ აპირებდნენ, როდესაც შევიტყვეთ, რომ ტაგანკის საპყრობილეებში მივყავდით, პროტესტი განვაცხადეთ. გარკვევით გამოვუცხადეთ ჩეკისტებს, რომ ვაგონებს ცოცხლები არ დავტოვებდით, ჩვენ გვინდოდა გერმანიაში გამგზავრება და არა მოსკოვში დარჩენა.

ჩეკისტები ამითლა დაკმაყოფილდნენ, რომ სომხები გადმოიყვანეს ვაგონებიდან და სატუსაღოში წაიყვანეს, ქართველები კი ვაგონებში დაგვტოვეს.

ვაგონებში ჩვენ ყოფნას ბოლო არ უჩანდა და დღითი დღე უფრო დიდ სატანჯველს გვიმზადებდა. გადიოდა კვირეები, ჩვენი ბორბლებიანი ციხე კი არ იძვროდა. სივიწროვეს თანდათანობით შევეჩვიეთ. ხანგრძლივ მგზავრობაში გაწვრთნილი, ნავარჯიშევი ჩვენი ძვლები მოცუცქნულ ოთახში მშვენივრად პოულობდა დასაძინებელ ადგილს, ვაგონებს კი, რომლებიც თვეების განმავლობაში არ დასუფთავებულიყო, სიბინძურის სუნი ასდიოდა. ყარდა

ჩვენი სხეულებიც. გაუთბობელმა ვაგონებმა მოსკოვის სიცივეში და ცხელი საჭმლის უკმარისობამ, რომელსაც საერთოდ არ-გვაძლევდნენ, თავისი გაიტანა და მხოლოდ მას შემდეგ, რაც რამდენიმე ჩვენგანი სერიოზულად დაავადდა, ჩეკა მოტყდა და ვაგონების გათბობა დაიწყეს.

ფიზიკური ტანჯვა მძიმე იყო, მაგრამ მისი ატანა ასე თუ ისე, მაინც შეგვეძლო. უფრო მეტად გვთრგუნავდა ჩვენი მომავლის სრული გაურკვევლობა. მოსკოვში ჩვენს გაუთავებელ ყოფნას თავისი მიზეზები უნდა ჰქონოდა. თავს მოტყუებულად ვგრძნობდით და გერმანიაში ჩვენი გამგზავრება შეუძლებლად გვესახებოდა. ვფიქრობდით, რომ გერმანიამ ჩვენს მიღებაზე უარი განაცხადა. ჩვენს თავზე დამოკლეს მახვილი ეკიდა და უბედურებას გვიმზადებდა. ჩვენს ხმადაბალ სიმღერას საღამოს 7 საათზეღა თუ გაიგონებდით მეტეხში დარჩენილ თანამებრძოლთა მოსაგონებლად.

27. მოსკოვიდან ბერლინისაკენ

აი, უკვე მთელი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ლიანდაგებზე ვიდექით, ჩვენ იმ ნახირად ვიქეცით, ვიწრო ვაგონებში რომ შეყრიან და სიბინძურეში ამყოფებენ. დღეში ორჯერ ვაგონის სარკმელი იღებოდა და ჩეკისტი საჭმელს იქიდან გვიყრიდა.

რამდენიმე კვადრატული მეტრი ჩვენს სამყაროდ იქცა. ყველანი სრულმა აპათიამ მოგვიცვა. დავკარგეთ სამშობლო, თავისუფლება და მომავლის გარეშე დავრჩით! ცხოვრება უნუგეშო იყო. ბორბლებიანი ყუთის ხის კედლები სამყაროს ჰორიზონტად გვექცა. ჩვენ აღარც კი ვოცნებობდით. თითოეულ ჩვენგანს სასოწარკვეთილება დაუფლებოდა. ყველა დუმდა. როდესაც ერთ მშვენიერ დღეს ვაგონის ღია კარებში საბჭოთა ოფიცერი შევნიშნეთ, გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი აღსასრული დამდგარიყო. ჩვენი ხსნა, სწორედაც რომ სიკვდილშიღა იყო. სულიერმა და ფიზიკურმა ტანჯვამ ისე გაგვტეხა, რომ ხმამაღლა ვერც კი გამოხატეთ სიხარული, როცა მოულოდნელად ახალი ამბები გაგვაგებინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოგვიცხადეს, რომ სასწრაფოდ გერმანიის საელჩოში უნდა წავეყვანეთ პასპორტების მისაღებად.

პატიმართა ჩაცვენილ თვალებში იმედის სხივი გამოკრთა და, როდესაც პასპორტები გადმოგვცეს, მაშინლა იფეთქა სიხარულმა. მართალია, უცხო ქვეყანაში, მაგრამ თავისუფლებას მალე ვიგემებთ. ეს იყო სტალინზე ჩვენი კიდევ ერთი გამარჯვება. სტალინმა ვერ გაბედა ჩვენი დახოცვა, რადგან იძულებული იყო მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისთვის ანგარიში გაეწია. მოსკოვიდან ლატვიის საზღვრამდე ჩვენი ვაგონები ჩქარ მატარებელს მიაბეს. საბოლოოდ ვირწმუნეთ, რომ უმოკლეს ხანში ჯოჯოხეთური სიბნელიდან კულტურული ქვეყნის მიწაზე დავადგამდით ფეხს. შუა ღამეს მივაღწიეთ ლატვიის საზღვარს. მატარებელი საზღვრიდან რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით შეჩერდა. ჩეკისტები და წითელარმიელები ვაგონებიდან გადმოვიდნენ. ჩვენ ლატვიელმა პოლიციელებმა ჩაგვიბარეს. ვემშვიდობებოდით სტალინს, საშინელებებისა და ბნელეთის ქვეყანას. ჩვენ ისევ თავისუფლები ვიყავით.

სარეისო მატარებლით გერმანიაში გამგზავრებამდე, ლატვიის მთავრობის ბრძანებით, კარანტინი იმ შენობაში გავიარეთ, რომელიც გერმანელ ჯარისკაცებს მსოფლიო ომის დროს აეშენებინათ. მატარებელი გერმანული წესიერებითა და სისწრაფით მიგვაქროლებდა ქვეყანაში, რომელიც ჩვენ ახალ სამშობლოდ უნდა ქცეულიყო. აღმოსავლეთ პრუსიაში ჩავუარეთ კოპწია სოფლებს, ქალაქებს და მინდვრებში მომუშავე გლეხებს.

1922 წლის 3 დეკემბერს ჩავედით ბერლინში შლეზვიის სადგურზე. თავისუფალი საქართველოს რესპუბლიკის წარგზავნილი, ახმეტელი, გულთბილად შეგვხვდა, გულისამაჩუყებლად ზრუნავდა პირველ ხანებში ჩვენს მოსაწყობად და ყველაფერს გვაძლევდა, თუმცა მასაც ჩვენსავით არაფერი ებადა.

* * *

ეს სტრიქონები სამშობლოს ენით უთქმელმა სიყვარულმა და მისი მონატრების მწარე ცრემლებმა დამაწერინა. ჩვენი გულები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსეა მოღალატეთა და სტალინის მიმართ ზიზღით, რომელიც ერთ დროს ჩემი მეგობარი იყო. მისგან მოყენებული ტანჯვა ჩემს უნუგეშო სიცოცხლეს ყოველ წამს თან სდევს. შორეთში გადახვეწილმა მე აღვასრულე ჩემი სამშობლოს წინაშე ვალი ისე, როგორც ეს შემეძლო. მსურდა ქვეყნიერებისთვის მეცნობებინა იმ ხალხის ბრძოლის შესახებ, ვისაც თავისუფლება წაართვეს და ვისი კურთხეული მიწაც ადამიანთა სისხლით შებღალეს. მინდოდა მომეთხრო დამონებული ხალხის შესახებ, რომელიც ბოლშევიზმის უღლის ქვეშ კვნესის და შიშისაგან დადამბლავებული უტყვ სასოწარკვეთილებაში იტანჯება. მინდოდა თვალი ამეხილა იმათთვის, ვინც ბოლშევიკური მოდელის მიხედვით ადამიანებს ოქროს მთებსა და სამოთხეს ჰპირდება. კულტურის, თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის ნაცვლად, ბოლშევიზმი ტანჯვას, მკვლელობას, უთანასწორობას, შიმშილსა და უბედურებას მოიტანს.

გერმანიამ გულთბილად მიგვიღო, შიმშილისაგან დაგვიცვა, 10 წელზე მეტია უკვე, რაც დღე და ღამე ცოცხს, ჯაგრისსა და კალათას დავათრევ და ვცდილობ ვამხილო ის სინდისგარეცხილნი, ადამიანებს უბედურება რომ მოუტანეს.

ამ სტრიქონებით ავასრულე ათასობით პატიმრისა და სიკვდილმისჯილის სურვილი, მსოფლიოს მზერა ჩვენი ბედკრული სამშობლოსათვის მიგვეპყრო.

ჩემი აზრები ჩემს ტურფა ქვეყანას, მის ლაჟვარდოვან ზეცასა და კავკასიის მწვერვალების ვერცხლისფერ ჯაჭვს ეკუთვნის, ქვეყანას, რომელიც ყოვლისშემძლე შემოქმედმა ორ ზღვას შორის მოაქცია.

მოკლე მიმოხილვა წიგნის ბოლო თავისა, რომლის სათაურია – „ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა“

ძირითადი თემის განხილვამდე ი. ირემაშვილი გერმანელ მკითხველს აწვდის მოკლე ცნობებს საქართველოს გეოგრაფიული, ეკონომიკური, კულტურული და ისტორიული ცხოვრების შესა-

ხებ. ის საქართველოს „აზიურ შვეიცარიას" უწოდებს მთიანი ლანდშაფტისა და ზღაპრული სილამაზის გამო, საუბრობს საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებზე, სამეურნეო საქმიანობაზე, სიდუხჭირეზე (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში); ცალ-ცალკე ახასიათებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქართველობას, აღნიშნავს მათ სტუმართმოყვარეობას, ქართველთა ადათ-წესებს, ქალისადმი მოწიწებით დამოკიდებულებას, ქართული სუფრისა და თამადის ფენომენს, მრავალჟამიერის სიდიადეს.

აცნობს ევროპელ მკითხველს ქართველი კაცის თავისუფლებისმოყვარეობას, სულიერებას, კულტურის მაღალ დონეს; ხაზს უსვამს ერისთვის ისტორიულად დამახასიათებელ თვისებებს, რითაც ხსნის იმას, რომ ქვეყანაში დემოკრატიული ფასეულობებისა და იდეების ჩამოყალიბებასა და გავრცელებას დიდი ხნის ისტორია აქვს.

ირემაშვილი განსაკუთრებული მოწიწებით მოიხსენიებს დიდ ქართველ პოეტებსა და მწერლებს: შოთა რუსთაველს, ილია ჭავჭავაძეს, აკ. წერეთელს, ვაჟა ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილს და მიიჩნევს, რომ მათ თავიანთი შემოქმედებით ხელი შეუწყვეს ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას, თავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილს, და ნიადაგი მოუმზადეს ტირანიის წინააღმდეგ მიმართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

შემდეგ ირემაშვილი მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას; ქრისტიანობის გავრცელებას და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას IV საუკუნეში, XI-XII საუკუნეებს, — საქართველოს, „ოქროს ხანას"; გულისტკივილით იხსენებს ხანგრძლივ ბრძოლებს არაბების, თურქებისა და სპარსელების წინააღმდეგ, 1783 წელს გეორგიევსკში დადებულ ტრაქტატს, 1801 წელს საქართველოს ანექსიას რუსეთის მიერ, ცარიზმის რუსიფიკაციულ პოლიტიკას, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებს, დამარცხებულ აჯანყებებს და იდეოლოგიურ ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმოიხილავს რა თავისი ეპოქის პრობლემებს, ი. ირემაშვილი პატივისცემით მოიხსენიებს ცნობილ ქართველ მწერალს, ეგ. ნინოშვილს, მის მიერ წამოყენებულ სოციალურ პრობლემებს, სწორედ მას მიიჩნევს საქართველოში სოციალისტური მოძრაობის საწყისად. ეგ. ნინოშვილის დაკრძალვის დღე სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაარსების დღედ იქცა; აქვე ჩამოთვლილი არიან იქ შეკრებილნი: ჯიბლაძე, ჟორდანია, დარჩიაშვილი, ჩხეიძე, რამიშვილი და სხვები. ამ ადამიანების ბედი ასეთი იყო: ს. ჯიბლაძე დაიღუპა 1922 წელს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, ნ. ჟორდანია, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი, იმჟამად პარიზში ცხოვრობდა, მწერალი ვ. დარჩიაშვილი ლაიფციგში გარდაიცვალა, კ. ჩხეიძე რუსეთის დუმაში მოღვაწეობდა და 1921 წელს პარიზში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე., რამიშვილი რუსეთში გადაასახლეს, ახმეტელი კი — ბერლინში.

შემდეგ ირემაშვილი მოგვითხრობს პარტიული ორგანიზაციების ჩამოყალიბებაზე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, მათ დევნაზე პოლიციის მიერ, დაპატიმრებებზე; ახსენებს რკინიგზელთა 1898 წლის აჯანყებას, 1900-1903 წლების სამაისო დემონსტრაციებს თბილისში, როცა პოლიციასთან შეტაკებაში ბევრი ადამიანი დაიღუპა, ბევრი კი დააპატიმრეს, მიაჩნია, რომ იმ დროს უბრალო ხალხის სოციალური მოთხოვნები სამართლიანი იყო. განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას 1903 წელს ლონდონში ჩატარებულ რუსეთის სოციალ-დემოკრატთა პარტიის ყრილობაზე, 1905 წლის 17 ოქტომბერს რუსეთის მეფის მიერ გამოცემულ მანიფესტზე პრესისა და კრებების თავისუფლების შესახებ, 1905 წელს მოსკოვში დეკემბრის აჯანყების მარცხზე, კონტრრევოლუციის დასაწყისზე, რეპრესიებზე სოციალისტების მიმართ.

ქართველ დეპუტატთაგან არჩევნებზე ასახელებს სოციალ-დემოკრატებს: ნ ჟორდანიას, ი. წერეთელს, კ. ჩხეიძეს, გ. გეგეჭკორს, კ. ჩხენკელს ი. რამიშვილს და საქართველოში არსებულ სხვა არალეგალურ ორგანიზაციებს; ირემაშვილის თქმით, 1917

წლის თებერვლის რევოლუციის დროს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს თითქმის მთელი მოსახლეობა დაირაზმა, ამ ბრძოლის დაგვირგვინება იყო 1918 წლის 26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რამაც ქვეყანას სამოქალაქო ომი ააცილა..

1918-1921 წლებში მთავრობის მიერ გადაჭრილ საკითხებად ასახელებს: კონსტიტუციის მიღებას, მიწის რეფორმას, განათლების რეფორმას: სკოლისა და აღზრდის საკითხების მოგვარებას, სამხედროთა და მუშათა გვარდიის ჩამოყალიბებას, რომელიც შემდგომ ეროვნულ გვარდიად გადაკეთდა.

„ბოლშევიკებს სოციალ-დემოკრატების მიერ მართული ქვეყანა თვალში ეკლად ესობოდათ და ამიტომ გამოიყენეს ნაცადი იმპერიალისტური მეთოდები საქართველოს მოსაქცევად საბჭოთა რეჟიმში". ამას მოჰყვა 1921 წლის 11 თებერვალს, ომის გამოუცხადებლად, სამხედრო თავდასხმა საქართველოზე.

ქართველები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს და იცავდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობას 4 კვირის განმავლობაში, მაგრამ წითელმა არმიამ გაიმარჯვა . .ეროვნული მთავრობა პარიზში გაიქცა, საქართველოში კი ზეიმობდა ბოლშევიკური დიქტატურა! და დაიწყო სასტიკი ანგარიშსწორება ქართველების მიმართ, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ერი არ ნებდებოდა, აწყობდნენ აჯანყებებს; მაგალითად, **1921 წლის 29 აგვისტოს აჯანყებაში 6000 კაცი დაიღუპა, უმეტესად სოციალ-დემოკრატები დახვრიტეს ციხეებში, 700 ადამიანზე მეტი ციმბირში გადაასახლეს, ზოგი გზაშივე დახვრიტეს.**

„მიუხედავად დიდი მსხვერპლისა და სასტიკი რეპრესიებისა, ქართველი ხალხი აგრძელებს ბრძოლას თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობის, დემოკრატიის და სოციალური სამართლიანობის მოსაპოვებლად. საქართველოს საუკეთესო შვილებმა შესწირეს სიცოცხლე ამ იდეებს, ინტერნაციონალთან ერთად ქართული თავისუფლების ჰიმნით ეგებებოდნენ ისინი სიკვდილს,

ამ უკვდავ, მარად ცოცხალ გარდაცვლილებთან ერთად გვინდა ცოცხლებს ჩავუნერგოთ იმედი, რომ ჩვენი იდეები განხორციელდება და ქართველი ხალხი გააგრძელებს თავისუფლებისათვის ბრძოლას გამარჯვებამდე.

და მომავალში თავისუფალი ქართველი ხალხი ისევ შევა თავისუფალი კულტურული ხალხების დიდ ოჯახში თავისი ეროვნული ჰიმნის სიმღერით:

„დიდება ჩვენს სამშობლოს,
დიდება სამოთხეს დედამიწაზე,
– ლამაზ საქართველოს!
დიდება მმობას, ერთობას!
დიდება თავისუფლებას!
მარადიული დიდება შემოქმედ ქართველ ხალხს!"

იოსებ ირემაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცნობი ირემაშვილი

საარქივო მასალა
და წერილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკობ გოგებაშვილის უკანასკნელი სურვილი

შალვა გოგებეშვილის წერილი ნოტარიუსს,
ქ.თბილისი 1912 წ. 6 ივნისს
(ხელნაწერთა ინსრიტუტის ფონდიდან, №413)

ღრმად პატივცემულო დიმიტრი!

რადგან პირადათ გადმოცემა ბიძა ჩემის უკანასკნელი სურვილისა ყველა მის ანდერძის აღმასრულებლებისათვის არ შემეძლო და ამასთანავე დაუვიწყარ ძიას სურვილის სისრულეში მოყვანა ჩემ და თქვენ წმინდა მოვალეობად მიმაჩნია, ამისათვის ვკადნიერდები და წერილობით გაცნობებთ ბიძა ჩემის **უკანასკნელ სურვილს, რომლის განხორციელებაც ველარ მოასწრო.**

თქვენც მოგეხსენებათ, რომ ამ უკანასკნელ ერთი თვის განმავლობაში განსვენებულს თავს დავტრიალებდი და ყოველივე საქმეს უსრულებდი. 26 მაისს, როდესაც ექიმებმა იმედი მოგვცეს, რომ ძია კარგათ შეიქმნებოდა, მე ცოტა ხნობით ჩემი საქმეებისათვის დავეთხოვე. სამი დღე დავრჩი გორში. ამ ხნის განმავლობაში ძიას აღეთქვა სტუდენტ სოსო ირემაშვილისათვის, **რომელსაც ერთი წელიწადი თავისი ხარჯით ინახავდა, დახმარება გაეგრძელებინა შემდეგ წლებშიაც გათავებამდე (სამი წელიწადი). აი** ბიძაჩემის სიტყვებიც: შალიკო რომ ჩამოვა, გადავცემ საჭირო ფულს (300 მან.) და ის თვიურათ მოგაწოდებს თითო თუმანს. ძია ამ ხნის განმავლობაში **მოუთმენელად მელოდებოდა ამის** და სხვა საქმეების შესასრულებლად. მე ჩამოვედი გორიდან ოთხშაბათას 30 მაისს საღამოთი. იმ ღამეს სულ სოფლების შესახებ და სხვა შინაურ საქმეებზე მელაპარაკებოდა. მეორე დილას დამიბარა და მითხრა, რომ ჩეკი დამეწერა და თავის სახარჯ ფულთან ერთად ირემაშვილისათვის აღთქმული ფულიც გამომეტანა, ჩემს სახელო-

ბაზე შემენახნა და მე თვიურათ მეძლია თითო თუმანი ირემაშვილისათვის. ეს იყო ნაშუადღევის 2 საათზე. მე ის იყო უნდა დამემზადებინა ჩეკი, რომ ძიამ მითხრა _ ცოტას დავიძინებ, დავისვენებ და ჩეკი შემდეგ დავწეროთო. ძილის შემდეგ, 5 საათზე, განსვენებულს ლაპარაკიც აღარ შეეძლო. იმ ღამეს სულ გვერდით უჯექი, ველარ ლაპარაკობდა, გრძნობაც დაკარგა და ამ ნაირად ველარ შეასრულა თავისი სურვილი.

ვიცი, რომ კანონის ძალით თქვენ ანდერძს ვერ გადაუხვევთ, მაგრამ ბიძა ჩემის ღრმა პატივისცემა მეც და თქვენც გავალებთ, რომ მისი უკანასკნელი სურვილი სისრულეში იქმნას მოყვანილი. იმ ნაღდი ფულიდან, რომელიც ნათესავებში აქვს განაწილებული ამ უკანასკნელთ გასტუმრების შემდეგ, ჩემის აზრით, უნდა დარჩეს საკმარისი თანხა, საიდგანაც შეიძლება ამ სურვილის სისრულში მოყვანა. ამისათვის გთხოვთ სხვებთან ერთად, როგორც იმისი ანდერძის აღმასრულებელს ეს თანხა (300 მან.) გადმოსწეროთ ჩემ სახელობაზე ირემაშვილისათვის.



№415

19/12 ნოემბერ
ქ. ბაქური.

ძვირფასო ნაცვალმამა დიმიტრი!
ჩემ ძიას ანდერძით გადმოცემა ბიძა ჩემის უკანასკნელი სურვილია, რომ ამ. ირემაშვილისათვის რა შეძლო ნ ამ ბოლო ნაკვეთებზე დაეტოვებინა ძიას სურვილის სისრულეში მოყვანა ჩემ ნ თქვენ ნ ამინერ მკვლელობა მიმაჩნია, ამასთან ვალდებულებენ ნ ნერილობით გაკონტროლება ბიძა ჩემის უკანასკნელ სურვილს, ჩემ ან ანდერძიერებლ ვალად მესახება.

ბოლოს მგონია, რომ ამ უკანასკნელ ადგილ თვის განმამტკიცებლად ანდერძიერებლ ნ ყველა ბოლო ფურცელ. 26 მაისს, ჩემ ერთად ექიმმა ითქვა მეტი, რომ ძია კარგად შეიქმენერ, მე ასევე ჩემ საფეხურისაგან ვიყავი. ნიკო ბერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ საჭირო იქნება ყველა ანდერძის აღმასრულებლებს პირადათაც მოგელაპარაკებით ამის და სხვა საჭირო საქმეების შესახებ.

გთხოვთ დანარჩენ ანდერძის აღმსრულებლებსაც გადასცეთ ამ წერილის შინაარსი.

თქვენი პატივის მცემელი

შალვა გოგებაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი აკაკი წერეთლისადმი

ღრმათ პატივცემულო ბ.-ნო აკაკი!...

გამარჯობათ!.. და გამარჯვება ნუ მოგიშალოთ თქვენმა მომავლინებელმა განგებამ!.. მეპურემ იობა ისაკაძემ, რომლისათვისაც თქვენ წერილით გეცნობებინათ თქვენი თანხმობა და სურვილი **ჩემ სასარგებლოთ** სალიტერატურო საღამოში მონაწილეობის მიღებისა, გადმოგვცა თქვენი პასუხი. ს. მგალობლიშვილს უთხარი და მითხრა, შეგვატყობინოს, როდის შეუძლია ბ.-ნ აკაკის ჩამობრძანება და მონაწილეობის მიღებაო. უმორჩილესად გთხოვთ, გვაცნობოთ, ოქტომბრის 1-8-მდე, ამ დღეებში შეგიძლიათ თუ არა.

თქვენი ღრმათ პატ. ი. ირემაშვილი

საღამოს გამგებლობას ს. მგალობლიშვილი თაობს.



სიტყვა წარმოთქმული იაკობ გოგებაშვილის დასაფლავების დროს იოსებ ირემაშვილის მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსრულდა!..

დიახ, აღსრულდა და დაბეჩავებულ ქართველ ხალხს კვლავ ერთი მისი ეროვნული დიდებათაგანი კიდევ მოსწყდა გულიდან, რამაც მთელი ერი შეატოკა, ქვეყანა შეაშფოთა, ყველა ჩვენგანს გული გაუფათრა და მწარედ ააქვითინა...

წაიქცა ქართველი ერის ერთი იმ მთავარ ბურჯთაგანი, რომელიც სამშობლო ქვეყნის ბედ-ილბალს ნახევარ საუკუნეზე მეტს, სხვებთან ერთად, თავისი მძლავრი მხრებით იმაგრებდა; გამოგვესალმა იაკობი, რომელიც მთელი თავისი დედა-ენით მშობელ ერის ბედს სჭედავდა, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე მისივე აღმზრდელ ერს მამობრივი მზრუნველობით თავს დასტრიალებდა.

სამშობლო ქვეყნის ცაზე ქართველი ხალხის გულისა და სულის მნათობი ჩაჰქრა.

ჩამობნელდა, ჩამოწყვდიადდა...

აღარ არის ქართული ენის დიდებული დარაჯი; აღარა გვყავს დედა-ენაზე ამამეტყველებელი, ჩვენი ენისამდგმელი; აღარა გვყავს ქართული ენის ახმამტკბილებელი, მისი ამაყვავილებელი და გამაფაქიზებელი; აღარა გვყავს ქართველი ერის აღმზრდელი და მისი ჭეშმარიტი მამა — იაკობ გოგებაშვილი!..

მაგრამ ამას რას ვამბობ... განა იაკობისთანა პიროვნებანი კვდებიან; განა ასეთი მნათობები ჰქრებიან?!

არა, არა და ათასჯერ არა!..

იაკობის წმინდა, უმწიკვლო და უზადო სული, დღეს უფრო გაბრწყინებული და გაცხოველებული მისი სახე მზესავით დაჰნათის თავის დაჩაგრულ ერს; მისი ცოცხალი სურათი ფარვანასავით თავს ევლება მშობელ ხალხს და ანათებს მისი ცხოვრების ეკლიან გზას.

არა, არ მომკვდარა და არც მოკვდება იაკობ გოგებაშვილი, არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომკვდარა და არც მოკვდება ჩვენი დედა-ენის სულის ჩამდგმელი; არ მოკვდება ჩვენი ბუნების კარის გამღები; კვლავ ცოცხალია და იცოცხლებს საუცხოვო თაიგულების კონათ შემკვრელი, ტურფა მარგალიტების კუნწულათ ამკუნძლავი, ხალხის გულის კოკორი გრძნობების გადამფურჩქვნელი...

ცოცხალია და იცოცხლებს კიდეც იაკობ გოგებაშვილი, სანამ ქართველი ერის გული სცემს, სანამ ქვეყანაზე იქნება მისი სახსენებელი.

და... მართლაც მკვდრები არიან მხოლოთ ისინი, ვინც ქართულ ენას უცხო ენით იცავენ; სატირლები და სავალალონი არიან ისინი, ვინც ქართველობის გადაშენებას უცხო ენით ამტკიცებენ; ცოცხალ ლეშებს წარმოადგენენ ყველა ისინი, ვისაც თავი მოაქვს უცხო ენის კარგი ცოდნით და... დედა-ენის დავიწყებით, მისი უცოდინარობით. სულით ღატაკნი და დაჩიავებულები არიან ყველა ისინი, ვისაც თავი მოსწონს... თავისი ღამურობით, არც აქეთ, არც იქითობით; სულით-ხორციანათ დაკნინებულია ის, ვინც ველარა გრძნობს თავის ასეთს დამახინჯებას და გადაგვარება-გადაშენებას, ვიტყვი — მეტს, საზიზღარია თავისი თავის უარის-მყოფელი, თავისი თავის ჯალათი, დასაგმობია თავის ბუნების მგმობელი...

მდაბიო ხალხის საღ გულიდან გამოსული და იმავ ხალხის გულშივე ღრმათ ჩამარხული იაკობი კი ბრწყინვალეა ვით მზე, რომელიც ახლა უფრო თვალსა სჭრის ღამურეებს, წმინდაა ვით მთის ნაპრალიდან მჩქეფარე ნაკადული, რომელიც რეცხავს, ასუფთავებს და აშუშებს ეროვნულ წყლულებს, და უკვდავია, უკვდავი ვით ნეტარი ბუნება, რომლის კანონებსაც ის იცავდა თავისი მშობელი ხალხის აღზრდის საქმეში.

მთელი თავისი სიცოცხლე იაკობი თავს დასტრიალებდა დედა-ენას, რადგანაც კარგათ იცოდა, რომ ერის კეთილდღეობის სათავე მისი ენის აყვავება-განვითარებაში იმარხებოდა; და, აი, ამიტომაც ის თავგამოდებით იბრძოდა დედა ენისთვის, იცავდა მას ზედ-მოსეული შინაური და გარეული მტრებისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ დიდებული ეროვნული მისიისათვის მას ერთი წამითაც არ ულალატნია, ამ ავის წინ ქედი მონურად არ მოუხრია.

ვის არ უწვდიდა იაკობი თავის მადლიან ხელს; რომელ საზოგადოებრივ საქმეს არ ეხმარებოდა ის; ვინ იცის, რამდენი სულ-გამწარებული ადამიანი არ დაუხსნია მას მწარე გაჭირვებისაგან; ვინ მოსთვლის რამდენი სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი და უფსკრულის პირათ გაწრიოკებულ ბეწვით გადაკიდებული ადამიანი გამოუგლეჯია მას სიკვდილის პირიდან და ფეხზე დაუყენებია. და აი შენ, დიდებულ ნეშთთან საქვეყნოდ ვაღიარებ, რომ ერთი ასეთ პირთაგანი ვარ მეც.

კვლავ კიდევ გმადლობთ, გმადლობთ, ჩემო მხსნელო, ჩემო სულის ჩამდგმელო იაკობ, რომ თქვენი ღირსეული ძმისწულის შალვას, ხელით სწავლისაკენ გზა გამიკაფეთ და სხვებთან ერთად მეც მანუგეშეთ...

და აი ასეთი სასიქადულო, საქვეყნო ღვაწლით და ეროვნული გათვითცნობიერებისათვის ბრძოლით იაკობმა უღრმესი სიყვარული და უაღრესი პატივისცემა დაიმსახურა.

რას გვეუბნება იაკობი მთელი თავისი დიდებული ღვაწლით, მთელი თავისი სიცოცხლით, დედაენასთან ერთად სხვას რას გვასწავლის ის?!..

„განათლდი, ქართველო ერო, და იცან თავი შენი", აი მოკლეთ მთელი მისი სიცოცხლის და მოღვაწეობის დედააზრი.

და ვისაც კი გულწრფელათ უნდა ამ დიდებული განსვენებულის პატივისცემა, ვისაც უნდა თავისი თავის და მშობელი ერის ღირსეულათ დაფასება, მან მიჰბაძოს, მიჰბაძოს იაკობს, მიჰბაძოს თავის დიდებულს აღმზრდელს და განაგრძოს მისი საქმე... და ეს იქმნება უაღრესი ჯილდო იაკობისათვის.

მაშ, ყველამ შევფიცოთ იაკობის თბილ საფლავს, რომ ჩვენ დავიცავთ ჩვენ ეროვნულ თვითარსებობას, არ დავივიწყებთ მის ტკბილ დედაენას და მით არ დავანგრევთ იმ საძირკველს, რომელზედაც შენდებიან ეროვნული კეთილდღეობის კედლები...

ღრმათ პატივცემულო იაკობ! აბა, ერთი წამოიხედეთ და თვალი გადაავლეთ თქვენს გარშემო მოზღვავებულს და აზვირთებულს ქართველობას! მშვიდათ განისვენეთ იაკობ, რადგანაც შენი თვალით ხედავთ, რომ შენმა სიკვდილმა უკვდავ გყოთ, რომ ამ ხნათ აბუჩად აგდებული თქვენი საყვარელი დედა-ენა ქართველებსაც შეაყვარა, აამაღლა, განასპეტაკა; თქვენმა სიცოცხლემ და ამ უკანასკნელმა გამოთხოვებამ ქართველი ერის გათვითცნობიერებას და თვით გამორკვევას ღრმა საძირკველი ჩაუყარეს და, აი, ეს არის ის ხელთუქმნელი, სამუდამო და დიდებული გვირგვინი, რომელიც თქვენს სახელს სამუდამოთ თავს დაედგა.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, მშობელი ერის აღმზრდელო და ჭეშმარიტო მამავ, იაკობ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშას, ჩემ საყვარელ კაი გოგის, ჩემ კარგ ელენეს და პაწია მოლექსე ეთერას

სალამი და კოცნა!

თქვენი წერილები მივიღე, მეტათ საყურადღებო და თავ-ზარ-დამცემი, განსაკუთრებით ჩემი კაი გოგის, ჩემი საყვარელი განგალას და საშას ავადმყოფობამ თავში დამკრა, წელში გამლუნა, ათის წლით დამაბერა.

მაგრამ რა გაეწყობა! ბიბლიური იობისავით კვლავ მოთმენა, უბედურებათა მთელი რიგის კვლავ ატანა და გადატანა.

კვლავ ბევრი, ბევრი ვიფიქრე, კვლავ უძილო ღამეები ვათენე, ჩემ თავს და გულს ვებრძოლე, მაგრამ არ იქნა, მაინც ვერ დავსძლიე, აზრი, წინაგრძნობა, უბრალო გათვალისწინება მომავლის, მთელი ჩემი ბუნება, სულიერი აგებულება მაინც კვლავ წინა-აღმდეგია წამოსვლისა.

და მართლაც, რომ სიკვდილი მირჩევნია ასეთ დაჟინებულ, გაჯიუტებულ ძალდატანების გავლენით მანდ წამოსვლასა და თანაც იმ გართულებულ პირობებში და იმ სამარცხვინო პირობებით, რომლებშიც მომიხდება წამოსვლა.

ერთი ასეთი პირობათაგანი ჟორდანია-რამიშვილის ბრძოლის ხაზის დაგმობაა, რასაც მე, ცხადია, არ ჩავიდენ. შინ, პარტიულ ოჯახში, შეიძლება მე ეს ხაზი არ გავიზიარო, მას ვებრძოლო, ვეწინააღმდეგო, მაგრამ საქვეყნოდ კი ის არ დავგმო, რადგანაც ადრე დასაგმობია ის პირობები, მიზეზები და სხვა, რამაც და რომლებმაც ჟორდანია-რამიშვილი და ქართველი ხალხის საგრძნობი ნაწილი ან საბედისწერო ბრძოლის ხაზზე დააყენა...

მეცა ვგრძნობ ჩემს თავს ერთ ცოტათ თუ ბევრათ გარკვეულ ქართველ ადამიანათ და, როგორც ასეთს, ასე მალაპარაკებს და მამოქმედებს ქართველი ხალხის, მაშასადამე ჩემიც, თქვენიც და თვით ჩემი ყოფილი ამხანაგების და მეგობრების სწორათ გაგებული სასიცოცხლო ინტერესები.

ხაზი დრო-გამოშვებითი აჯანყებებისა დამლუპავია ქართველი ერისათვის. ჩემის აზრით, დედა-მიწის ზურგზე არ არის მეორე პატარა ერი, ისეთ რთულ და მძიმე პირობებში მოქცეული, როგორცაა ქართველი ერი, რომელსაც განსაკუთრებითი, ხანგრძლივი მშვიდობიანობა ესაჭიროება.

მაგრამ მისი ტრაგედია ისაა, რომ ნამდვილი, რეალური მშვიდობიანი ცხოვრება მას მხოლოთ შელავათიან თავისუფალ პირობებში ეღირსება...

საქართველო უპირველესად ყოვლისა ქართველებისთვის და არა კალიასავით შემოსეულ უცხო პარაზიტული ელემენტებისათვის.

დროებითი სამსახურები და შიმშილისაგან დაჭლექება-დაავადმყოფება ქართველებს, რომლებსაც ბაღებს, ქარხნებს და სხვას უშენებენ სახელისათვის, ხოლო სახრავისათვის მუდმივი, მკვიდრი და მაძღარი ადგილები შეიარაღებულ უცხოელებს...

„ჩათრევას ჩაყოლა სჯობიანო" ეს ანდაზა ჩემზე არ ახდება, არ გამართლდება; და რომ გამართლდეს კიდეც, ამით არსებითად მათი საქმე მაინც არ გამოსწორდება, მათი, ვისაც ცხოვრების ულმობელი ლოღიკა წლითი წლობით მაინც ითრევს და, თუ არ ჩაჰყვებიან, ჩაითრევიან...

გამოფხიზლების ხანა დადგება; და ყველასათვის, და მათთვისაც მეტად მწვავე საგრძნობი შეიქმნება სიტყვები: „სამშობლო, ქართველი მშობელი ერი"...

და ჩემო კარგო ელენე, საქმის არსებითად გამოსასწორებლად არა ჩემი შერიგება, არამეთ მათი შერიგება-მორიგება აი, ამ მომავალ ცხოვრებასთან, ქართველ ხალხთან და მის ნამდვილ წარმომადგენლებთან. ამას მოითხოვს ის გარდუვალი, ისტორიული აუცილებლობა, ის სწორად გაგებული მარქსიზმი, ისტორიული მატერიალიზმი, რომელსაც ამ ოცდა თხუთმეტი წლის წინათ სემინარიაში ახალგაზრდული გატაცებით ვსწავლობდით ჩემ ყოფილ საუკეთესო მეგობრებთან ერთად, ახლა რომ დიდ ისრორიულ როლს თამაშობენ, როლს, რომელსაც ბოლოს და ბოლოს „ნეპის"

კარებით შემოჭრილი ახალი ეკონომიური ცხოვრების რკინის კანონები განაგებენ და გინდა არ გინდა მაინც დათმობისაკენ, დამორჩილებისაკენ მიაქანებენ...

და თანდითან ცხადი ხდება ის შეცდომები, მიუტევებელი შეცდომები, რომლებიც იქმნა ჩადენილი, და რომელმაც უამრავი მსხვერპლი შეიწირა. მათ შორის ვართ ჩვენც დაავადმყოფებულნი, დამშეულნი...

მაგრამ საშა, ყოველი ავადმყოფობა სიკვდილს არ იწვევს. ნუ შეშინებულხარ; შიშიც ვერ იხსნის... მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ წერილის მიღებისას ჯანსაღათ იქნები. შენ სურვილსაც ავასრულებ, როცა საამისო პირობები დადგება. ახლავე კი გეტყვი, რომ შენ მართლაც იყავი და ხარ ნამდვილი ქართველი, თავდადებული მეუღლე და დედა. საქართველოს ასეთი ქალები ინახავდნენ და ამშვენებდნენ ძველათაც და ახლაც.

ავადმყოფი მეც ვიყავ და ძალიანაც და ცოტა ახლაცა ვარ. შეიძლება კვლავ კიდევ დამჭირდეს ოპერაცია. ამიტომაც იმ პროფესორებს თავს ვერ დავანებებ, რომლებმაც სიკვდილისგან დამიხსნეს.

ამასთანავე ყველაზე უკეთესად უვლიან და არჩენენ აქ ტუბერ-კულიოზს; ბევრი ამხანაგი მორჩა აქ ამ ავადმყოფობისაგან. მანდ რომ ვიყო, გოგიას გულისათვის აქ უნდა წამოვიდეთ.

ამიტომაც ერთად ერთი გამოსავალიღა დაგვრჩენია. თქვენი ყველას აქ წამოსვლა. ნელ-ნელა, აუჩქარებლათ, უკეთეს ფასებში გაყიდეთ ყველაფერი, სულყველაფერი, რაც გაბადიათ და რაც გაიყიდება და შემოდგომისათვის, თუ ადრე ვერა, წამოდით. თქვენი მოვლა-პატრონობა ჩემს კისერზე იყოს. გაჭირვებამ ისეთი ვაჭარი ჩამომაყალიბა, რომ ურიებს ისევე ყოფას უტირებ, როგორც ჩემმა ყოფილმა, თანშეზრდილმა მეგობარმა... სულ ცარიელებიც რომ ჩამოხვიდეთ, არც მაგისი მეშინია; ამ შემთხვევისთვისაც მე ვკისრულობ პასუხისმგებლობას თქვენ წინაშე.

თუ გოგია უფრო დამიავადმყოფდება ისე, რომ აღარ მეყოლება,

ოხრათაც დარჩენილა მამულიც და სხვა ქონებაც. ამიტომაც სულ მალე გაყიდეთ მამულიც, თუ ამისი უფლება ან საშუალება გაქვთ. ბევრ დროს ნულარ დაკარგავთ უნაყოფო მიწერ-მოწერაში. ამ წერილის მიღებისთანავე გადაწყვიტეთ ან ასე, ან ისე და შეუდექით საქმეს. მართალია, მამაჩემი საფლავში გადატრიალდება, რომ მისი ვენახი გაიყიდოს, მაგრამ საყვარელი გოგიასათვის ამ მსხვერპლს ისაც კი გაიღებდა. თანაც დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ანაღები და აქ მოტანილი თანხა თუ გაორკეცდება — გასამკეცდება, თორემ არ გაიფლანგება. მამულის ყიდვა მომავალშიც შეგვეძლება, როცა საამისო პირობები დაგვიდგება.

ამ წერილით და თქვენი საშუალებით ჩემ ამხანაგებს თუ ასე ვსთქვათ, მეგობრებს უმორჩილესათა ვსთხოვ როგორც გაყიდვაში, ისე წამოსასვლელ ვიზების აღებაში დაგვეხმარონ.

აი, დარჩენილი ერთადერთიღა გამოსავალი.

ჰო და მაშ ასე; თუ ჩემი ამხანაგ-მეგობრები დიდ სიკეთესაც მიზავენ, რის იმედიცა მაქვს, დიდი მადლობელი ვიქნები. სხვაფრივ კი ნულარ შეწუხდებიან ნურც ისინი და ნურც თქვენ.

გულითადი მოკითხვა, ვისაც ვახსოვარ, ვინცა მკითხულობს. წერილი მოიწერეთ.

P.S. ეს წერილიც გააცანით, ვისაც ჯერ არს.

სოსო ირემაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

...„მართალია, სიცოცხლე თქვენზე ათასათ მე მაქვს აქ გამწარებული, მაგრამ ჯერ-ჯერობით თავი ისე მაინც არ მომძულებია, რომ ან კარლო ჩხეიძესავით გავათავო, ან კვლავ საფრთხეში ჩავაგდო... ტეტიურათ თავ-აღებული წამოსვლა და მანდ მონური და ლაჩრული არსებობა და ცხოვრებაც ვერ დამიხსნის, რადგანაც ყოველივე ნდობა ჩემსა და თვით საუკეთესო პასუხისმგებელ პირთა შორის დაკარგულია . .ვაპირებდი წამოსვლას ავადმყოფი, შარშან შემოდგომაზე, და ის დამემუქრა, ვისგანაც სრულიად არ მოველოდი; რა მოვსთხოვო სხვას? . .

..საკვირველია, რომ დარწმუნებული ხართ, რომ აღარავითარი საფრთხე და განსაცდელი აღარ მელის. მე კი დარწმუნებული ვარ სულ საწინააღმდეგოში და ვერც თქვენ და ვერც სხვა ვინმე ვერ დამარწმუნებს ჩემს მანდ უშიშარ, უზრუნველ ცხოვრებაში. ამის პირობას, ამის გარანტიას ვერავინ მომცემს და არც მომცემს..

არამც თუ ისინი აღარ მენდობიან, ვინც უნდა მენდვნენ, თვით მე არ ვენდობი საკუთარ თავს . .მეორედ ველარ დავიბადები, ველარც ისე ადვილად გადავკეთდები, გადავგვარდები, რაც ვარ ესა ვარ, ეს ვიქნები, ამათ დავრჩები, ასე ჩავალ სამარეში. ერთხელ ვეცადე და ვცადე, როცა წამოსვლა მინდოდა და პირველ ნაბიჯზედვე კისერი კინაღამ მოვიტეხე, — ისე ვერ გამომივიდა, როგორც უნდოდათ . .მოკლეთ, მე არსებითად არ შემიძლიან ერთი ვიფიქრო, მეორე ვილაპარაკო, ვიფარისევლო, ვითაღლითო. დიპლომატი, „გამოსუქინსინებული" არცა ვყოფილვარ და ვერც ვიქნები.. ასე ვარ აშენებული, ასე ვარ ჩამოყალიბებული...

ჩემი პირდაპირობით და გულწრფელობით ყოველთვის ნდობას ვიმსახურებდი და ახლაც მინდა და თქვენც და ყოფილი მეგო-

ბრები, დღეს მთავრობის წარმომადგენლები, მენდვნენ იმაში, და იმდენათ, რა პირობებზედაც შემიძლია, განსაკუთრებით თქვენთვის, დათანხმება. თუ კომპრომისი, ურთიერთშორის დათმობები არ მოხდა, მდგომარეობა ისევ არსებული დარჩება.. მე აქაც ვუთხარ მთავრობის წარმომადგენელს და კვლავ ვიმეორებ, რომ მე ჩემს მხრივ ვიძლევი პატიოსან სიტყვას და ხელსაც მოვაწერ, რომ პოლიტიკას შეგნებულათ თავი დავანებო, რადგანაც არსებული მდგომარეობის გახანგრძლივებისა გამო, მართლაც აზრი ეკარგება და თანდათან მავნებელიც კი ხდება განსაკუთრებით ის ბრძოლის ხაზი, რომელსაც ჟორდანია-რამიშვილი აწარმოებდნენ და, სამწუხაროდ კვლავ აწარმოებენ. . .

არც აქეთ, არც იქით, მინდა არავის ბრმა იარაღათ არ გადვიქცე, ვიყო ჩემთვის. აი, შეგნებულათ იმ დათმობის მოხდენა, რომელიც მე შემიძლია. და ამას ჩავიდენ იმ შემთხვევაში და იმ პირობით, თუ მე აქ, ბერლინში, სავაჭრო კოოპერატიულ წარმომადგენლობაში მომცემენ სამსახურს.

თუ ამ პირობაზე ყოფილი მეგობრები და მთავრობის წევრები შევთანხმდებით, მე საშუალება მომეცემა თქვენ, ყველანი, აქ, ჩემთან, ჩამოხვიდეთ და აქ საუკეთესო სწავლა-აღზრდა მივაღებინო შვილებს. აქ ასობით ქართული ოჯახია და მათ შორის ჩვენც ვიქნებით..

თუ მართლა ქვეყნისათვის და ხალხისათვის კარგი უნდათ, თუ მართლა ხალხის კეთილდღეობისათვის იღვწიან, თუ ახალი ქვეყნის, კარგი ქვეყნის აშენება უნდათ, ახლა მაინც, ამდენი უბედური წლების შემდეგ, დათანხმდებიან ამ პირობაზე. არადა, მე კვლავ ჩემთვის, ისინი — თავისთვის. . . . მომავალი მაინც ბურუსითაა მოცული და ვის რას უქადის, არავინ იცის. ვინ იცის, დღეს წაქცეული, იქნებ ფეხზე წამოვდგე და ვისმეს კვლავ დავჭირდე. მე ადამიანურად, კაცური კაცობით გადავუხდი...

კიდევ ბევრის მოწერა შეიძლებოდა, მაგრამ ესეც კმარა. გწერთ პირდაპირ, გულ-ახდილათ, დაუფარავათ. ამას მაიძულებთ თქვენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი მრავალ-ტანჯული სურათი, რომელსაც ცოცხლათ უნდა ხედავდნენ ჩემი ყოფილი მეგობრებიც, მთელი კაცობრიობისათვის ბედნიერება რომ უნდათ. .

თუ მათ სიტყვასა და საქმეს შუა კვლავ დიდი ზღვარი მართლაც აღარ არის, თუ საშინელი ვნებათა ღელვის უბედური წლები წარსულს ეკუთვნის და მშვიდობიანი, მკვიდრი, სტაბილური მდგომარეობა უნდათ, არა მარტო მე, ბევრ სხვა ჩემისთანასაც გაუშელავათებენ მდგომარეობას, რითაც მხოლოდ მოიგებენ, არას წააგებენ.

ეს წერილი უჩვენეთ, წააკითხეთ მთავრობის წარმომადგენლებს, რომელთა შორის გერმანე მგალობლიშვილიცა ყოფილა, როგორც ეს აქ ლიზა ჩერქეზიშვილმა გადმომცა. გადასცემთ მოკითხვასაც და სთხოვთ რჩევასაც; პასუხი ან თქვენ ან თვითონ მაცნობონ.

მის მეტს და ამაზე მეტს აღარას გწერთ, თუმცა ბევრის მოწერა შეიძლებოდა. მგონი საკმარისია თქვენთვისაც, სხვისთვისაც, მათთვისაც...

იოსებ ირემაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყვარელო დაო ანეტავ!..

შენმა გარდაცვალებამ გული მწვავეთ მატკინა, სული გამიმწარა. განსაკუთრებული სიცხოველით თვალწინ დამიდგა შენი გაცრეცილი სახის სურათი, თბილისის ახლო სადგურთან რომ ლოგინი გადმომეცი.

დაო ამნეტავ, სიღარიბე-სიღატაკეში და ამის გამო სიმწარეში გაატარე შენი სიცოცხლე, მაგრამ მოსიყვარულე, დური გული და სული იყავ, ყველა ჩვენთვის თავდადებული, თავ-განწირული...

ამიტომაცა გთხოვ, დაო, მაპატივო ყველაფერი, რაც შენ სიცოცხლეში ნებსით თუ უნებლიეთ გაწყენინე. ვიცი, დაო, ანეტავ, რომ სულთამბრძავი შენ მაინც კვლავ ცოცხლებზე ფიქრობდი, ზრუნავდი!.. ეს იყო შენი სიცოცხლე და ასევე იქნები შენ უკვდავი მიცვალებულიც.

დაო, შენთვის ჩაგვიბარებია მარუსაც, ელენეც და სხვანიც... კვლავ შენებურათ მოუარე, იზრუნე. ჩვენი კატოც, ჩვენი ვაჟკაცური და, დაგეხმარება. საყვარელი ჩვენი დედ-მამაც ხომ მანდ არიან, დაო. ჩვენც მოვალთ, ჩვენც მოვალთ და კვლავ ყველანი ერთად ვიქნებით, გაერთიანებულნი სულნი, უკვდავნი სამარადისოთ. მანამ კი მშვიდათ განისვენე, დაო.

შენი გაუბედურებული ძმა იოსებ ირემაშვილი.

საყვარელო, კარგო შვილო ელენე!

თავზე მეხი რომ დამცემოდა და აქ უცხო მიწაში თან ჩავეტანე, ან შარშან ავადმყოფობისას რომ მე გამოვსალმებოდი ამ გამწარებულ და აძაღლებულ სიცოცხლეს, — ბევრათა სჯობდა შენს ასე უდროოთ სამარეში ჩასვლას ჩემ საყვარელ და დაუვიწყარ მარუსას გვერდით!..

შვილო, ისედაც გამწარებული სიცოცხლე რად გამიშხამე, ჩემო იმედო და სასოებავ, რად მიღალატე, ფთები რად დამალეწე!.. სიცოცხლე რად გამინახევრე?..

შვილო, ბუნების და განგების წესს რად გადაუხვიე, რატომ მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უნდა დამიტირო ჩემმა კარგმა ელენემ?!.. რატომ მე უნდა ვქვითინებდე და მოკლებული რატომ უნდა ვიყვე „ბედნიერებას" ჩემი საყვარელი ელენეს საფლავზე დატირებისა!..

შვილო, თვალი ვერ გამისწორებია შენი სურათისათვისათვის, შენგნით გამოგზავნილი დამჭკნარი ყვავილისათვის!..

შვილო, ნუგეშათ დამრჩა... შენი ლამაზი, გრძნობით აღსავსე წერილები!..

შვილო, წერილებს არა გწერდით. არა უსიყვარულობისა, არამედ დიდი სიყვარულისა და მშობლიური სიფრთხილისა გამო!.. არ მინდოდა და არ მინდა, რომ ჩემ გამო თქვენ რამე დაგშავებოდათ, ან დაგიშავდეთ! აი, სწორეთ ამიტომაც მინდოდა... თვით გაყრაც კი!.. მდგომარეიბა გვაიძულებდა!..

მაგრამ... ოჯახი და ისიც ქართველი ოჯახი სხვა რამ უძლიერესი ყოფილა... სულით, სისხლით შედუღებული, გაერთიანებული!..

შვილო, თქვენ ორნი დანი მანდ ერთადა ხართ; ჩვენ კი დროებით აქ, ზევით, დედამიწაზე!..

მაგრამ, უკვდავი, უძლიერესი სულით მაინც გაერთიანებული ვართ... მიცვალებულნი ცოცხლების და ცოცხლები მიცვალებულნის, — და არა მკვდრების, — სანუგეშებლათ!..

შვილო, ნუ იდარდებთ!.. ჩვენც მანდ მოვალთ; მარტოკებს არ დაგტოვებთ!..

შვილო, ჩემი ფიქრი, აზრი, გული და სული მაინც თქვენთან იქნება, გინდაც აქ უცხოეთში რომ ჩავყარო წამებული ძვლები!..

განისვენე, წყნარათ, მშვიდათ განისვენე ჩემო გულო, სულო ელენევ... ჩემ მარუსას გვერდით!..

საუკუნოთ უკვდავი იყოს თქვენი ანგელოზური სული და სახსენებელი!..

შენგნით გულმოკლული და გაუბედურებული მშობელი იოსებ ირემაშვილი.

ბერლინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნობი ირემაშვილი

იოსებ ირემაშვილის წინაპრები სამღვდელო პირები ყოფილან. ისტორიულ საბუთებში, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, მოიხსენიება იოსების წინაპარი, დეკანოზი პართენი, რომელიც რუისსა და ურბნისში მოღვაწეობდა. ჩანს, სწორედ ამიტომ აირჩია ფსევდონიმად იოსებ ირემაშვილმა „პართენაშვილი". დეკანოზ პართენის შვილი, სტეფანეც, სამღვდელო პირი იყო. სტეფანეს შვილი, გიორგი ირემაშვილი, იოსებ ირემაშვილის მამა, ურბნისის ეკლესიაში ჯერ მთავადიაკონი ყოფილა, შემდეგ კი მღვდლად უკურთხებიათ (ირემაშვილების შთამომავლებს დღესაც „მთავრიაანთ"- ით მოიხსენიებენ).

სწორედ ურბნისში დაბადებულა იოსებ (სოსო) ირემაშვილი 1879 წელს. დედა — მარიამ კოპაძე, ღვთისმოსავი ქალი იყო. იოსებს ჰყავდა ორი და და ორი ძმა. უმცროსი ძმა, ვასო ირემაშვილი, შემდგომში გორში ცნობილი ადამიანი, წერილებს აქვეყნებდა მაშინდელ ქართულ პრესაში. ვასო 1937 წელს დახვრიტეს.

მშობლებს პატარა სოსო გორის სასულიერო სემინარიაში შეუყვანიათ. ამ სემინარიაში შეიყვანეს იოსებ ჯუღაშვილიც; აქ დაუმეგობრდა პატარა სოსო მეორე სოსოს, მომავალ სტალინს. ისინი თურმე ხშირად მიდიოდნენ ურბნისში და ეკლესიაში გალობდნენ.

გორის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ სოსოები თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხნენ. აქ ეზიარნენ ახალ პოლიტიკურ იდეებს, ერთხანს ერთად ებრძოდნენ მეფის ხელისუფლებას. ერთხელ სოსო ირემაშვილს თავისი ბავშვობის მეგობარი ყაზბეგის რაიონის ერთ სოფელში თივის ზვინში დაუმალავს და ასე გადაურჩენია.

შემდეგ მეგობრები ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩდნენ ...ამის შესახებ წერს იოსებ ირემაშვილი თავის წიგნში „სტალინი და საქართველოს ტრაგედია".

1911 წელს, როგორც განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდა (თუმცა ამ დროს ოცდაათ წელს იყო გადაცილებული და ცოლ-შვილიც ჰყავდა), უკვე სასულიერო სემინარიის მასწავლებელი, იოსებ ირემაშვილი, იაკობ გოგებაშვილს თავისი ხარჯით კიევში გაუგზავნია სასწავლებლად. კიევში დაუახლოვდა იოსები აკაკი წერეთელს, რომელმაც მისი ვაჟი, გიორგი, მონათლა (არ არის გამორიცხული, რომ აკაკი წერეთელს ი. ირემაშვილი უფრო ადრეც იცნობდა, აკაკი წერეთლისადმი მიწერილ წერილში ჩანს, რომ 1912 წელს სალიტერატურო საღამოში მონაწილეობის მისაღებად აკაკის მოწვევა სწორედ იოსებ ირემაშვილისთვის უთხოვიათ). კიევში იოსებს თან წაუყვანია ცოლ-შვილი და უმცროსი ძმა ვასო. მის ოჯახში იკრიბებოდნენ ქართველი სტუდენტები, რომლებიც იმ დროს კიევში სწავლობდნენ. სტუდენტებს დიდად შეეწეოდა ვინმე ლოსაბერიძე, კიეველი კომერსანტი. იოსებ ირემაშვილმა დაამთავრა კიევის კომერციული ინსტიტუტი.

საქართველოში დაბრუნებისთანვე იოსები აქტიურად ჩაერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. როგორც წიგნიდან ჩანს, იოსებ ირემაშვილი სხვადასხვა დროს იყო მენშევიკური მთავრობის წევრი, დეპუტატი, დუშეთის კომისარი.

1921 წელს, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, იოსებ ირემაშვილი სხვებთან ერთად დააპატიმრეს, 1922 წლის შემოდგომაზე კი 62 პოლიტპატიმართან ერთად გერმანიაში გადაასახლეს.

მართალია, სოსო ირემაშვილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთის წარმომადგენელი იყო, მაგრამ მას „ნაციონალისტ-უკლონისტად" მოიხსენიებენ სტალინის ბიოგრაფიით დაინტერესებული ავტორები. საგულისხმოა, რომ სტალინის ყველა ბიოგრაფს ირემაშვილის წიგნი სანდო წყაროდ მიაჩნია და ხშირად იყენებს მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ ირემაშვილის ოჯახი

იოსებ ირემაშვილმა ცოლად შეირთო ხიდისთაველი ალექსანდრა (საშა) ამბრიაშვილი. მათ შეეძინათ ხუთი შვილი. ორი მათგანი: მარიამი და რომანოზი ადრეულ ასაკში გარდაიცვალნენ, მარიამი 15 წლისა, რომანი — 3 წლისა. მამის გადასახლების შემდეგ ოჯახში დარჩა სამი შვილი: უფროსი ვაჟი, გორგი, 14 წლისა, ქალიშვილები: ელენე — 11 წლისა და — ეთერი, წლინახევრისა. ოჯახი უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდა. ძალიან ხშირად სტალინის დედა, კეკე, ეხმარებოდათ თურმე, — ან პატარა ეთერი მიჰყავდათ მასთან და დასაჩუქრებულს უშვებდა სახლში, ან მისი გამოგზავნილი სურსათი ურიკით მოჰქონდათ ირემაშვილებთან.

ერთ ხანს სოფლის იმედად იყვნენ, იქ მამაპაპისეული მიწა (მამული) ჰქონდათ და მოწეული ხილი თუ ბოსტნეული საარსებოდ ასე თუ ისე ჰყოფნიდათ. გოგი არ თაკილობდა და მშენებლობაზე მუშაობდა მუშად. შემდეგ სწავლას მოჰკიდა ხელი და სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა.

მალე ჩამოართვეს ნაკვეთების დიდი ნაწილი, რაც დარჩათ, ისიც გაყიდეს.

1935 წელს ოჯახს ახალი უბედურება დაატყდა თავს: ელენე მშობიარობას გადაჰყვა; ეს ველარ გადაიტანა ორი შვილისა და მეუღლის დამკარგავმა დედამ და დამბლა დაეცა. საშა ამბრიაშვილი 1942 წელს გარდაიცვალა.

მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს გოგი. იგი ექიმად მუშაობდა ფრონტის წინა ხაზზე და მრავალ ჯარისკაცს შეუნარჩუნა სიცოცხლე. ბოლოს კიევის ფრონტზე იყო ქირურგად (ამ ქალაქს უკავშირდება ირემაშვილების ოჯახის ცხოვრების საუკეთესო წლები), სამჯერ დაიჭრა, ისევ ფრონტის ხაზს დაუბრუნდა. სახლში მას ხუთი უმწეო ქალი ელოდა: უმცროსი და ეთერი, მეუღლე ნინო და სამი მცირეწლოვანი ქალიშვილი. ამიტომ ეთერმა სტალინს მისწერა ასეთი შინაარსის წერილი: „მე თქვენი ბავშვობის მეგობრის, იოსებ ირემაშვილის, ქალიშვილი ვარ. ჩემი ძმა უკვე სამ წელზე მეტია ფრონტზეა, სამჯერ დაიჭრა. გთხოვთ,

ძია სტალინ, გამოუშვით ჩემი ძმა სახლში, მან ვალი უკვე მოიხადა სამშობლოს წინაშე". შემდეგ გიორგი ასე იხსენებდა თავის განთავისუფლებას: „მთელი პოლკი გაგვამწკრივეს და გვითხრეს, რომ სტალინის საგანგებო ბრძანებას წაგვიკითხავდნენ, ყველა სულმოუთქმელად ელოდა ბრძანების წაკითხვას. ყურებს არ დავუჯერე, — უცებ ჩემი გვარი წაიკითხეს: ირემაშვილო, სამი ნაბიჯით წინ! გაოგნებულმა გადავდგი სამი ნაბიჯი. გაისმა მჭექარე ხმა: „სტალინის ბრძანებით გამოგეცხადათ მადლობა, თქვენ უკვე მოიხადეთ ვალი სამშობლოს წინაშე და შინ დაბრუნების უფლება მოგეცათ"; „ვაშა" — ქუხდა ჯარი. ასე დავბრუნდი სახლში."

გიორგი ირემაშვილმა შექმნა შესანიშანავი ოჯახი, მას და მის მეუღლეს, ნინოს, ჰყავდათ სამი ქალიშვილი: ორი უფროსი — თამარი (ჟუჟუნა) და ციალა, მეცნიერებათა კანდიდატები და უმცროსი ნელი, — ულამაზესი და უნიჭიერესი პიანისტი, კონსერვატორიის ლექტორი.

ეთერ ირემაშვილი სხვადასხვა დროს რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, იყო 57-ე საშ. სკოლის დირექტორის მოადგილე. მან შეუსრულა მამას დაპირება (1939 წელს მამამ წერილი გამოუგზავნა და სთხოვა: ისეთ ქართველს გაჰყევი ცოლად, რომ სამშობლო უყვარდეს და კარგ ქართულ ოჯახს შექმნითო) და ცოლად გაჰყვა მართლაც არაჩვეულებრივ ქართველ ვაჟკაცს, იოსებ (გიგლა) კუხიანიძეს, საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს. მათ შეეძინათ სამი შვილი: უფროსი ავთანდილი, (ინჟინერი), და ორი მომდევნო ქალიშვილი: დარეჯანი, მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, — ფესტივალ „ჩვენებურების" კოორდინატორი და ერთ-ერთი დამფუძნებელი, და ივდითი — ჟურნალისტი, ფილოლოგი.

იოსებ ირემაშვილის შვილები აღარ არიან ცოცხლები. გიორგი 1985 წელს გარდაიცვალა, ეთერი — 1993 წელს. მისი ბოლო ჩანაწერი ასე იწყებოდა: „ჯერ არ მინდა მოვკვდე, მინდა მოვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრო ჩემი სამშობლოს მკვდრეთით აღდგომას".

სოსო ირემაშვილის შვილიშვილები ახლაც თბილისში ცხოვრობენ და აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევიან.

ოჯახის წევრთა მოგონებებიდან;

საშა (ალექსანდრა) ამბრიაშვილი—ირემაშვილისა: სოსოს ბევრი მეგობარი ჰყავდა; განსაკუთრებით მინდა გავიხსენო ალიოშა სვანიძე (სტალინის ცოლის ძმა-რედ.), ლადო ახმეტელი, ივ. გომართელი, მარიჯანი,ზაქარია ფალიაშვილი. სოსოს უყვარდა მუსიკა. კარგად მღეროდა, უკრავდა. ზაქარიამ იცოდა ამის შესახებ და შესთავზა, პიანინო ეყიდა. მართლაც, ერთად წავიდნენ ინსტრუმენტის საყიდლად; ზაქარიამ შეურჩია „კელერის" ფირმის პიანინო და ყიდვაშიც დაეხმარა (ეს პიანინო დღესაც დგას ეთერ ირემაშვილის ოჯახში-რედ.).

სტალინი ჩვენი მეჯვარე იყო; კეკე ხშირად მოდიოდა ჩვენთან და საოჯახო საქმეებში მეხმარებოდა.

ერთხელ სოსომ კობა გადაარჩინა: თივის ზვინში დამალა.

სოსო სტალინის შვილის, იაკობის, მასწავლებელი იყო.

ერთ დღეს მთავრობის სხდომაზე სოსო წინადადებით შესულა, უთხოვია, დაენიშნათ მატარებელი „თბილისი-გორი". ნოე ჟორდანიას უთქვამს: „რად გინდათ ქართლელებს ეგ მატარებელი, ჩასხედით (აქ უფრო შეურაცხმყოფელი სიტყვა უხმარია) დასავლეთ საქართველოსკენ მიმავალ მატარებელში და ჩაგიყვანთ გორშიო."

სოსო განაწყენებულა, აუღია თავისი ხელჯოხი და კარი გამოუჯახუნებია.

საღამოს, სახლში გვიან დაბრუნებულ სოსოს, სადარბაზოში ვილაცის ლანდი დაუნახავს; უფიქრია, ალბათ ქურდიაო და საჩხუბრად მომზადებულა (სოსო კარგი მოჭიდავეც იყო). „ქურდი" ნოე ჟორდანია აღმოჩნდა: „ვიცი, გაწყენინე, მაპატიე, ვიხუმრე, მატარებელს ხვალვე დავნიშნავთო", უთქვამს და, მართლაც, მალე დაინიშნა მატარებელი „თბილის-იგორი".

გიორგი (გოგი) ირემაშვილის მოგონებიდან: პირველ ხანებში დაბეჯითებით გვთხოვდა, გაგვეყიდა ყველაფერი და წავსულიყავით მასთან (ეს იმ პერიოდში შესაძლებელი იყო). შემდეგ დიპლომების გაგზავნა გვთხოვა. გავუგზავნეთ. მამამ კარგად იცოდა რამდენიმე უცხო ენა. ბერლინის უნივერსიტეტისთვის სჭირდებოდა დიპლომები.

ბოლო ხანებში კომერციაში გაუმართლა, ამ დარგში ცოდნა და გამოცდილება არ აკლდა, კიევში დაამთავრა ინსტიტუტი. ერთ ხანს მინისტრის „ამხანაგიც" კი იყო. შემდეგ ეს ცოდნა, ეტყობა, გერმანიაში გამოადგა, მაღაზია გახსნა და სპარსული ხალიჩებით და ანტიკვარით ვაჭრობდა.

როგორც შემდეგ შევიტყვეთ, ომის დროს ბევრ ქართველ ტყვეს დახმარებია მამა.

ეთერ ირემაშვილის მოგონებიდან: გარკვეულ დროს მამასთან ურთიერთობა აღდგა, ეს ურთიერთობა, რა თქმა უნდა, წერილობით გვქონდა. ერთ-ერთ წერილში მთხოვდა, შენი სურათი გამომიგზავნეო. გავუგზავნე. მომდევნო ბარათში იწერებოდა: სურათი სასთუმალთან მიდევს, ძალიან მომწონს და მეამაყება, რომ მე მგავხარ, ჩემი გერმანელი დიასახლისი, ფრაუ რაბე, მეუბნება, ულვაშები აკლია, თორემ ნამდვილად თქვენი ასლიაო.

ერთ-ერთ ბოლო წერილში იწერებოდა: სტიპენდია დაგინიშნე, ყოველთვიურად გიგზავნი 50 მარკას და თითო საპარსულ ხალიჩასო. რა თქმა უნდა, არაფერი მიგვიღია.

მთელი ცხოვრება მაკლდა მამა, მენატრებოდა... მაინც მქონდა იმედი, რომ ცოცხალს ვნახავდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვიანებული წერილები პაპას

მკითხველს: გთავაზობთ სოსო ირემაშვილის შვილიშვილების წერილებს ბაბუასადმი.

სულაც არ ვფიქრობთ, რომ ამ წერილებით ახალ სიტყვას ვამბობთ ეპისტოლარულ ჟანრში, არც მწერლობაზე ვაცხადებთ პრეტენზიას, უბრალოდ გულწრფელად გვინდოდა გაგვეზიარებინა ამ წიგნის წამკითხველისთვის ჩვენი განცდები, დამოკიდებულება უცნობი პაპისადმი და გვეთქვა მარტივად:

დრო უსწრაფესად გადის; გადის კი არა გარბის. ამ სისწრაფეში თანდათან ვკარგავთ ფესვებს, ვკარგავთ წარსულს, არ ვიცით „ვისი გორისანი ვართ"; თანამედროვეობას გამოკიდებულთ ზოგჯერ გვესირცხვილება კიდეც წინაპრების გახსენება, მათზე საუბარი, ან უბრალოდ არ გვაინტერესებს, ვინ იყვნენ ისინი, რითი სუნთქავდნენ, რა აწუხებდათ, როგორ უყვარდათ, ან სძულდათ. თითქოს, რაკი ისინი წარსულში დარჩნენ, აღარაფერი გვაკავშირებს მათთან.

განა აქვს მნიშვნელობა იმას, ცნობილი პიროვნება ან მოღვაწე იყო თუ არა ჩვენი ბაბუა? მნიშვნელოვანია სხვა რამ: ჩვენი დამოკიდებულება წარსულისადმი, წინაპრებისადმი, ბოლოს და ბოლოს ჩვენც წარსულად ვიქცევით, ჩვენი შთამომავლები კი (უკეთეს შემთხვევაში), მხოლოდ ერთ ტრივიალურ სადღეგრძელოში მოგვიხსენიებენ ასე: „წინაპრების შესანდობარი შევსვათ"; ეს იქნება და ეს . .

ჰოდა, გადავწყვიტეთ, შევუნახოთ წარსული მომავალს, ჩვენს მომავალს — შვილებსა და შვილიშვილებს.

ამიტომ მივწერეთ გარდასულ პაპას დაგვიანებული წერილები.

წამკითხველო, შენდობა თქვით სოსო ირემაშვილისა და შეგვინდეთ ჩვენც, თუ პირადი გრძნობებითა და ემოციებით ზედმეტად შეგაწუხეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი I

„უცხოსა ცის ქვეშ მარტოობს მისი საფლავი ობოლი,
დაუტირავი ჩვენთაგან, ჩვენთვის კი დამიწებული..“
გრიგოლ ორბელიანი

ჩემო საყვარელო სოსო ბაბუა!

ბაბუ, შვილიშვილებში ყველაზე პატარა ვარ, მაგრამ არც ისე პატარა, არ მახსოვდეს, ან არ განმეცადოს ის ტკივილი, რაც ჩვენმა ოჯახმა, ჩვენმა დედიკომ ატარა. ჩემი წერილი არ გაგაკვირვებს, ბაბუ; შენც ხომ წერილებით იოხებდი ეულად შთენილ გულს, მარტოობას ამით უმკლავდებოდი და უძლებდი უკუღმა ტრიალს ამ წუთისოფლისას, რომელმაც „სადაური სად წაგიყვანა და, როგორც თავადვე ამბობ, გამწარებული, გაუბედურებული ცხოვრება გარგუნა უცხო მიწაზე.

როცა შენს წიგნს ვკითხულობ, როცა იმ მძიმე წლების ამსახველ ფურცლებს ვშლი, ვხვდები, რომ უსამართლობის გამძაფრებული განცდა არასდროს გტოვებდა, შენი მებრძოლი, შეუპოვარი სული ოდნავადაც ვერ გატეხა მეტეხის ციხისა თუ „მოძრავი საპყრობილის” ტყვეობაში გატარებულმა ვერც ერთმა წამმა.

გაურკვეველი მომავლის მოლოდინი რომ აღარ დაილია, შიშმა, ადამიანურმა შიშმა შეგიპყრო — ვაითუ, უცხო მიწაში ჩავყარო სამშობლოს სიყვარულითა და ტკივილით გაწვალებული ძვლებიო, ამ შიშს მეც ვგრძნობ,- თითქოს შიგნით, სხეულის სიღრმეში, რაღაც იღვრება, იწრიტება . . და მეამაყები, მაინც ასეთი ძლიერი რომ ხარ, ამ შიშშიც ძლიერი რომ ხარ, ბაბუ!

როცა წარმოგიდგენ მხრებში მოხრილს, დაპატარავებულს, გათანგულს — მებრალები და ლამის წამლეკოს ამ სიბრალულმა . .ეს რა ქარბობალები გამოგივლია, ეს „...რა სიკვდილები გიგრძვნია“, ბაბუ.

ჩვენ არასოდეს გვღირსებია ვინმესთვის „ბაბუას” თუ „პაპას” დაძახება, არადა როგორი გვყოლიხარ ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა აღარ ვიცი, შენი „გაცნობა-აღმოჩენა" მადარდებდეს, თუ მახარებდეს . .

გვაპატიე, სოსო ბაბუა, შენს სამშობლოსა და კერიაზე დარჩენილ შვილიშვილებს, შენი სანუკვარი მამულის მიწა რომ ვერ მოგაბნიეთ გულზე!

თუმცა, ვინ იცის, ვინ იცის...

ივდით კუხინიძე

წერილი II

დაგვიანებული წერილები პაპას ძალიან ინტიმური, ბავშვური განცდებითა და მოგონებებით სავსე წერილი XIX საუკუნეში დაბადებულ პაპას XXI საუკუნიდან

(უცხოები ნუ წაიკითხავენ)

მეც ბავშვობიდან მოვდივარ...

მახსოვს, პატარა ვიყავი, როცა „გიორგი სააკაძე" ვნახე. გაოგნებული შევცქეროდი ეკრანს; შემიყვარდა მამაცი გიორგი, შევიძულე შაჰი და ისე შემძრა პაატას სიკვდილმა, რომ კარგა ხანს გულამოსკვნით ვტიროდი. . მერე დედა შეშფოთდა და დარწმუნება დამიწყო: პაატა არ მოუკლავთ, ეს მსახიობი იყო, ცოცხალია და აუცილებლად გაგაცნობო.

აი, ასე შემოვიდა ჩემში სამშობლო, ასე გაღივდა პატარა გულში სიყვარული მამულისათვის თავდადებული გმირისა, ასე ვისწავლე სიძულვილიც.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა გიორგი სააკაძის ფარზე დაწერილი სიტყვები: „ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული". რატომ ვიხსენებ ამას? .

მალე აღმოვაჩინე, რომ ჩვენი ოჯახი რაღაცას მალავდა, უფროსები ვიღაცაზე ჩურჩულით ლაპარაკობდნენ; დედას ხშირად აუცრემლიანდებოდა ხოლმე ლამაზი თვალები (დედა ძალიან ლამაზი ქალი იყო), ამ დროს ჩვენი ღრმადმორწმუნე დიდედა, მამის დედა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ნათესაობის იმედი და უსათნოესი ადამიანი, ჩვენდა ეგასაოცრად ვიღაცას ასეთ წყევლას უგზავნიდა: „ამათი სისხლი გაშრა, ამათიო". მხოლოდ ერთ რამეს ვხვდებოდით: ჩვენი დიდე ვიღაც ბოროტმა გააბრაზა, თორემ ასეთი სიტყვების თქმას როგორ იკადრებდა.

წამოვიზარდეთ და აღმოვაჩინეთ: დედა რეპრესირებული ოჯახის შვილი იყო, მენშევიკური მთავრობის წევრი ყოფილა მისი მამა, ჩვენი პაპა, იოსებ ირემაშვილი, რომელიც გერმანიაში გადაუსახლებიათ; 37-ში დაუხვრეტიათ პაპას ძმა, დედის ბიძა, ვასო ირემაშვილი, დიდედას ბიძა, მღვდელი სიმონ მჭედლიძე კი ბოლშევიკებმა სხვა სამღვდელო პირებთან ერთად დახვრიტეს (ქართულმა ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა), შემდეგ კი ჩვენი დიდი ბაბუა, დიდეს მამა, ასევე მღვდელი, ილარიონ ხოჯავა, ძალით გაკრიჭეს და სიკვდილის პირას მიიყვანეს.

ომის შემდეგ, ახალი რეპრესიები რომ დაიწყო, (ალბათ 1952 წელი იყო), ბუნდოვნად მახსოვს: დედა გაფითრებული მოვიდა სკოლიდან, სადაც რუსულ ენას ასწავლიდა. მამას უყვებოდა: „ჩეკისტები შემოვიდნენ შუა გაკვეთილზე, მეგონა, ჩემს წასაყვანად, ისინი კი ერთ-ერთ მოსწავლესთან მივიდნენ და ძალით გაყვანა რომ მოუნდომეს, მომვარდა: მიშველეთ, ეთერი მასწავლებელოო, — ვერ ვუშველე". ვიგრძენით, დედას რაღაცის ეშინოდა, მამა ამშვიდებდა. ეს იმდენად უჩვეულო იყო ჩვენი ოჯახისათვის, საიდანაც სიმღერის ხმა ხშირად ისმოდა, რომ ჩვენ, ბავშვებიც, დავიზაფრეთ და მივყუჩდით.

ასე გაიარა ბავშვობის წლებმა. ვიცოდით, რომ გვყავდა ბაბუა, რომელიც სამშობლოდან გადახვეწეს და რომელიც დედას არასდროს უნახავს. ვხედავდით, რომ ბევრი უცნობი და ნაცნობი ადამიანი მოდიოდა ჩვენთან სხვადასხვა ინფორმაციით, მაგრამ დედა ყველას იცილებდა. და ვიცოდით კიდევ, რომ ბაბუას ბავშვობის მეგობარი იყო ჩვენი ძია სტალინი, რომელიც ძალიან გვიყვარდა და რომლის სიკვდილიც ასე განვიცადეთ. ...მაგრამ

არ ვიცოდით, უნდა გვყვარებოდა თუ არა ჩვენი უნახავი პაპა, იოსებ ირემაშვილი, ტრაგიკული ბედის კაცი, რომლის ნაბეჭდებსაც ახლა ასე გულისფანცქალით ვკითხულობთ და რომელიც თურმე ასე გვიყვარს . . .

წინაპრის სიყვარულს ცოდნა არ სჭირდება თურმე, ეს სიყვარული გენეტიკურია და ისე მძლავრად აქვს ფესვები გადგმული, რომ ერთ მშვენიერ დღეს, სინანულით და ტკივილით რომ შეგეკუმშება გული, იგრძნობ — რამდენად ახლობელია შენი უნახავი პაპა შენთვის, და მიხვდები — რატომ გიყვარს ასე სამშობლო, რატომ აღმერთებდი გიორგი სააკაძეს, რატომ ტიროდი პაატას გამო, რატომ ჩაგრჩა გულში ფარზე დაწერილი სიტყვები..

...ვიცი, ვილაცას გაეცინება, ვილაც იფიქრებს, ეს სენტიმენტალური განცდები რა საჭიროა, ვის სჭირდება 21-ე საუკუნეშიო. მერე რა, ვისაც რა უნდა, ის თქვას, მე კი ვიცი: მე მჭირდება, ჩემს და-ძმას და ბიძაშვილებს სჭირდებათ, ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს სჭირდებათ, ჩვენს მომავალს სჭირდება. ჰოდა, ახლა, ამდენი წლის შემდეგ, მინდა ვუთხრა ჩემს გაწვალებულ, უცხოეთში ძვლებჩაყრილ ნატანჯ პაპას: ჩემო ძვირფასო, უსაყვარლესო ადამიანო, ჩვენ ამ წუთისოფელში ავცდით ერთმანეთს, მე შენი გარდაცვალების შემდეგ დავიბადე; გვიან გავიგე ვინ იყავი, გვიან გაგიცანი, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ახლა უკვე მტკიცედ ვიცი: შენ ჩვენში ცოცხლობ, შენს უფროს შვილიშვილებში, სამ უნიჭიერეს ირემაშვილში, ჩვენში: შენი „მოლექსე ეთერას" სამ შვილში. უფრო ადრე შენს შვილებში ცოცხლობდი; როცა შენს ნაწერებს ვკითხულობ, თვალწინ ისინი მიდგანან: ძია გოგი და დედაჩემი. ო, როგორ გგვანან თურმე; ემოციურები, პოეტურები (ორივე წერდა ლექსებს), ბავშვურად გულუბრყვილოები, კეთილები, იმდენად მოსიყვარულე გული ჰქონდათ, რომ ზოგჯერ არ გვესმოდა მათი, რადგან უცხო ადამიანებთან გამოლაპარაკება და მათთან დამეგობრება ჰქონდათ ჩვევად; ჩვენი ე.წ. საზოგადოებისთვის კი ასეთი საქციელი სრულიად უცხო რამ

იყო. როცა ერთხელ ამ უჩვეულო საქციელის ახსნა ვთხოვე დედას, ერთი შეხედვით სრულიად მარტივი რამ მითხრა: შვილო, მე მიყვარს ადამიანები. ახლა ვხვდები, რა მითხრა, ახლა, როცა ცხოვრების ნახევარი (თუ მეტი არა) შენს ხუთ შვილიშვილს უკვე გავლილი გვაქვს;

შენი საყვარელი გოგი, შენი განგალა, ისეთი განსხვავებული მეთოდებით იღებდა და მკურნალობდა ავადმყოფებს, რომ სხვებთან აღარ მიდიოდნენ და იდგა მის კარებთან უწყვეტი რიგი პაციენტებისა; (სხვათაშორის, გაჭირვებული ავადმყოფებისათვის წამლებს საკუთარი ფულით ყიდულობდა თურმე და ამიტომ სხვა ექიმები „აუჯანყდნენ"), სახლშიც ბევრი აკითხავდა. ეს „განსხვავებული მეთოდიც" ერთი შეხედვით სრულიად მარტივად შეიძლება ავხსნათ: გოგი ბიძიას ძალიან უყვარდა ადამიანები...

შენი შვილები არ გაბოროტებულან, შენი დაშორებით გამოწვეულ მრავალ დაბრკოლებას ვაჟკაცურად გაუმკლავდნენ, შექმნეს ნამდვილი ქართული ოჯახები (ეს ხომ შენი დიდი სურვილი იყო), არ დაუკარგავთ რწმენა, და სრულიად ბუნებრივად, ისე, რომ არც დაფიქრებულან ამაზე,

— რადგან ეს მათში შენგან და საშა ბებოსგან იყო, — ადამიანის ამქვეყნიურ დანიშნულებას და ვალს აღასრულებდნენ: უყვარდათ მოყვასი თვისი.

ჩვენო ძვირფასო ბაბუ, ჩვენო პაპა, შენი შვილებისათვის არასოდეს მომკვდარხარ, ამას იმიტომ გწერ, რომ განსაკუთრებით მიმძიმს ამ სტრიქონების წაკითხვა: „გაძევებულებმა ჩვენი ღარიბული ბარგი გამოვიტანეთ, ზოგს არაფერი ებადა და არც ფული ჰქონდა. ცოლ-შვილს ვერ გამოვემშვიდობე. მე მათთვის უკვე მკვდარი ვიყავი" და კიდევ: „მთაწმინდავ, მე შენ დიდხანს ვერ გიხილავ, შეიძლება ვერც ვერასოდეს, მაგრამ სამშობლოს დამოუკიდებლობისთანავე ჩვენც დავბრუნდებით, საყვარელო ცოლო და შვილებო, იქნებ სამუდამოდ გცილდებით, რა ბედი გელით თქვენ?".

შენი გარდაცვალების ამბავი ჩვენებმა 1964 წელს შეიტყვეს. დედა ოთახში ჩაიკეტა, არავინ შეგვიშვა . . . ორი დღე იმ ოთახიდან ზლუქუნის ხმა გამოდიოდა . . ეტყობა იმედი მაინც ჰქონდა, ცოცხალი ეგულებოდი — დედას ხომ არასდროს უნახავხარ ჩვენც ვიტირეთ. დაგიტირეთ გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ. მაგრამ, ვაი რომ, არ ვიცით, სად არის შენი საფლავი,..

ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ შენი შვილები და შვილიშვილები შენ გგვანან; მართალია, ზოგს ჩვენს დროში გაცვეთილი ჰგონია სიტყვები; „მამული," „სამშობლო" „თავდადება" (ეს უკვე სადღაც ვთქვი), მაგრამ ჩვენთვის ეს სიტყვები, და, რაც მთავარია, ცნებები მეტად ძვირფასია, ამიტომ კარგად გვესმის შენი, უფრო მეტიც, — ვამაყობთ შენით; ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა შეცდომები იქნა დაშვებული თქვენი პარტიის თუ მთავრობის მიერ, ჩვენ შენ გაგიცანით, დავინახეთ და ვიგრძენით, რომ ძალიან გიყვარდა სამშობლო და მისი მომავალი ბედნიერებისათვის იბრძოდი. ეს იყო შენი მოქმედებების და საქმიანობის მთავარი მამოძრავებელი ძალა. შენი პრინციპულობა, დაუმორჩილებლობა, თავგანწირვა მაგალითია ჩვენთვის; ვამაყობთ იმითაც, რომ „ბილწთ არ შეეკარ ზავითა" და იმითაც, რომ ღალატის სანაცვლოდ დაბრუნება არ ისურვე. შენ ჩვენთვის გმირი ხარ, პაპა!

დაბოლოს, სამშობლოს დამოუკიდებლობისთანავე ჩვენც დავბრუნდებითო", რომ წერ — შენ დამოუკიდებელ საქართველოში დაბრუნდი, პაპა, დაბრუნდი ამ შენი პატარა წიგნით, შენი განცდებით — შენი სიყვარულით, შენი ტკივილით, შენი სიმარტოვით . . .

გვიყვარხარ, პაპა!

შენი შვილიშვილი

ფოტოალბომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო I

გორის სასულიერო სემინარია.
ზემოთ სოსო ჯუღაშვილი,
ქვემოთ სოსო ირემაშვილი.

ფოტო II

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის სასულიერო სემინარია
ზემოთა რიგში მარჯვნიდან მეორე სოსო ჯულაშვილი
პირველ რიგში მარცხნიდან პირველი სოსო ირემაშვილი

იოსებ ირემაშვილის ოჯახი
და კიევის სტუდენტი ქართველობა
მესამე რიგში მარცხნიდან მეორე ზის მეცენატი ლოსაბერიძე

კიევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრა (საშა) ამბრიაშვილი - ირემაშვილისა, გოგი, ელენე და პატარა ეთერი

იოსებ ირემაშვილი ბერლინში (გადასახლების პირველი წლები)

კიევი

იოსებ ირემაშვილის ოჯახი ზემოთ დგას იოსების ძმა ვასო ირემაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გიორგი და მისი ქალიშვილები
ციალა და ჟუჟუნა

გიორგი და მისი მეუღლე
ნინო დარჩიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედა-შვილი ჟუჟუნა და ნინო ირემაშვილები

ვუძღვნი უცნობი პაპის ხსოვნას

ციალა ირემაშვილი

პარიზთან ახლო, სოფელ ლევილში,
თითქოს პატარა ივერთ მხარეა,
აქ შორი მხრიდან გადმოხვეწილთა,
თავშეწირულთა სასაფლაოა.

ვდგავარ მდუმარე და თითქოს ვხედავ:
წინაპრის სული თქვენს საფლავებს
ლოცვით გადუფრენს .
და ვიცი, მჯერა,
რომ თქვენ_ ღირსეულთ,
სამშობლო ხსოვნის სანთლებს დაგინთებთ.

როგორ გიმძიმდათ თქვენ განშორება
ქართული სხივით გამთბარ მიწასთან,
და ვით შესძელით გამოთხოვება,
თქვენს ვარძიასთან და თქვენს გელათთან.

დაემშვიდობეთ, ო, მაგრამ სული
ვერ გაიყოფა თურმე ნაწილად,
"თქვენ ერთი გქონდათ საწყისი სრული
და უცნაურმა ბედმა გაგწირათ"...

ნელი ირემაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელი ირემაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთერ ირემაშვილი

ეთერ ირემაშვილი და გიგლა (იოსებ) კუხიანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბერლინში გაგზავნილი სურათი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეთერ ირემაშვილი
შვილებთან
ავთანდილთან და დარეჯანთან
ერთად

ივდით კუხიანიძე

n 32/1419

ეროვნული ბიბლიოთეკა



ავთანდილ კუხიანიძე

ჟუჟუნა ირემაშვილი

დარეჯან კუხიანიძე




LEGENDE
Villes, villages
Rivières, fleuves
Montagnes
Chemins de fer
Routes, principaux chemins
Frontière des territoires revendiqués par la Géorgie
Frontières lors de la dernière indépendance
Régions occupées par les Turcs en 1921
Directions principales suivies par les forces rouges
LA GEORGIE et l'invasion bolchevik de 1921
CIRCASSIE
KARATCHAI
KABARDIE
SWANETI
TCHETCHENIE
DAGHESTAN
CAUCASE
MER NOIRE
MER CASPIENNE
AZERBEIDJAN (TARTARIE)
ARMENIE
TURQUIE D'ASIE
PERSE
Batalpachinsk
Pitigorsk
Grozny
Gagri
Ptsounda
Sokhoumi
Otchemchiri
Zougdidi
Poti
Natanebi
Batoum
Rizeh
Trebizonde
Ispir
Tortoum
Erzeroum
Kars
Alexandropol
Ararat
Ertvan
Kachisman
Igdir
Bayazet
Gandja
Elisavetpol
Lac de Goktcha
Evlakh
Goktchai
Nouka
Zakatali
Tiflis
Gori
Akhaltsikhe
Ardahan
Artvin
Kouba
Chemakha
Baku
Choucha
Araxe Fl.
Kouro Fl.
Rion R.
Kodori R.
Djouri
Tchoroukh R.
Alkhan
Athina
Bzibe R.
Kazakh
Jora R.
Nouakha
Tempir Khan Chour
Villadescase
Col de la Croix
Mt Ararat 5156
Mt Elbrouz 5630
Mt Ochkha 2066
Mt Ala Dagh
Mt Kazbek
Mt Tchoroukh
Mt Ala Dagh
Mt Ararat